საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: )რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

შაბათი, 20 თებერვალი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 41 (1496)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

— მარტის პირველ რიცხვებში დაიწყება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკება.

— განიარაღების კონფერენცია განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

— პოლონეთი ცდილობს მიიღოს დიდი სესხი ლონდონში ან ნიუ-იორკში.

— პოლონეთის სეიმში შესდგა მონარქისტული ფრაქცია.

— პოლონეთის საგარეო საქმეთა კომისიამ დაამტკიცა პოლონეთ საბჭოთა კავშირის საკონსულო კონვენცია.

### ა. წ. 28 თებერვალს შესდგება
### საქართველოს კომპარტიის ც. კ.
## გაფართოებული პლენუმი
### საქართველოს კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

## 25 თებერვალი

რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვიდღესასწაულებთ საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავს. რა მცირეა ეს დრო კალენდარულად, რამდენიც საქმე ხალხის ისტორიულ ცხოვრებას ეხება, და ამავე დროს რამდენად მდიდარია იგი თავისი შინაარსით!

ხუთი წლის წინედ საქართველოს მშრომელებმა დაამსხვრიეს მენშევიკების უღელი, მენშევიკების, რომელთაც ზურგი შეაქციეს პროლეტარულ რევოლიუციას, საბოლოოდ გადაბარგდნენ ბურჟუაზიის ბანაკში და ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტების სათარეშო მოედნად გახადეს. მენშევიკებმა თავიანთი ოთხი წლის ბატონობის განმავლობაში გამოაშკარავეს როგორც თავისი გამცემლობა მშრომელთა საქმისადმი, ისე სრული საამშენებლო უუნარიანობა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ილეოდა ძველი დროიდან დარჩენილი მარაგი და უარესდებოდა ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა. ბოლოს, თვით მენშევიკურ „სამეფოს“ მეთაური, ჟორდანია, თავის „მეფობის“ მიწურულში იძულებული იყო საჯაროდ აღიარებია, რომ ქვეყანა კატასტროფამდე მივიდა. ერთმა პასუხისმგებელ მენშევიკმა სთქვა მაშინ, რომ მუშებმა ყველაფერი გაყიდეს, რაც გააჩნდათ, ისინი პირდაპირ სიმშილით იხოცებიან და ფიზიკური გადაგვარებას განიცდიან.

საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობად გადმოეცა დანგრეული ქვეყანა. მიუხედავად ამისა, კაცი ვერც კი იოცნებებდა იმაზე, თუ რა გაკეთდა ამ ხუთი წლის განმავლობაში. რომ მიწა მემამულეებს ჩამოერთვა და მშრომელ გლეხობას გადაეცა, ხოლო მრეწველობის მთავარი დარგების პატრონი მუშურ-გლეხური სახელმწიფო შეიქმნა,—ეს ყველამ ვიცით. ისიც ვიცით, რომ ამაზე არც კი უფიქრია მენშევიკურ ხელისუფლებას, რომელიც ორივე ფეხით კერძო საკუთრების, ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცების ნიადაგზე იდგა.

მიწის რეფორმამ, უდიდესმა სამელიორაციო მუშაობამ და აგროდახმარებამ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ აწარმოვა, თავისი ნაყოფი გამოიღო და სასოფლო მეურნეობა აღორძინების მკვიდრ გზაზე დააყენა. ნათესების სივრცე და მოსავლის რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა ომის წინანდელ დონეს. სტატისტიკური ცნობებით, 1913 წ. ნათესების სივრცე უდრიდა 695.178 დესეტინას, ხოლო პურეულის პროდუქცია—43.793.121 ფუთს, 1925 წ. კი პირველი შეადგენდა 660.800 დეს., მეორე 445.526.900 ფ. როგორც სჩანს, 1925 წ. მოსავალმა გადააჭარბა 1913 წ. რაოდენობას, მაშინ როცა ნათესების სივრცე ჯერ კიდევ ჩამორჩება 1913 წლისას. ეს აიხსნება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით.

დიდი წარმატება ეტყობა ძვირფას კულტურებს და მესაქონლეობას. აქაც უახლოვდებით ომის წინანდელ დონეს, ზოგიერთ დარგში (მაგ. მებამბეობა) კიდეც გადავაჭარბეთ მას.

თანდათან ვითარდება სახელმწიფოს ხელში მოქცეული მრეწველობაც. ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1924—25 წ. უდრიდა 31,0 მილიონ მანეთს, 1922 | 23 წ. შეადგენდა მხოლოდ 18,0 მილ. მანეთს.

გაიზარდა მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვიც. მარტო სახელმწიფო მრეწველობაში დაბანდებულ მუშების რიცხვი 1924 | 25 წ. შეადგენდა 6.111 კაცს, 1922 | 23 წ. კი იყო 3.451. მთელი მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკაში 1925 წლისათვის იყო 113.503, 1923 წლისთვის კი უდრიდა 76,672-ს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშების მატერიალური მდგომარეობა, მათი ხელფასი თანდათან უახლოვდება ომის წინა დროის დონეს.

სხვა რომელი დარგიც არ უნდა ვიღოთ, კოოპერაცია, კომუნალური მშენებლობა, ელექტროფიკაცია და მრავალი სხვა,—ყველგან უდიდესი მიღწევები უდავო ფაქტია.

25 თებერვალს მშრომელ მასსას უნდა განემარტოს, თუ როგორი მდგომარეობა იყო მენშევიკების დროს და რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებებისა. ნივთიერ რესურსების სიმცირის გარდა, ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას საგრძნობლად აფერხებდა თვით მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება. მაგრამ ისინი განადგურდნენ. მშრომელი მასსა მთლიანად დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და მან საბოლოოდ შეაქცია ზურგი თავის გამცემლებს. ეს უდიდესი პოლიტიკური მიღწევაა საბჭოთა ხელისუფლების.

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის შედეგები ყველასათვის თვალსაჩინოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. აწი გაცილებით უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი და 25 თებერვლის დღესასწაული ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ეხლა ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს. სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის შემდგომი გაშლა, კოოპერაციის გაძლიერება და მისი საშუალებით სოფლის მეურნეობის თანდათანი განზოგადოება და მოსახლეობისთვის იაფი საქონლის მიწოდება, საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარება (სასოფლო ორგანიზაციების გამოცოცხლება), საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება, რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება, გეგმიანობის მტკიცედ დაცვა მშენებლობაში, უკიდურესი მომჭირნეობის გამოჩენა, შრომის ნაყოფიერების აწევა, მასსის კულტურული დონის ამაღლება და მრავალი სხვა.—აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი საქმიანობა მიმართული.

25 თებერვალს ჩვენ მოვიგონებთ განვლილ ბრძოლას და მიღწევებს. ამან უნდა შთაგვბეროს მეტი ენერგია მომავალი მუშაობისათვის. კომპარტიის ხელმძღვანელობით და მასსის შემოქმედებითი ენერგიის გაშლით ჩვენ გამოვალთ სოციალისტურ მშენებლობის ფართე გზაზე.

## მაზრის აღმასკომებთან საჭიროა საორგანიზაციო განყოფილება*)

საქართველოს გასაბჭოებიდან ჩვენ სულ საბჭოთა ძირითადი და სამაზრო აპარატების მოქნილ სტრუქტურის ძიებაში ვართ. მიუხედავათ ამისა, ჩვენ დღემდი კიდევ ვერ ჩამოგვიყალიბებაა სავსებით სამაზრო აღმასკომის ერთფეროვანი აპარატი, რაც ერთ-ერთი მიზეზთაგანია, სოფლად მომუშავე საბჭოთა ორგანოების სისუსტისა.

საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის მიერ დამტკიცებული სამაზრო აღმასკომის უკანასკნელი სტრუქტურა დღეს მაზრების უმეტეს ნაწილში დარღვეულია.

საერთო განყოფილება, რომელშიაც გაერთიანდა; განათლების, სოც.-უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის და ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება, ფაქტიურად გაუქმებულია მთელ რიგ მაზრების მიერ და აღდგენილია ისევ ძველი განყოფილებები ერთმანეთისადმი დაუქვემდებარებლობით.

გარდა ამისა, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრებმა აღძრეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი საორგანიზაციო განყოფილების დაარსების შესახებ. ამრიგად, სამაზ. აღმასკომის არსებულ სტრუქტურის შეცვლის საკითხი უკვე მომწიფებულია. თუ ცენტრი არ აიღებს თავის თავზე ამ სტრუქტურის საფუძვლიანად შესწავლას, ჩამოყალიბებას და კანონმდებლობითი წესით გატარებას, აღმასკომების აპარატის ეს ცვალებადობა სტიქიურად იწარმოებს, რაიც, თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო, მიუღებელია საქმის ინტერესის თვალსაზრისით.

სწორედ ამ მიზნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ამუშავებს სამაზრო აღმასკომის დებულებას და სტრუქტურას, რომელშიაც შეტანილია ახალი საორგანიზაციო განყოფილება. დებულება ამ დღეებში დაეგზავნება მაზრებს და ავტონომიურ ერთეულებს წინასწარ გასაცნობად და დაისკვნის მოსაცემად, რომ შემდეგ ეს საკითხი წარედგინოს ცაკის მორიგ სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად.

რატომ არის საჭირო სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმთან საორგანიზაციო განყოფილება?

მისი ძირითადი ამოცანები ჩვენი აზრით შემდეგია: ა) მოამზადოს და დაამუშაოს საკითხები საბჭოთა ძირითადი აპარატების ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია მიაწოდოს სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს უკანასკნელის ქვემდებარე საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, მათი საანგარიშო მოხსენებათა და საინსტრუქტორო მიმოკვლევის მასალების მახედვით; ბ) მიიღოს საჭირო ზომები თავის დროზე საბჭოების გამოსაცოცხლებლად და მუშებისა და გლეხების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩასაბმელად; გ) აღრიცხოს საბჭოთა აღმშენებლობის აქტიური მონაწილენი და აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ აპარატების კვალიფიციური მუშაკნი; დ) შეათანხმოს აღმასკომის სხვა განყოფილებათა მოღვაწეობა-საქმიანობა ქვემდებარე საბჭოებისა და აღმასკომების მიმართ; ე) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა სამაზრო და ადგილობრივ „მმაჩ“-ის ორგანოების მუშაობას; ვ) მოამზადოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს არჩევნებს მაზრის ფარგლებში და სხვა.

მაზრის აღმასკომი არის არა მარტო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო თავის ტერიტორიაზე, იგი იმავე დროს აღმასრულებელი აპარატია მაღლა მდგომ ორგანოების და ამასთანავე ხელმძღვანელი დაბლა მდგომ ორგანოებისა. საბჭოთა კავშირის და კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებლობა ამ ჟამად უკვე იმდენად რთულია და ვრცელი, რომ იგი მოითხოვს დიდ ყურადღებას. რომ თვალყური ვადევნოთ ხელისუფლების დეკრეტებისა და დადგენილებების ცხოვრებაში სწორად გატარებას, აუცილებლად საჭიროა სპეციალური, მუდმივი მომუშავე აპარატი სამაზრო აღმასკომში, როგორითაც უნდა იყოს აღმასკომის პრეზიდიუმთან საორგანიზაციო განყოფილება.

გარდა ამისა, სამაზრო აღმასკომი არის საკანონმდებლო ორგანოც. იგი გამოსცემს თავის კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულო დადგენილებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და სხვა. ამ საკანონმდებლო აქტების პროექტები სათანადოდ უნდა იყოს დამუშავებული და შეთანხმებული საერთო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან საორგანიზაციო განყოფილების მიერ.

უსისტემო და უმეტეს ნაწილად არა რეგულიარულ ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა აპარატების მუშაობაზე, რასაც ბევრგან აქვს ეხლა ადგილი, უნდა დაძლეულ იქნას. ამას დაუენებით გვიკარნახებს ცხოვრება. ამის დაძლევა აღმასკომის პრეზიდიუმს შეუძლია თავის მუდმივი და სათანადოთ შერჩეულ აპარატით, რომელსაც უნდა წარმოადგენდეს საორგანიზაციო განყოფილება. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა არჩევნების კარგად მომზადებას და ჩატარებას საბჭოთა მუშაობის გამოსაცოცხლებლად. უნდა ითქვას, რომ რანაირიც არ უნდა იყოს ცენტრიდან საარჩევნო ხელმძღვანელობა მაზრებზე, ეს მაინც საკმარისი არ არის. ამას გვიმტკიცებს მიმდინარე არჩევნები. მიუხედავად ცენტრიდან თავის დროზე ყველა სახელმძღვანელო მასალების მიწოდებისა, ზოგიერთ მაზრებში მაინც აქვს ადგილი გაუგებრობებს და ეს მოხდა იმიტომ, რომ მაზრაში არ იყო სპეციალური აპარატი, რომელიც ფაქტიურად დაამუშავებდა და მოამზადებდა არჩევნებს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საორგანიზაციო განყოფილებას, რომლის დაარსება და კარგად ჩამოყალიბება მაზრაღმასკომთან სრულ საშუალებას მოგვცემს სათანადოდ მოვამზადოთ და ჩავატაროთ მომავალში არჩევნები.

ასეთივე მნიშვნელოვანია საბჭოთა მუშაკების აღრიცხვა და მათი რაციონალურად განაწილება სხვადასხვა სამუშაოზე. საორგანიზაციო განყოფილების საშუალებით უნდა გამოყენებულ იქნენ ეს მუშაკები.

„მმაჩ“-ის ორგანოებას ხელმძღვანელობა თითქმის ყველა მაზრებში სრულებით უყურადღებოთ არის დატოვებული. ეს საქმე უშუალოდ უნდა დაეკისროს საორგანიზაციო განყოფილებას. სათემო საბჭოებში და აღმასკომებში საქმის წარმოების თავის დონეზე დაყენება, მისი რაციონალიზაცია და მრავალი სხვა (რაც დღეს აგრეთვე უყურადღებოთ არის დატოვებული მაზრის აღმასკომთან სათანადო აპარატის უქონლობის გამო), უნდა შეიქნეს საორგანიზაციო განყოფილების სამუშაო პროგრამათ.

ჩვენ ამ წერილში, რასაკვირველია, ვერ ამოვწურავთ დაწვრილებით საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის მთელ დანიშნულებას, მაგრამ ზემოდ აღნიშნული მთავარი მომენტებიც ნათელ ყოფენ ასეთი განყოფილების დაარსების აუცილებლობას სამაზრო აღმასკომთან.

დ. ქუჩულორია.

---

*) კამათის წესით.

რედ.

## საბჭოთა პრესა

### უპირატესი დაკმაყოფილების პრინციპი

მთელი მშრომელი მოსახლეობის 100 პროც.-ით კოოპერაციაში ჩაბმა ჯერ კიდევ შორეული ამოცანაა; დღეს დღეობით კოოპერაციის გარეშე დარჩენილია ხალხის უმრავლესობა. აქედან იბადება საკითხი კოოპერატივის დამოკიდებულების შესახებ არა წევრებისადმი, — მიაწოდოს მათ საქონელი ისევე, როგორც წევრებს თუ არა. ეს საკითხი მეტად მწვავედ დგას დღეს, როცა კოოპერატივს ზოგიერთი საქონელი განსაზღვრული რაოდენობით მოეპოვება და ამასთან ზოგიერთი საქონლის გაყიდვა უხდება თავისთვის საზარალო ფასებში. ამ მხრივ უნდა იყო რაიმე განსხვავება წევრებსა და არა-წევრებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა დაინტერესებული არ იქნება კოოპერაციის წევრობით. ნაწარმოების ცოტა მომატებულ ფასებში გაცემა არა წევრებზე, რასაც ეხლა აქვს ადგილი, საკმარისი არ არის. ხოლო კოოპ. გადაჭარბებულ ფასებს მათთვის, ცხადია, ვერ დააწესებს,—მაშინ წაიშლება გარჩევა კოოპერაციასა და კერძო ვაჭარს შორის, რამდენადაც საქმე ფასებს ეხება. მაშ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

„უდავოა,—უპასუხებს ამაზე „კოოპერატივნი პუტ“,—რომ იგი უნდა გადაიჭრას ისე, რომ მომხმარებელთა საზოგადოებას არა მარტო შეუძლია, არამედ მან უნდა შემოიღოს წევრების უპირატესი დაკმაყოფილება არასაკმარისი ან მისთვის საზარალო საქონლით იმ შემთხვევაშიც კი როცა საზოგადოება წარმოადგენს ერთად ერთ სავაჭრო ორგანიზაციას ამა თუ იმ რაიონში.

მომხმარებელთა საზოგადოება გახსნილია ყველა მოქალაქისათვის, გარდა საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირებისა, მაგრამ უკანასკნელებზე ზრუნვა არ შეადგენს ჩვენს მოვალეობას. ღარიბ მოქალაქეთა შესვლა საზოგადოებაში გაადვილებულია ისეთი შეღავათები, რომ, ეჭვს გარეშეა, ეს მათთვის სავსებით ხელმისაწვდომია. მაშასადამე, მთელი საქმე მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელთა საზოგადოების სამსახურით სარგებლობის თვითეულმა მოსურნემ იკისროს საზოგადოების წევრის ვალდებულებანი, რომლებთან ერთად მას ენიჭება უკანასკნელთა საქმეების გამგებლობაში მონაწილეობის უფლებები“.

კოოპერაციის წევრის მოვალეობას ამ შემთხვევაში შეადგენს შესასვლელ და საპაიო გამოსაღების შეტანა. მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა ძალზე მოიკოჭლებს. წევრებზე დიდძალი საპაიო თანხა ირიცხება. და ეს აიხსნება არა იმდენად მით, რომ მათ საშუალება არა აქვთ კუთვნილი გამოსაღები შეიტანონ, არამედ უფრო იმით, რომ კოოპერაცია სათანადო გავლენას არ ახდენს თავის წევრებზე.

„ამიტომ, — ასკვნის „კოოპერატივნი პუტ“—ცუდი არ იქნება, თუ ზოგიერთი საქონლის ნაკლებობა არა წევრების წინაშე დააყენებს საკითხს საზოგადოებაში შესვლის და დაწესებულ გამოსაღების გადახდის შესახებ, ხოლო პაების არშემტანთა წინაშე—საკითხს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულების შესახებ“.

ამგვარად წევრების უპირატესი დაკმაყოფილების პრინციპის გატარება და იმ წევრების წინააღმდეგ ზომების მიღება, რომელნიც ბოროტი განზრახვით არ იხდიან საპაიო გამოსაღებს, ხელს შეუწყობს კოოპერაციის ნივთიერ და რიცხვობრივ გაძლიერებას.

# ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთში

## ინგლისის თემთა პალატამ დაამტკიცა ირაქთან „მიღწეული შეთანხმება“

## სირიელ აჯანყებულთა დელეგაცია არ მიიღო ერთა ლიგის კომისიამ

### ინგლის-ირაქის ხელშეკრულება თემთა პალატაში

#### კოლონიების მინისტრის სიტყვა

**ლონდონი**, 19 თებ. კოლონიის მინისტრმა ემერიმ წინადადება მისცა თემთა პალატას მიიღოს ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბრიტანეთის და ირაქის წარმომადგენლებმა ერთა ლიგის დადგენილების შესასრულებლად ირაქის საზღვრების შესახებ.

ორი თვე გავიდა მას შემდეგ,—სთქვა ემერიმ რაც ბალდვინი სთხოვდა პალატას მოეწონებია ბრიტანეთის წარმომადგენლების მოქმედება ჟენევაში ირაქის საზღვრების შესახებ. ბალდვინმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მთავრობა ხელმძღვანელობს იმ პრინციპებით, რომლებიც მოწონებულ იქნა ყველა პარტიების მიერ. ეს გზაა—რაც შეიძლება გაფართოებულ იქნეს მოღვაწეობა ერთა ლიგის, როგორც იარაღის საერთაშორისო დაბრკოლებების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად: ბრიტანეთის მთავრობის დახმარებით ეს პოლიტიკა ამაგრებს ლიგის ავტორიტეტს, პალატამ მაშინ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკა ამ საკითხში.

შემდეგ ემერი ეხება დამატებებს, რომელიც შემოტანილ იქნა ოპოზიციის მიერ და რომელიც უარყოფს ირაქზე ინგლისის მანდატის ვადის გაგრძელებას. ორი თვის წინად, როცა ეს საკითხი იდგა თემთა პალატის წინაშე, მუშათა ოპოზიციამ განაცხადა, რომ აჩქარებით საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, რისთვისაც მან თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან. ეხლა ოპოზიციას შემოაქვს დამატებები, რომლებიც მიმართულია თვით ერთა ლიგის რეზოლიუციის პრინციპის გატარების წინააღმდეგ, იმ პრინციპის, რომელიც თემთა პალატამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა, თუმცა მუშათა პარტიას არ გადაუხვევია თავისი ხაზისთვის.

ბალდუინმა—ამბობს ემერი—ნათლად აღნიშნა, რომ 1923 წლის ოქმი იხილავს და ჰგულისხმობს ბრიტანეთის ვალდებულებების განახლებას ხელშეკრულების თანახმად 1928 წლის შემდეგ. ბალდუინმა სთქვა, რომ ლორდ პარმურმა, რომელიც მოქმედებდა ყოფილი მთავრობის სახელით საბოლოოდ შეაგნებინა ერთა ლიგას, რომ თუ 1927 წლისათვის ირაქი არ იქნება ერთა ლიგაში მიღებული, საბჭოს წინადადება მიეცემა გადასწყვიტოს საკითხი თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული შემდეგში ერთა ლიგის სტატუტის მე-22-ე მუხლის შესასრულებლად ე. ი. მანდატის განსაგრძობათ.

ემერიმ აღნიშნა, რომ მუშათა მთავრობის კოლონიათა მინისტრმა ტომასმა 1924 წ. ივლისში განაცხადა, რომ მუშათა პარტიას არ აქვს განზრახული აიღოს ირაქის საკითხთან დაკავშირებით საზღვრების შესახებ. წამოყენებული მოთხოვნილებისათვის მხარის დაჭერაში ამ ჟამად კი ტომასს შეაქვს ისეთი დამატება, რომელიც არა მარტო აბათილებს ხელშეკრულებას, არამედ მთელ საკითხს ხსნის დღის წესრიგიდან. დამატებით მიღება მოასწავებს ხელშეკრულების უარყოფას და იმ საზღვრის დაკარგვას, რომლის შენარჩუნება გავლენას ახდენდა ინგლისის მთავრობის მთელ პოლიტიკაზე.

„ეს მოასწავებს იმას, სთქვა ემერიმ, რომ ჩვენ სასაცილო გავხდებით ერთა ლიგის თვალში და ზიზღით დაგვიწყებენ ცქერას ოსმალები და ირაქის ხალხები, რომელთაც ჩვენ ამით ვღალატებთ. ეს მოასწავებს აგრეთვე ქრისტიან მცხოვრებთა ბედის ანაბარად დატოვებას, რომელნიც უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში სარგებლობდნენ თავისუფლებით და კეთილდღეობით, მაგრამ რის იმედიც მათ არასოდეს არა ჰქონდათ.

ეხება რა მუშათა პარტიის დამატების იმ ნაწილს, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან ერთა ლიგაში ირაქის მიღების დაჩქარებისათვის ხელის შეწყობას, ემერი აცხადებს, რომ ერთად ერთ სწორ გზას ერთა ლიგაში ირაქის შესაყვანად წარმოადგენს მისი საზღვრების უზრუნველყოფა. ეს საშუალებას აძლევს მას იზრუნოს თავის თავდაცვაზე. გარდა ამისა მეორე პირობას წარმოადგენს მასთან თანამშრომლობა მტკიცე ადმინისტრაციის მოწყობის საქმეში, ხელშეკრულების მოწონება წარმოადგენს დიდ ნაბიჯს ამ მხრივ.

ახალ ხელშეკრულების [illegible] შენიშნა ემერიმ—წინანდელი ხელშეკრულების პირობების გაგრძელება 25 წლით 1925 წ. 16 დეკემბრიდან დაწყებული, თუმცა ირაქი მიღებული იქნება ერთა ლიგაში ამ ვადის გასვლამდე. ახალ ხელშეკრულებაში არაფერი არ არის ისეთი, რაც გამოიწვევდა ახალ სამხედრო ან ფინანსიურ ვალდებულებას ან რაიმე გზით გააფართოვებდა წინანდელ ვალდებულებებს. სამხედრო და ფინანსიურ პასუხისმგებლობის დასასრულებლად. ინგლისის მთავრობის პოლიტიკა უცვლელი რჩება.

დასასრულ ემერიმ აღნიშნა პროგრესი, რომელიც მიღწეულია ირაქში ამ პოლიტიკის განმავლობაში.

„ერთათ ერთი, რაც ჩვენ გვსურს, ეს არის წონასწორობა და ბოლოს მეგობრული ურთიერთობა მეზობლებთან, ჩვენ უსურვებთ ოსმალეთს აქტივობას და აყვავებას მის საზღვრებში, მაგრამ მშვიდობიანობა არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ ჩვენ დაუთმობდით ისეთ მოთხოვნილებას, რომელიც უსამართლოდ მიგვაჩნია.

#### მუშათა პარტიის დამატება.

ემერის სიტყვის შემდეგ, რამზეი მაკდონალდმა მუშათა პარტიის სახელით შეიტანა დამატება.

#### ხელშეკრულების დამტკიცება.

თემთა პალატამ 260 ხმის უმრავლესობით 116-ს წინააღმდეგ დაამტკიცა ინგლის-ირაქის ხელშეკრულება.

#### ოპოზიცია.

ოპოზიციას უმთავრესად მუშათა პარტია წარმოადგენდა. თუმცა ლოიდ-ჯორჯი თავგამოდებით იცავდა ხელშეკრულებას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ლიბერალური პარტიის ფრაქციამ ხმა მისცა მუშათა პარტიის მიერ შემოტანილ დამატებას.

#### მაკდონალდის გამოსვლა

მუშათა პარტიის აზრი გამოსთქვა მაკდონალდმა.

მაკდონალდი არ ეთანხმება ემერის იმაში, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს თანდათანობით ეკონომიურ განვითარებას იმ პოლიტიკისას, რომელიც დაიწყო 1922 წელს და რომელსაც იწონებდა მუშათა პარტია, როცა ის სათავეში ედგა ხელისუფლებას. მაკდონალდის სიტყვით, პოზიცია, რომელიც მაშინ მის მთავრობას ეჭირა, ისეთი იყო, რომ ინგლისის პასუხისმგებლობა ირაქის წინაშე უნდა დასრულებულიყო 1928 წელს. მთავრობამ მხოლოდ პირობა დასდო, რომ მიიღებდა ერთა ლიგის გადაწყვეტილებას საზღვრების საკითხის შესახებ, და მეტი არაფერი. ირაქის დაუყონებლივ მიღება ერთა ლიგაში—ეს იქნება საუკეთესო პოლიტიკა.

#### ლიბერალ ხოლტონ იუნგის სიტყვა

შემდეგ ილაპარაკა ლიბერალური პარტიის წევრმა ხოლტონ იუნგმა, რომელმაც ამასწინად ინახულა ირაქი იმ მიზნით, რომ მოხსენება გაეკეთებია იარაქის მთავრობის ფინანსების შესახებ. მისმა სიტყვამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

„პოლიტიკური საკითხი,—სთქვა იუნგმა—მდგომარეობს იმაში,—დაუჭერს თუ არა მხარს ინგლისი ირაქს. ეკონომიურათ ირაქი უდღეურად არ შეიძლება ჩაითვალოს. მას აქვს დიდძალი ბუნებრივი შესაძლებლობანი, რომელთა განვითარებას ხელს შეუწყობს დადებული ხელშეკრულება. მორწყვის და გზების გაყვანის შემდეგ, ირაქი გახდება ახალი დიდი სავაჭრო გზა ხმელთაშუა ზღვიდან ცენტრალურ აზიამდე.

#### ჩემბერლენის გამოსვლა

ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის წარმომადგენლები იკრიბებიან არა იმისათვის, რათა აწარმოონ პირადი პოლიტიკა, არამედ საერთო მშვიდობიანობის დასაცავად სადაო საკითხების მოგვარების გზით. ინგლისის მთავრობა არ დასწრებია იმ კრებას, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება ირაქის საზღვრების შესახებ. ინგლისმა განსაზღვრა ირაქის ინტერესები და შეიტანა საკითხი ერთა ლიგაში იმ პირობით, თუ ოსმალეთის მთავრობა თავს არ დაიხსნის ირაქს ამ საკითხის გადაჭრამდე. ჩემბერლენის აზრით, ოსმალეთი არ წავა ერთა ლიგის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

ამას წინად გამართულ მოლაპარაკების შემდეგ ინგლისის ელჩმა ინ[illegible] ანგორა და ინგლისის მთავრობა იხილავს [illegible] საკითხზე. მას არ აქვს საშუალება იყოს გულწრფელი, მაგრამ მაინც შეუძლია სთქვას ერთი, რომ ინგლისს გულწრფელად სურს საკითხის მეგობრულად გადაჭრა.

შეეხო რა იმ მოსაზრებას, რომ მთავრობის პოლიტიკაზე გავლენა მოახდინა ნავთისადმი ინტერესმა, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მარტში ოსმალეთის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს მას გადაეწყვიტა ირაქის საკითხი ერთა ლიგისაგან დამოუკიდებლათ. წინადადების ბაზისი ასეთი იყო: ოსმალეთს მოსულის ვილაიეტში ექნება იმდენი ტერიტორია, რამდენიც მას სურს, ხოლო ინგლისი ბრიტანეთის კომპანიის საშუალებით, აწარმოებს მთელი არსებული ნავთის ექსპლოატაციას. თუ საჭირო იქნება ნავთსადენები, ინგლისის კომპანია ააშენებს უკანასკნელთ. გარდა ამისა იყო წინადადება მეორე კონცესიის შესახებ, რომელშიაც შედიოდა რკ. გზის ხაზის აგება 3.000 კილომეტრის მანძილზე. მთავრობა რომ ნავთს გამოჰკიდებოდა მას შეეძლო აეღო კონცესია მოსულის ნავთზე და სხვა კონცესიებიც. მთავრობამ ამ წინადადებაზე უპასუხა, რომ ის არის მომავალი ირაქის მზრუნველი, არა მისი პატრონი, არამედ მანდატორი, და მას, როგორც ასეთს, არ შეუძლია ივაჭროს ირაქის ინტერესებით და უფლებებით.

## მეთორმეტე აჯანყება სირიაში

**რომი**, 18 თებ. მას შემდეგ, რაც ერთა ლიგის სამანდატო ტერიტორიების კომისიამ უარი სთქვა სირიელ აჯანყებულთა დელეგაციის მიღებაზე, სირიელების დელეგაციამ მიიღო უცხოელი ჟურნალისტები.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს დელეგაციის მეთაურმა ემირ შეკიბ-არსლანმა განაცხადა:

„სირიელების ეხლანდელი აჯანყება რიცხვით მეთორმეტეა იმ ხნის განმავლობაში, რაც სირიის მანდატი საფრანგეთმა აიღო.

სიცრუეა, თითქოს ეხლანდელი აჯანყება გენერალ სარაილის მოქმედებით იყო გამოწვეული. აქ მიზეზი უნდა ვეძიოთ არა კომისრებში, არამედ საფრანგეთის საერთო პოლიტიკაში. სირიელები მოითხოვენ დამოუკიდებლობას და ჩვენ ჯერ არ გვსურს რაიმე შეთანხმების მიღწევა საფრანგეთის მთავრობასთან.

საფრანგეთის მთავრობა ამჟამად ცდილობს ოსმალეთის გულის მოგებას. დე-ჟუვენელმა ანგორაში ასეთი წინადადება შესთავაზა ოსმალეთს: ალექსანდრიას და ანტიოქიას ეძლევა ავტონომია, როგორც ოსმალეთის ქალაქებს. გარდა ამისა საფრანგეთი უთმობს ოსმალეთს კალისის ტერიტორიის ნაწილს, სადაც გადის რკინის გზა.

ასეთი ვაჭრობა ჩვენი სიკეთით ამაოთ განუზრახავთ. ჩვენ არ ვსცნობთ არავითარ მანდატს და ამიტომ თანაბრად შევებრძოლებით ყოველ სახელმწიფოს, რომელსაც გადაეცემა სირიის მანდატი“.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე—სჯერა თუ არა შეკიბ-არსლანს, რომ რაიმე დადებით შედეგებს მიაღწევს ერთა ლიგის სამანდატო ტერიტორიების კომისიასთან მოლაპარაკებით, შეკიბმა უპასუხა:

„ჩვენ ვიბრძვით ყოველივე ძალებით: იარაღით, კალმით და სიტყვით. სამანდატო კომისიისადმი მიმართვაც ერთი ასეთი საშუალებათაგანია. ჩვენ გვჯერა, რომ საფრანგეთის მთავრობა შეეცდება ზეგავლენის მოხდენას სამანდატო კომისიაზე, მაგრამ მით უარესი მისთვის“.

#### საფრანგეთის ანგარიში

**რომი**, 18 თებ. ერთა ლიგის სამანდატო კომისიამ განიხილა საფრანგეთის ანგარიში სირიის მმართველობის შესახებ. ანგარიშში საფრანგეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ წარსული წლის პირველ ნახევარში სირიაში არ ყოფილა არავითარი ანტი-ფრანგული მოძრაობა. მაროკოს აჯანყებამ გავლენა მოახდინა სირიელებზე, და მათაც ხელი მოჰკიდეს იარაღს.

დასასრულ მოხსენება აღნიშნავს, რომ სირიის აჯანყება თანდათან ცხრება და ახალი უმაღლესი კომისარის, დე-ჟუვენელის, მშვიდობიანი პოლიტიკის გამო, ამ მხარეში ნორმალური მდგომარეობა იქმნება.

## ჩინელ რკინისგზელების ყრილობა

**პეკინი**, 18 თებ. რკინისგზელთა ყრილობამ ტიან-ძინში მოიწონა ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მოქმედება და აღიარა, რომ იგი მართლაც იცავს ყველა ერების მუშებს. ყრილობამ დაადგინა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გომინდანის პარტიას, რომელიც აწარმოებს ეროვნულ-რევოლიუციონურ მუშაობას იმპერიალისტების და მილიტარისტების წინააღმდეგ. ჩინეთის კომპარტია ყრილობამ სცნო მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიად. მიუხედავათ იმპერიალისტების და მილიტარისტების დევნისა, კომპარტიამ შესძლო მუშათა მოძრაობის სწორი ხელმძღვანელობა და მტკიცეთ დაიცვა ჩინეთის მშრომელთა ინტერესები.

#### მისალმება რუს მუშებისადმი

**პეკინი**, 18 თებ. სრულიად-ჩინეთის რკინისგზელთა ყრილობამ კარახანს რუს მუშებისათვის გადასაცემათ გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთის რკინისგზის მუშებმა დარაზმვას ჩინეთის მთელი მუშათა კლასი. როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების დროს ჩვენ თქვენის მხრით მორალური დახმარება და გამხნევება გვქონდა. რუსეთის პროლეტარიატის დახმარებამ და ჩინეთის მუშათა კლასის საკუთარი ძალების რწმენამ ჩვენ ჩაგვაგონა, რომ ჩვენი მტრების წინააღმდეგ ბრძოლა ვაწარმოოთ საბოლოო გამარჯვებამდე.

ყრილობა აუცილებლად სთვლის განუწყვეტელი და მუდმივი კავშირის გაბმას საბჭოთა რუსეთის მუშებთან იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა გაერთიანებული ძალ-ღონით ჩამოგდებულ იქნეს მუშათა კლასის საერთო მტერი. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მშრომელთა ხელისუფლებას“.

## განიარაღების კონფერენცია

#### კმაყოფილება და მწუხარება

**ტოკიო**, 18 თებერვ. იაპონური გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი მიწვეულია განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე, მაგრამ ამავე დროს სწერს რომ, საბჭოთა კავშირმა უარყოფითი პოზიცია დაიჭირა ერთა ლიგისადმი, რომელიც გაზეთის აზრით, არის „უმაღლესი საერთაშორისო ინსტანცია, მიუხედავათ მისი სისუსტისა და შეცდომებისა“.

#### განუსაზღვრელი დროით

**ლონდონი**, 18 თებერვ. კონსერვატიულ გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ განიარაღების წინასწარი კონფერენცია შეიძლება მიწვეული იქნას მხოლოდ ერთა ლიგის კრების შემდეგ ამა წლის ოქტომბერში. ამგვარად კონფერენციის მოწვევა განუსაზღვრელი ვადით იქნება გადადებული.

## საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

#### პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საკონსულო კონფერენცია

**ვარშავი**, 18 თებერვ. პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოსთქვა სურვილი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საკონსულო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

#### პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკება

**ვარშავი**, 18 თებერვ. დამთავრდა მზადება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკებისათვის. გადაწყვეტილია დელეგაციის არჩევა ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორის გლივიცის მეთაურობით.

მოლაპარაკება დაიწყება მოსკოვში მარტის პირველ რიცხვებში.

# საბჭოთა კავშირის
# რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს
# ბრძანება № 96.

### 1926 წ. 17 თებერვალი, მოსკოვი.

წითელი არმიის მერვე წლის თავის დღესასწაული უნდა ჩატარდეს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა შემჭიდროების ნიშნის ქვეშ.

დღესასწაული ტარდება 21, 22 და 23 თებერვალს, შემდეგი წესის დაცვით:

21 თებერვალს დღისით იმართება გარნიზონის ნაწილების საკომანდო-პოლიტ. შემადგენლობის საზოგადო კრებები, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებანი წითელი არმიისა, მერვე წლის თავისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის მორიგ ამოცანების შესახებ.

21 თებერვალს, საღამოს ყველა სამოქალაქო კლუბებში იმართება საღამოები რვა წლის თავის აღსანიშნავათ, შეფობის ქვეშ მყოფ წითელ არმიელთა ნაწილების მონაწილეობით.

22 თებერვალს, საღამოს ყველა კინო თეატრებში კულტშეფობის წესით, ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკას დადგენილების თანახმად, წითელი არმიის ყველა ნაწილებისათვის იმართება სანახაობანი.

23 თებერვალს ყველა ქალაქებში ნაწილებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქის საბჭოების საზეიმო სხდომებზე წითელი არმიის 8 წლის თავის აღსანიშნავად.

სამხედრო ნაწილები ალლუმებს არ მართავენ. წითელარმიელთა ნაწილები აწყობენ ექსკურსიებს საშეფო წარმოებებში.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოზიდული უნდა იქნან სათადარიგო საკომანდო შემადგენლობა.

დღესასწაულის დღეს, 23 თებერვალს—გაძლიერებული უნდა იქნას წითელი არმიის კმაყოფა იმ ნორმის მიხედვით, რომელიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის რევ. სამხ. საბჭოს ბრძანებით 1925 წ. № 163.

რევ.--სამხ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **უნშლიხტი.**

# ერთა ლიგაში გერმანიის მიღების გარშემო

### პოლონეთის პრესა ერთა ლიგაში მუდმივი ადგილის შესახებ

**ვარშავა**, 19 თებერვ. პოლონეთის პრესა განაგრძობს მსჯელობას ერთა ლიგაში მუდმივი ადგილის შესახებ.

კონსერვატიული „ჩასი“ ამბობს, რომ ლოკარნოს ნამდვილ დანიშნულებას წარმოადგენს ევროპის დამშვიდება. მაგრამ ლოკარნოს ხელშეკრულება სრულიადაც არა ქმნის ამ მშვიდობას. პოლონეთსა და გერმანიას შორის „მოდუს ვივენდის“ დამყარება დიდ ხანს იქნება მშვიდობიანობის საფუძვლათ გადაქცეული და ლოკარნოს ხელშეკრულების გამოსავალი.

რადიკალური „კურიერ პორანი“ ამბობს: „ინგლისის პრესის კილო ყველას აფიქრებინებს, თითქოს პოლონეთის ერთა ლიგაში შესვლა რაიმენაირათ ემუქრებოდეს ინგლისის ძლიერებას. წინააღმდეგ! ეს შესვლა სასარგებლო იქნება ინგლისისა და გერმანიისათვის. თუ კი მოისპობა საფრანგეთ-გერმანიის შუღლი, განა შეიძლება არსებობდეს საფრანგეთ-ინგლისის შუღლი? ახლო აღმოსავლეთი და რუსეთი—ეს ისეთი საკითხია, სადაც ინგლისისა, [illegible] და [illegible] შეხედულობა ერთი და იგივეა.

„რეჩ პოსპოლიტა“ იგონებს, რომ პოლონეთის სეიმის მემარჯვენე ფრთა იწვით უცქერის ლოკარნოს და იმას ანიჭებს მხოლოდ საცდელ როლს. პოლონეთის ერთა ლიგაში დაშვებით მემარჯვენე პარტიებს დაუმტკიცებენ, რომ ეს ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა.

### პოლონეთის პრეტენზია

**ბერლინი**, 19 თებ. იუწყებიან, რომ პოლონეთის პრემიერს სკშინსკის განზრახული აქვს მოითხოვოს არა მარტო მუდმივი ადგილის მიცემა პოლონეთისათვის ერთა ლიგის საბჭოში, არამედ აგრეთვე უფრო პასუხისმგებლო პოსტების დათმობა ხუთი პოლონელი მოხელისათვის (ათიდან) ლიგის სამდივნოში.

### გამოსაქვეყნებლად და არა რეგისტრაციისათვის

**ლონდონი**, 19 თებ. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ამერიკამ გადასცა ერთა ლიგის გენერალურ სამდივნოს ერთი საერთაშორისო კონვენცია და ორი შეთანხმება გამოსაქვეყნებლად და არა რეგისტრაციაში გასატარებლად.

### ერთა ლიგის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი

**ლონდონი**, 19 თებ. ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სხდომის დღის წესრიგში დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) გერმანიის მიღება ერთა ლიგაში, 2) საოკუპაციო ჯარების გაყვანა საარის რაიონიდან, 3) სირიაზე საფრანგეთის მანდატის განხილვა, 4) განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მოწვევის თარიღის დანიშვნა.

### ჩემბერლენის განცხადება

**ლონდონი**, 19 თებ. უცხოეთის პრესის ლონდონის საზოგადოების მიერ გამართულ საუზმეზე ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება ერთა ლიგის შემადგენლობის გაფართოების საკითხის შესახებ. საკითხი არ სდგას ამა თუ იმ გზით ერთა ლიგაში უმრავლესობის შექმნის შესახებ, ვინაიდან ეს იქნებოდა ერთა ლიგის დანიშნულების უარყოფა. ერთა ლიგის მიზანია უთანხმოების მოგვარება და ისეთი გადაწყვეტილებების გამონახვა, რომლებიც გულწრფელად და კეთილი სურვილით მისაღები იქნება დაინტერესებულ სახელმწიფოებისათვის.

### გერმანია კმაყოფილია

**ბერლინი**, 18 თებ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დრუმონდმა ჟენევაში დაბრუნებისას კმაყოფილება გამოსთქვა იმ აზართა გაცვლა-გამოცვლის გამო, რომელიც გერმანიის ერთა ლიგაში მიღებას შეეხება. გერმანიის წარმომადგენლების ლიგის ფედერალურ სამდივნოში დანიშვნის საკითხის განხილვამ დაგვანახვა, რომ ერთა ლიგის წრეებში გერმანიას უყურებენ, როგორც დიდ სახელმწიფოს.

### ერთა ლიგის კრიზისი

**ლონდონი**, 18 თებ. ლონდონის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის კრიზისი, რომელიც წარმოიშვა ერთა ლიგის საბჭოში გერმანიისათვის მუდმივი ადგილის დათმობის საკითხთან დაკავშირებით, ახლო მომავალში დაძლეულ იქნება.

როგორც იუწყებიან, იაპონიის მთავრობა იცავს ინგლისის მთავრობის აზრს, რომელმაც მხარი დაუჭირა ლიგის საბჭოს წევრთა რიცხვის გადიდებას.

# გერმანიაში

### სახალხო მეურნეობის გამოცოცხლების პროექტი

**ბერლინი**, 18 თებერ. გერმანიის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა გააკეთა მოხსენება სახალხო მეურნეობის გამოცოცხლების პროექტის შესახებ.

პროექტში გათვალისწინებულია გადასახადების შემცირება, რეიხსბანკის მიერ წარმოებებისათვის 100 მილ. მარკ. კრედიტის მიცემა და აგრეთვე მრეწველობისათვის 300 მილ. მარკ. კრედიტის მიცემა საბჭოთა კავშირისათვის საექსპორტო საქონლის მისაწოდებლად.

### ვიურტემბერგელ კომუნისტების საქმე

**ბერლინი**, 18 თებ. რესპუბლიკის თავდაცვის უზენაესმა ტრიბუნალმა ვიურტემბერგელ კომუნისტებს მიუსაჯა შემდეგი სასჯელი: ჰერრს—9 წლის ციხე, შტრეინხერს—3 წლის და 3 თვის, კიუნლეს—3 ნახ. წლის, ჩეპერლეს—3 წლის ციხე, შმიდტს—2 წლის გამასწორებელი სახლი.

# რა ხდება პოლონეთში

### ტომაშ რიხლინსკის დასაფლავება

**ვარშავა**, 19 თებ. ამ დღეებში ლოძში გარდაიცვალა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ტომაშ რიხლინსკი. დასაფლავების დროს, როცა სამგლოვიარო პროცესია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 10.000 მუშა, მიემართებოდა სასაფლაოსაკენ ლოძის მთავარი ქუჩით, პოლიციის ძლიერმა რაზმმა გადაუღობა მას გზა და მოითხოვა, რომ პროცესია გადასულიყო სხვა პარალელურ ქუჩაზე.

აღშფოთებულმა მუშებმა უარი სთქვეს ამ მოთხოვნილებების შესრულებაზე. მაშინ ქვეითა და ცხენოსანი პოლიციის რაზმები გადავიდნენ იერიშზე და გარეკეს პროცესიის მონაწილენი ხმლებით და ვინტოვკებით.

### მონარქისტული ფრაქცია პოლონეთის სეიმში

**ვარშავა**, 18 თებ. სეიმში ეწყობა მონარქისტული ფრაქცია, რომელშიაც შედიან პოზნანელი დეპუტატები სვიაკოვსკის ხელმძღვანელობით, ზოგიერთი ქრისტიანული დემოკრატები და „ვიზვოლენია“-ს პარტიიდან გამოსული დეპუტატების ნაწილი.

# პოლონეთი სესხს დაეძებს

**ლონდონი**, 18 თებ. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ პოლონეთი ლონდონსა და ნიუ-იორკში ამზადებს ნიადაგს დიდი სესხის მისაღებად. გაზეთი ფიქრობს, რომ ასეთი სესხი შეიძლება მიეცეს პოლონეთს იმ შემთხვევაში, თუ იგი ავსტრიის და ჰუნგრეთის მაგვარად თავის ფინანსების გამგებლობას ერთა ლიგას მიანდობს.

# კამპანია 12-ის განთავისუფლებისათვის

**ლონდონი**, 18 თებ. 17 თებერვალს მთელ ინგლისში გაიმართა დემონსტრაციები 12 ინგლისელ კომუნისტის განთავისუფლებისათვის.

ლონდონში „რემედას“-ის ინგლისის სექციასა, პროფკავშირების ლონდონის საბჭოსა და პოლიტიკურ პატიმართა დამცველ ლონდონის კომიტეტის მიერ გამართულ დემონსტრაციაში, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, მონაწილეობა მიიღო 5000-ზე მეტმა კაცმა.

საღამოს დემონსტრანტები მწყობრი რიგებით გაემართენ ციხისაკენ, რომელშიაც მოთავსებულია 12 კომუნისტი, დემონსტრაციის წინ მიდიოდენ პატიმართა ცოლები. დემონსტრანტები „ინტერნაციონალის“ მღერით მიუახლოვდენ ციხის კარებს, სადაც მათ შეხვდენ ცხენოსანი და ქვეითა პოლიციის რაზმები, რომლებმაც დემონსტრანტები ციხის კარებთან არ მიუშვეს. სამხრეთ უელსის მაღაროს სამმა მუშამ, რომელნიც ამას წინად გაანთავისუფლეს, სიტყვები წარმოსთქვა; მათ დიდი ენტუზიაზმით შეხვდენ.

დემონსტრანტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ ყოველ ძალღონეს იხმარებენ, რათა აიძულონ მუშათა მოძრაობის ლიდერები მხარი დაუჭირონ კამპანიას კომუნისტების განთავისუფლებისათვის.

# ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

### გენერლების კომედია

**პრაგა**, 18 თებერვ. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის სხდომაზე ბენეშის სიტყვის გარშემო გამართულ კამათის დროს **გაკენმა** კომპარტიის სახელით გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია:

„საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში მთავრობა კომედიას თამაშობს. ამ ცოტა ხნის წინად დაწყებულ მოლაპარაკების შემდეგ აცხადებდენ, რომ ცნობა მახლობელ დღეების საქმეა. ცნობას მხარი დაუჭირეს მუშათა ორგანიზაციებმა, მთელ-რიგ თვითმართველობის ორგანოებმა, ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა, გარდა სახალხო დემოკრატებისა, ლეგიონერთა ორგანიზაციებმა და სამრეწველო წრეებმა. ამის შემდეგ ცნობის საკითხში მოხდა ცვლილება. პოლიტიკაში ჩაერია გენერლების ხროვა ჩეჩეკას, სიროვნის გაიდის და სხვების სახით. გენერალიტეტი განზე გაუდგა ჯარს იმით, რომ უარი განაცხადა ცნობაზე“.

გაკენის დეკლარაციის შემდეგ გამოვიდა სამხედრო მინისტრი სტრიბრნი, რომელმაც უარყო გაზეთების ცნობა იმის შესახებ, რომ გენერალიტეტი გამოვიდა საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ და რომ მან მიმართა პრეზიდენტ ბენეშს ამ საკითხზე.

# სხვადასხვა

— **კომუნიზმის შიში.** „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით ბრისბენიდან (ავსტრალია), მუშათა პარტიის ყრილობამ დაადგინა, რომ პარტიის თვითეულმა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს ვალდებულებას კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

— **მაიმუნების შიში ამერიკაში.** მისისიპის შტატის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს დარვინის თეორიის სწავლებას ტეხასის სასკოლო ხელისუფლება შლის ყველა სახელმძღვანელოებიდან, მათ შორის ბიოლოგიის სახელმძღვანელოებიდანაც, თვითეულ სიტყვას დარვინის თეორიის შესახებ.

— **გემის მოსამსახურეთა გაფიცვა.** კალედან მიღებული ცნობების თანახმად, იქ გაფიცულია გემების მოსამსახურეები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

— **მომჭირნეობის მინიმუმი.** პირველ თავის სიტყვაში გერმანიის ფინანსთა ახალმა მინისტრმა რეინჰოლდმა მოითხოვა სახელმწიფო ხარჯების მომჭირნეობა კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

— **გადაფრენა ატლანტიის ოკეანეზე.** მადრიდმა ზეიმით იდღესასწაულა ბუენოს-აირესში ჩასვლა კაპიტან ფრანკოსი, რომელიც გადაფრინდა ატლანტიის ოკეანეზე. მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000 კაცმა. დემონსტრაციის დროს ქალაქის თავზე დაფრინავდა 50 აეროპლანი. გამოცხადებულია მთელ რიგ უმნიშვნელო დამნაშავეთა ამნისტია.

— **ამერიკა მოწყვეტილია.** ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, ოკეანეზე ძლიერი ქარიშხალის გამო შეწყვეტილია ყოველგვარი კავშირი შეერთებულ შტატებთან.

— **ტელეფონის ხაზი რომი—დალმაცია.** იტალიის გზათა სამინისტრომ მოაწყო ტელეფონის ხაზი რომსა და ზარას შორის.

— **უდიდესი გემი მსოფლიოში.** „ხარლანდ და ვოლფი“-ს ფირმა საგემოსნო კომპანია „უაიტ სტარ-ლაინთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას მსოფლიოში უდიდესი გემის აშენების შესახებ. ეს გემი იქნება 60 000 ტონა წყალწყვის და ამგვარად წააცილებს ეხლანდელ უდიდეს გემს „მაჯესტიკს“ (56.500 ტონა), რომელიც ეკუთვნის იმავე „უაიტ სტარ ლაინის“ კომპანიას. ახალ გემს ექნება მოტორიანი მამოძრავებელი.

# აღმოსავლეთი

## ოსმალეთი

### ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან

**ანგორა**, 18 თებ. მეჯლისმა ერთხმად მიიღო ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმად ეკლესია გამოყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფოდან. აკრძალულია მრავალცოლიანობა და შემოღებულია რწმენის სრული თავისუფლება. იუსტიციის მინისტრმა მახმუდესად-ბეიმ ამის შესახებ მეჯლისში განაცხადა, რომ ახალი კოდექსის დამტკიცების მომენტი არის ზღუდე ძველსა და ახალ ისტორიას შორის.

## სპარსეთი

### არეულობა ლურისტანში

იმ დროს, როცა თეირანი რიზაშახის ტახტზე ასვლას დღესასწაულობდა, „ხაბლიულ-მატინის“ ცნობით, ლურისტანში დაიწყო არეულობა. ლურებმა წაიწიეს წინ დიზფულისაკენ და რამოდენიმე ქარავანი გაძარცვეს. ისინი უკან დაბრუნდენ დისფულის მიდამოებში ნაძარცვი დიდძალი ხორბლითა და საქონლით. ლურების თავდასხმამ და მძარცველობამ დიდი არევდარევა შეიტანა მოწესრიგებულ ვაჭრობის საქმეში, დააფრთხო ვაჭრები, რომელნიც ასეთ გამოსვლებს არ მოელოდენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი მოძრაობა ლურისტანში დაიწყო თეირანიდან მიღებული ხმების გამო ყაჯართა დამხობის შესახებ, რასაც მოჰყვა გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა დამფუძნებელი კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

„ხაბლიულ მატინი“ სწერს, რომ ლურისტანი ისეთი ოლქია, რომელიც მუდმივ ყურადღებას მოითხოვს და, რომ ბოლოს და ბოლოს, საჭიროა გამოინახოს საშუალება ლურების მტაცებლობის ერთხელ და სამუდამოდ მოსასპობათ. გაზეთი გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ლურისტანში არეულობა დაიწყო, თუმცა პროვინცია ერთი წლის წინად სრულებით განიარაღებულ იქნა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის ან არ იყო სავსებით განიარაღებული, ან ლურებს ახალი იარაღი მიაწოდეს.

ხორუმ-აბადის ლურების განიარაღების საკითხი დაკავშირებულია ბახტიარების განიარაღების საკითხთან. არსებული ხმების მიხედვით ბახტიარეთში აქამდის ბევრია ახალი სისტემის იარაღით სავსე შენობები და არავინ არ ფიქრობს მის ჩამორთმევას. პეჰლევის მთავრობას, სწერს „ხაბლიულ მატინი“, უნდა ახსოვდეს, რომ სანამ ის ამ მხარის მცხოვრებლებს არ განაიარაღებს იქ მყუდროება არ დამყარდება.

„ხაბლიულ მატინი“-ს ცნობით, ქალაქ დისფულზე თავდასხმის დროს ლიფურებთან ერთად გამოვიდნენ აგრეთვე ბახტიარები (ბახტიარები იყოფიან ორ ჯგუფად: ხევტლენგი და ჩეხარლენგი პირველი ჯგუფი უფრო ძლიერია), რომელთაც დაიწყეს ძარცვა შუშტერს და დიზფულს შუა. ამგვარად მდინარე კარუნას ზემო ნაწილი დიდ საფრთხეში ჩავარდა. ამის გამო ახვაზში დაბანაკებული ჯარები გაიგზავნა დიზფულში.

უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთის მთავრობა ენერგიულ ზომებს ღებულობს ლურისტანის წინააღმდეგ, ვინაიდან, თეირანის უკანასკნელი გაზეთების ცნობით, სამხედრო მინისტრი თახმასები ქირმანშაჰში გაემგზავრა ჯარების დასათვალიერებლად და მათთვის ინსტრუქციის მისაცემად.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### პურის ბაზარზე

**მოსკოვი**, 19 თებ. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა უკანასკნელ სხდომებზე აღნიშნა გლეხების მიერ პურის შემოტანის გაძლიერება იანვარში და თებერვალში რაც აიხსნება სოფლისათვის საქონლის მიწოდების საქმის მოწესრიგებით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაფარვის ვადის მოახლოვებით და სხვ.

იანვარში დამზადებულ იქნა 52 მილიონი ფუთი, თებერვალში დაახლოებით მოგვცემს 56—60 მილ. ფუთ პურეულს გეგმით გათვალისწინებულ 45 მილ. ფუთის წინააღმდეგ.

პურის ფასები განმტკიცდა, ხორბალი რამოდენიმეთ გაიაფდა კიდეც.

### ზომები სამუშაო ხელფასის სისწორით გადახდის უზრუნველსაყოფად

**მოსკოვი**, 19 თებ. საკავშირო სახ კომისართა საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი სამუშაო ხელფასის სისწორით გადახდის უზრუნველსაყოფად მშრომელთათვის, რომელნიც მუშაობენ იმ კერძო პირებთან და არტელებში, რომელთაც იჯარით აღებული აქვთ სახელმწიფო სამუშაოები. ხსენებული პროექტის თანახმად ყველა სახელმწიფო დაწესებულებები და წარმოებები კერძო პირებზე და დაწესებულებებზე იჯარის და დაკვეთის გაცემის დროს ვალდებული არიან გადარიცხონ კონტრ-აგენტებისათვის კუთვნილ თანხიდან 10 პროცენტი გირაოს სახით, რაც უზრუნველყოფს კონტრ-აგენტების მიერ მშრომელთათვის ხელფასის მიცემის სისწორეს.

### ავსტრიის მუშათა დელეგაციის ჩასვლა სტალინოში.

**სტალინო**, 19 თებერვ. დილით ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც ზეიმით შეხვდენ საოლქო პროფსაბჭოს წარმომადგენლები, მუშათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მეგობრულ მისალმებების შემდეგ ავსტრიის მუშები დაიყვნენ ჯგუფებად და მაღაროების დასათვალიერებლად გაემგზავრენ.

### კოოპერაციის წარმომადგენელთა გამგზავრება საზღვარგარეთ.

**მოსკოვი**, 19 თებ. დასავლეთ ევროპის კოოპერაციასთან გასაცნობათ და მასთან საქმიანი კავშირის გასაბმელათ „ცენტროსოიუზის“ მიერ საზღვარ-გარეთ იგზავნება 3 დელეგატი.

დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან აგრეთვე წარმომადგენლები: კავკასკავშირის, ჩრდ.-დასავლეთის კავშირის, სატრანსპ. სექციის, ოლქის გარეშე კავშირებისა და „ცენტროსოიუზის“, ქალთა და საორგ. განყოფილებებისა.

### პურის ვაჭრობის ორგანიზაცია

**მოსკოვი**, 19 თებერვ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა 1926—27 წელში პურის ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ გადასწყვიტა, რომ პურის დასამზადებელ ბაზარზე 1926—27 წელს კოოპერაციის გვერდით დატოვებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი სახელმწიფო დამამზადებელი ორგანო „ხლებოპროდუქტი“, რომლის თანხები გაძლიერებულ უნდა იქნეს იმ საშუალებების გადაცემით, რომელიც გამოჰყო სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ და სახელმწიფო ბანკმა პურის ოპერაციებისათვის.

### მატარებლის დამტვრევის გამო.

**ლენინგრადი**, 19 თებ. როგორც იტყობინებოდენ, მოსკოვის სადგურზე სამგზავრო მატარებელს კატასტროფა შეემთხვა 5 თებერვალს. ამის გამო ოქტომბრის რკინის გზის სამმართველომ გაადიდა მატარებლების დამთვალიერებელთა შტატი ლიუბანის, მალაია ვიშერის, ოკულოვკის, შოლომოეს, სპიროვოს, ტვერის და კლინის სადგურებზე, გამოსცა ბრძანება და ინსტრუქცია, რომლის თანახმად პერიოდულად უნდა ხდებოდეს ვესტინჰაუზის მუხრუჭის გასინჯვა და მოწესრიგება.

**მოსკოვი**, 19 თებ. საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა 5 თებერვალს მოსკოვის სადგურში ლენინგრადიდან მომავალი მატარებლის დამტვრევის მიზეზის გამორკვევა, გამოარკვია, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო ვესტინჰაუზის მუხრუჭის ჰაერის გამტარებელი ნაწილის დაზიანება.

მასალების თანახმად, ეს დაზიანება შენიშნა მემანქანემ, მაგრამ 40 ვერსის სისწრაფით მიმავალ მატარებლის შეჩერება შეუძლებელი გახდა.

კატასტროფის დროს მოკლულია 5 კაცი, მძიმე დაჭრილია 13 და მსუბუქად—6.

გზათა სახალხო კომისრის განკარგულებით, კომისიის მიერ შეკრებილი ყველა მასალები გადაეცა სათანადო ინსტანციას გამოსაძიებლად და დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად.

### ჰაერომარხილების გადარბენა

**ტვერი**, 19 თებ. პროფესორმა ბრილინგმა, ავტომობილების საქმის ცნობილმა სპეციალისტმა, „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ პირველი ეტაპი მოსკოვიდან ტვერამდე წარმატებით არის გავლილი.

ტვერში თერთმეტივე ჰაერომარხილი უვნებლებლად ჩამოვიდა. მარხილებმა, მიუხედავად ცუდი გზებისა, გადააჭარბეს დანიშნულ საშუალო სისწრაფეს—45 კილომეტრს საათში.

### გლეხი ქალების არჩევა სასოფლო საბჭოებში

**რიაზანი**, 19 თებ. შემეტოვის სასოფლო საბჭოში არჩეულია 13 გლეხი ქალი, მათ შორის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია კომკავშირელი ქალი.

## უკრაინა

### ინვალიდების გამოყენება სამუშაოდ.

**ხარკოვი**, 19 თებ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს შრომის განყოფილებამ დაიწყო ხარკოვის უდიდეს წარმოებათა გამოკვლევა იმ მიზნით, რომ ინვალიდები, განსაკუთრებით უს-ნათლონი, გამოყენებულ იყვნენ სამუშაოთ.

### ექიმის მოკვლა.

**ჟიტომირი**, 19 თებ. სოფ. ლიუბომირკაში მხეცურათ მოჰკლეს რაიონის ექიმი იაშ ნსკი, რომელსაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ადგილობრივი უღარიბესი გლეხობა. მკვლელობა მოხდა იმ საღამოს, როცა ის აირჩიეს სოფლის საბჭოს წევრათ.

დაიწყო გამოძიება. ეჭვი აქვთ ადგილობრივ „კულაკებზე“.

### მღვდელ გორიაჩკინის საქმე.

**კიევი**, 19 თებ. დამთავრდა მღვდელ გორიაჩკინის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა მძარცველთა ბანდებში მონაწილეობა.

ბრალმდებელი თხოულობდა დამნაშავის სიკვდილით დასჯას. დამცველს საკმაოთ მიაჩნდა რვა წლის საპატიმრო. სასამართლომ სრულიად უდანაშაულოთ იცნო იგი და სრულიად გაანთავისუფლა.

### გლეხებზე ტყეების გადაცემა.

**ხარკოვი**, 19 თებ. უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოკვლევა მოახდინა გლეხებზე ტყეების გადაცემისა და აღმოჩნდა: დღემდე გლეხობაზე გადაცემულია ერთი მილიონ დესეტინამდე ტყეები, რაც შეადგენს გადასაცემ ტყეების 70 პროცენტს.

### ახალი დიდი კაპიტალური მაღაროების მოწყობა.

**ხარკოვი**, 19 თებ. სამხრეთის სამადნო ტრესტი აწარმოებს მუშაობას დიდი კაპიტალური მაღაროების გასათხრელად ლენინის, ოქტომბრის სახელობის და არტემოვსკის მაღნებში.

სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ახალი მაღაროს გასათხრელად ნიკოპოლის რაიონში, სადაც წლიურად ამოღებული უნდა იქნეს 30 მილ. ფუთი შავი ქვა.

### ომამდე არსებულ დონის გადაცილება.

**ეკატერინოსლავი**, 18 თებ. ლენინის სახელობის ქარხნის მარტენის ცეხმა შრომის ნაყოფიერებით ომამდე არსებულ დონეს გადააჭარბა. მიმდინარე წლის იანვარში მუშაობდა სამი ღუმელი და დამზადებულ იქნა 470.000 ფუთი ფოლადი, მაშინ როცა 1923 წლის იანვარში მხოლოდ 436.000 ფუთი დამზადდა.

# საკავშირო აღწერა

**მოსკოვი**, 19 თებერვ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი მიმდინარე წელს სრულიად საკავშირო აღწერის შესახებ.

კამათის დროს რიკოვმა აღნიშნა, რომ სრულიად საკავშირო აღწერა სისწორით გააშუქებს საკავშირო მრეწველობა - მეურნეობის ყველა დარგებს. ამ აღწერის ნიადაგზე დამყარებული იქნება საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკა და ეკონომიკა. ამიტომ აღწერას წინ უნდა უსწრობდეს ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოების და ცალკე სტატისტიკოსების მხრივ. იმის თქმა, რომ ეს აღწერა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის გარეშე სისწორით ჩატარდება, შეუძლებელია.

საჭიროა სასოფლო - სამეურნეო აღწერა გადატანილი იქნას შემდეგ წლისათვის, ხოლო დანარჩენი აღწერა უნდა მოხდეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

საკითხის განხილვის შემდეგ საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო გადადებული იქნას სასოფლო - სამეურნეო აღწერა 1927 წლ. გაზაფხულამდე.

# ყირგიზეთის ავტ. ს. ს. რესპუბლიკა

**მოსკოვი**, 19 თებ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: ყირგიზეთის ავტონომიური ოლქი გარდაქმნილ იქნას ყირგიზეთის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკათ. ის უნდა შედიოდეს როგორც ფედერატიული ნაწილი რუსეთის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკაში.

# რა ხდება ემიგრაციაში

## საბჭოთა ახალი კოლონია პარიზში

31 იანვარს პარიზში მცხოვრებ ქართველ საბჭოთა მოქალაქეებმა მოახდინეს გადარჩევა „ახალი ქართული საზოგადოების“ გამგეობისა.

ეს საჭირო იყო, რადგან რამოდენიმე წევრი წინად არჩეულ გამგეობისა უკვე საქართველოში დაბრუნდა უკანასკნელად გამგზავრებულ ჯგუფებთან ერთად.

ახალი გამგეობა შესდგა შემდეგი პირებისაგან:

თავმჯდომარე: მიხ. ზუბალაშვილი (ექიმი).

მდივანი: ალ. ჭაბუკიანი (სტ. სექციის თავმჯდ.)

ხაზინადარი: მამია ხუხუნი (იურისტი, ემიგრანტული კოლონიის გამგეობის ყოფილი წევრი).

წევრნი: გრ. მიქაძე (ექიმი) და ნიკ. ლამბაშიძე (მხედარი). საქმეთა მმართველად არჩეულია ვალენტინა ვაშაძე.

როგორც ამ სიიდან ჩანს, პარიზის საბჭოთა ქართული საზოგადოების ახალ გამგეობაში აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი ადარ იღებენ მონაწილეობას.

ეს იმიტომ არის ასე, რომ ჩვენ გვსურს, ქართულმა საბჭოთა კოლონიამ მოკიდოს ხელი უმთავრესად ფილანტროპიულ და კულტურულ საქმიანობას.

პოლიტიკისათვის არის სხვა დაწესებულებანი, კერძოდ პრესა.

ჩვენმა კოლონიამ კი უნდა შექმნას პარიზში ის, რაც უკვე არის საქართველოში: საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომლის მონაწილეობა შეუძლია ყოველ ქართველს, რომელსაც უნდა იყვეს რეალურად არსებული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, და რომელიც ამიტომ ლოიალურად სცნობს თავის მოქალაქობრივ ვალდებულებას არსებულ საქართველოს რეჟიმის და მთავრობის მიმართ.

აქედან ცხადია, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ფუნქციებში არ უნდა შედიოდეს აქტიური პოლიტიკური ბრძოლა ანუ „პროპაგანდა“.

ქართულმა საბჭოთა კოლონიამ უნდა დააკმაყოფილოს ის საჭიროებანი, რომელიც აქვს უცხოეთში მყოფ ქართველ მოქალაქეთ, მათ შორის იმ აპოლიტიკურ ნაწილს ქართული ემიგრაციისას, რომელიც უმრავლესობას შეადგენს პარიზში.

ეს აპოლიტიკური ემიგრანტული მასა არც ერთ ანტიბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციაში არ მონაწილეობს, მაგრამ მას ეშინია საბჭოთა პლატფორმაზე დადგომა, რადგან მას ჰგონია, რომ ეს ბოლშევიკურ პოლიტიკურ მუშაობის დაკისრებას უდრის.

პარიზის საბჭოთა კოლონიის ახალი გამგეობის პერსონალური შემადგენლობა იმის თავდებია, რომ ამ უპარტიო აპოლიტიკურ ემიგრანტულ მასას საშუალება ექნება გამონახოს საერთო ენა საბჭოთა კოლონიასთან და ამით ხელი შეუწყოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენას და სამშობლოში დაბრუნებას.

სანამ ეს მასა უცხოეთში იქნება, საბჭოთა კოლონიას შეუძლება ხელი შეუწყოს ქართველ მოქალაქეთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; ამისათვის კოლონიას დღესვე შეუძლია მოაწყოს: ურთიერთშორის დამხმარე კასა, საექიმო და იურიდიული კონსულტაცია.

კოლონიას აქვს აგრეთვე ხელთ ასამდე ახალი სამეცნიერო და სალიტერატურო ქართული წიგნი, მიღებულია გაზეთ „ახალი საქართველოს“ მიერ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისაგან („სახელგამი“); ამ წიგნებით საძირკველი ჩაეყრება ქართულ ბიბლიოთეკას და სამკითხველოს.

კოლონიამ უნდა მოაგვაროს აგრეთვე შრომის ბიუროს საქმე, როგორც საზოგადოთ, ისე კერძოთ პარიზში არსებულ საბჭოთა დაწესებულებებისათვის, რადგან ამ უკანასკნელში (კერძოთ სავაჭრო წარმომადგენლობაში) ქართველ მოქალაქეს ისეთივე უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს სამსახური, როგორიც აქვს საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების მოქალაქეთ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პარიზის უპარტიო ქართული ემიგრაცია და კერძოთ უპარტიო ქართული ინტელიგენცია, რომლის შორის მრავალი სასარგებლო სპეციალისტი მოიპოვებოდა საქართველოს აკადემიურ, ტეხნიკურ, ინდუსტრიალურ და კომერციულ დარგისათვის, სათანადო ანგარიშს გაუწევს მდგომარეობას და ეცდება ახალი ქართული კოლონიის საშუალებით კვლავ გააბას სამშობლოსთან გამაერთიანებელი, დღეს გაწყვეტილი, ძაფი.

ქართულ ინტელიგენციას მართებს ამ მხრივ სომხური ინტელიგენციის, კერძოთ პარიზში მყოფ ემიგრაციის, მაგალითით იხელმძღვანელოს.

ძველ, ემიგრანტულ ქართულ კოლონიაში შექმნილი მდგომარეობაც უნდა ამას აფიქრებდეს ყველა პატიოსან მოქალაქეს.

მართლაც, სანამდის უნდა ითმინონ მათ ის პროვოკაციური, პროვოკატორული და ხულიგანური ინცინდენტები, რომელთაც დაწყებული შარშანდლიდან უმართავენ ქართულ კოლონიის კრებებს ყოფილი დენიკინელი ნიკოლოზ დგებუაძე და მისი მეგობარი [illegible] მიშა კედია?

ამ პროვოკაციის მსხვერპლი გახდა უკვე რამოდენიმე ქართველი იმისათვის, რომ მათ „დააბრალეს“ სამშობლოში დაბრუნების სურვილი (ასე მოუვიდა სტუდენტ გ. მუსხელიშვილს, მხატვარ დ. კაკაბაძეს და უკანასკნელად არტისტ ჯაბადარს).

სანამდისინ უნდა ითმინოს ეს უპარტიო ემიგრანტულმა მასამ?

ვ. ვ.

# საბჭოთა კოლონია პრაღაში

### (წერილი პრაღიდან*)

ჩვენ გარშემო აქ ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა არის, როგორც ქართულ, ისე რუსულ ემიგრაციაში. რასაკვირველია ჩვენ არასოდეს არ დავიმცირებთ თავს იმდენათ, რომ დავიწყოთ იმ ჭორების ვაფანტვა, რომლებსაც ავრცელებენ ჩვენზე ზოგიერთი აქ მყოფი ქართველები.

მაგრამ, როდესაც ჩვენ გვეკითხებიან, მართალია თუ არა რომ ჩვენ გავკომუნისტდით, რომ ჩვენ ბოლშევიკების აგენტები გავხდით და თუ აქამდე, ემიგრაციაში ყოფნით, არ სცნობდით საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, რამ მოახდინა თქვენში ასე უეცრად გარდატეხა? მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში, მდგომარეობას და ყველა ამ კითხვებზე გარკვეულად პასუხი გავსცეთ.

ვართ თუ არა ჩვენ კომუნისტები.

ჩვენ ვერავის ვერ დავპირდებით იმას, რომ მომავალში, როდესაც რომელიმე ჩვენთაგანი დაბრუნდება სამშობლოში და თავისი თვალით ნახავს იმას, რაც იქ არის გაკეთებული, როდესაც იგი ჩაებმება იმ შემოქმედებითი მუშაობაში, რომელიც იქ არის დაწყებული და შეადარებს იმას, რაც მან აქ განიცადა და ნახა, რომ ის არ შეიცვლის აზრებს და საბოლოოდ არ დარწმუნდება იმაში, რაშიაც ის ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა.

მაგრამ, იმის თქმა, რომ ახლა ჩვენ ყველანი ვართ კომუნისტები, არის უაზრობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ემიგრანტის შეშინებულ და გზა-კვალ აბნეულ აზროვნებაში.

ჩვენ ვართ საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქენი, ამოძრავებულნი მხურვალე სიყვარულით სამშობლოსადმი, სურვილით და გამოცდილებით.

ჩვენი პოლიტიკური პლატფორმა მარტივია. იგი სავსებით ამოიწურება შემდეგი ორი დებულებით, რაშიდაც ჩვენ ყველანი მტკიცეთ შეთანხმებულნი ვართ.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ვცილდებით ემიგრაციას, რომლის უნებლიე მონაწილენი დღემდე ჩვენ ვიყავით. ჩვენ ვგმობთ ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელიც ყალბ იმედებით კვებავს ქართველ ხალხს და ამხედრებს მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ხდება მიზეზი ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისა.

მეორე მხრივ ჩვენ ვცნობთ საბჭოთა ხელისუფლებას და დიქტატურას საქართველოში, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მისი მუშაობა მიმართულია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის აყვავებისაკენ. ამიტომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არის ბრძოლა ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

ახლა ჩვენ განკარგულებაშია ოთხი წლის პრაქტიკა, როგორც ემიგრაციის პოლიტიკისა, ისე საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისა საქართველოში და ამ პრაქტიკამ ჩვენ ნათლად დაგვანახვა თუ ვის აქვს უკეთ გათვალისწინებული ქართველი ხალხის მომავალი და ვინ რა გააკეთა მისთვის.

მიუხედავათ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ჩვენ ახლა ვიცით, როგორი ენერგიული მუშაობა არის დაწყებული საქართველოში.

მომავალში ჩვენი კოლონიის დაარსების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა უნდა შევეცადოთ, მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ სამშობლოსთან და მაშინ ჩვენ გვექნება სრული და უტყუარ ცნობებზე დაყრდნობილი წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაზე საქართველოში.

მაგრამ იმ ცნობების მიხედვითაც, რომლებიც დღეს ჩვენ განკარგულებაშია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კიდევ რამოდენიმე წელიწადი ასეთი მუშაობისა და რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი საქართველოს დემოკრატიისა და ინტელიგენციის სახით, საბჭოთა ხელისუფლებას ექნება ყველაზე უფრო საიმედო და ყველაზე უფრო შეგნებული და გულწრფელი დამცველი.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საქართველოში, სამწუხაროთ კიდევ მოიპოვება ისეთი ნაწილი, რომელიც ემიგრაციის უპასუხისმგებლო პოლიტიკის ობიექტს წარმოადგენს.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, თუ რა მძიმე ტკივილები მიაყენა ქართველ ხალხს ასეთი პოლიტიკის აყოლამ. წარსულის გაკვეთილები და საქართველოს მომავალი კეთილდღეობა გვავალებს ჩვენ ყოველი ღონე ვიხმაროთ, იმისათვის, რომ სამუდამოთ შეუძლებელვყოთ ისეთი ბოროტი ავანტიურების განმეორება მომავალში, რომლებსაც საუბედუროთ, ჰქონდა ადგილი საქართველოში.

და თუ ჩვენ შორის არიან ისეთები, რომლებსაც არა აქვთ ყოველივე ეს გათვალისწინებული, უკეთესია მათ ეხლავე გამოარკვიონ თავისი მდგომარეობა. ჩვენ იმდენად არ ვსაჭიროებთ სამშობლოს. უჩვენოთ დაწყებული საქმე, უჩვენოდაც კარგათ წავა.

ეს მოკლედ ყოველივე ის, რამაც გამოიწვია ჩვენი „გაბოლშევიკება“ და ასეთი „უეცარი“ გარდატეხა.

ალ. ხაბურზანია.

„ახალი საქართველო“ № 19.

---

*) იბეჭდება შემოკლებით.

# უკანასკნელი ცნობები

### ახალი ხანა

**ლონდონი**, 19 თებ. როგორც ანგორიდან იტყობინებიან, მეჯლისის მიერ ახალ სამოქალაქო კოდექსის მიღების დროს იუსტიციის მინისტრმა განაცხადა:

„დიდი ხნის უსამართლობა დაძლეულია, ახალი კანონი ოსმალოს ქალს აძლევს იმ უფლებებს, რომლის ღირსიც ის არის და აკისრებს მას მთელ რიგ მოვალეობებს“.

### სახელმწიფო გადატრიალების ცდა

**პარიზი**, 18 თებ. საფრანგეთის სენატის ფინანსიური კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პალატის მიერ მიღებული ფინანსიური კანონპროექტი ბიუჯეტში სტოვებს 4 მილიარდიან დეფიციტს.

სენატის ფინანსიური კომისიის წინადადებით მთავრობამ შეიტანა სენატში იმ გადასახადების პროექტები, რომლებიც უკვე უარყო პალატამ.

სოციალისტები, მემარცხენეები და რადიკალები აცხადებენ, რომ ბრიანის ცდა დაეყრდნოს სენატს პალატის წინააღმდეგ, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ვინაიდან სენატს ფინანსიურ საკითხებში უფლება აქვს განიხილოს მხოლოდ ის კანონები, რომლებიც მიღებულია პალატის მიერ, მაგრამ არავითარი უფლება არ აქვს მიიღოს ახალი კანონპროექტი.

მემარჯვენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენი“ აცხადებს, რომ ბრიანის ცდა დაეყრდნოს სენატს პალატის წინააღმდეგ—ეს უდრის სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის ცდას.

### ჩემბერლენის განცხადება

**ლონდონი**, 18 თებ. უცხო ჟურნალისტების მიერ გამართულ საუზმეზე ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

„ის პოლიტიკა, რომელიც დაიწყო ლოკარნოში არ განხორციელდება რამდენიმე თვეში, ან რამდენიმე წლის წადში. ის თანდათანობით უნდა გაიშალოს დაინტერესებულ ხალხების ლოიალიზმით. ლოკარნო არაა ერთი კაცის ან ქვეყნის საქმე, ეს არის 7 სახელმწიფოს წარმომადგენლის საქმე, რომლებმაც გადასწყვიტეს გადაარჩინონ თავისი შვილები იმ უბედურების განმეორებას, რომლის მოწამენი ისინი იყვნენ.

როგორი იქნება ხალხთა ლიგის შემადგენლობა მომავალში? მე არ შემიძლია ამის შესახებ რამე განვაცხადო აქ, რადგან მთავრობას ამ საკითხის შესახებ არ მიუღია განსაზღვრული გადაწყვეტილება.

ამ საკითხს, ე. ი. ხალხთა ლიგის საბჭოს შემადგენლობას, არ შეიძლება შევეხოთ ომის პირობების თვალსაზრისით. ჩვენ არ უნდა დავისახოთ მიზნათ. თუ როგორ განვამტკიცოთ ცალკე სახელმწიფოების ჯგუფები. თუ ჩვენ ასე განვიხილეთ ეს საკითხი, მაშინ ვერაფერს ვერ გადავწყვეტთ.

ერთად-ერთი კითხვა, რომელიც ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს თავს, ეს იმ არის—როგორ მოვაწყოთ ხალხთა ლიგის საბჭო ისე, რომ მან შესძლოს დიდი პასუხისმგებლობის შესრულება, რომელიც მას აქვს დავალებული.

# ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

**პრაგა**, 18 თებ. ბენეშის წინააღმდეგ გამართულ ობსტრუქციაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა კომუნისტებმა; ამის გამო წარმოიშვა დიდი კონფლიქტი გერმანიის და ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის.

„პრავო ლიდუ" აცხადებს, რომ გერმანელმა ესდეკებმა მხარი დაუჭირეს ჰუნგრეთის ყალბი ფულის მჭრელებს. გაზეთი იმუქრება, რომ ამ საქმეს ის გაასაჩივრებს მეორე ინტერნაციონალში. გერმანელი სოციალ-დემოკრატები თავის მხრივ ბრალს სდებენ ჩეხიის სოციალ-დემოკრატებს, რომ უკანასკნელები აქტიურ დახმარებას უწევენ ხორტის რეჟიმის განმტკიცებას „ჰუნგრეთის ფ. წ. გაყალბების" დროს.

**პრაგა**, 18 თებერვალი. გერმანელმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა, მენშევიკებმა და ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტებმა პარლამენტში შეიტანეს რეზოლიუცია მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან უკანასკნელმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი და საშუალება მოუსპო ეროვნულ უმცირესობათ ისარგებლონ თავიანთი დედა-ენით.

# მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

## ბელგია

### შეუთანხმებელთა პოლიტიკის მეოხებით

**პარიზი**, 18 თებ. ბელგიის „მელითონეთა 8 თვის ბრძოლა დამთავრდა მუშების სრული დამარცხებით. გაფიცვა დაიწყო 5 ივნისს და გამოწვეული იყო დამქირავებლების ცდით, 5 პროცენტით შეემცირებიათ სამუშაო ხელფასი.

მენშევიკური ბელადების შეუთანხმებელი პოლიტიკის მეოხებით, მუშები, მრავალი მსხვერპლის გაღების შემდეგ, იძულებული გახდენ დათანხმებულიყვენ სამუშაო ხელფასის 5 პროცენტით შემცირებაზე.

# რა ხდება უცხოეთში.

## ჩეხო-სლოვაკია

### საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი

არც ერთი საკითხი არ სდგას ასე მწვავედ ჩეხო-სლოვაკიაში, როგორც საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი. ცნობას მხარს უჭერენ ყველა პარტიები, რომლებიც მთავრობის კოალიციაში შედიან, გარდა ნაციონალ-დემოკრატებისა. ეს პარტიები არ თვლიან საჭიროდ დაცდას რომელიმე „ხელსაყრელი მომენტისათვის", არამედ მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების გარეშე ცნობას.

ნაციონალ-დემოკრატების ნაწილიც კი ცნობის მომხრეა. ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებული არიან ფინანსიური და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესები მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას და სავაჭრო კავშირის გაფართოებას.

მრეწველთა კავშირის უკანასკნელ ყრილობაზე, მსხვილი მრეწველები, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრები, მოითხოვდენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას, რადგან „ამას მოითხოვს ჩეხიის მრეწველობის ინტერესები". „საბჭოთა კავშირის ცნობა,—აღნიშნავდენ ისინი,—გააცხოველებს ჩეხო-სლოვაკია—საბჭოთა კავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობას".

ცნობის წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ პარტიის ზედაფენები და პარტიული ინტელიგენციის ნაწილი, კრამარჟის მეთაურობით, რომელიც რუს თეთრგვარდიელთა დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება. ჩეხოსლოვაკიაში მოკალათებული თეთრგვარდიელები კრამარჟის „ლორძინებული რუსეთის" პრემიერის პოსტს პირდებიან.

ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა მახლობელი დღეების საკითხია. ასახელებენ სხვადასხვა ვადებს. არჩევნების დამთავრების შემდეგ ამბობდენ, რომ ცნობა მოხდება სულ მოკლე ხანში, შემდეგ—ვადათ აღნიშნავდენ 1925 წ. დეკემბერს, შემდეგ—იანვარს. ახლა ამბობენ, რომ ცნობა მიმდინარე თვეში მოხდება.

ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ბენეშს სურს ეს საკითხი საჩქაროდ მოაგვაროს, მაგრამ აშინებს დაშლა კოალიციის, რომელშიც ნაციონალ-დემოკრატები შედიან. ბენეშს საჭიროდ სთვლის, რომ საკითხი წინასწარ გაირჩეს პარლამენტში.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „პრავო ლიდუ" იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე იქნება განხილული. ამ დრომდი ნაციონალ-დემოკრატებთან გაიმართება მოლაპარაკება, რათა მათ „საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი არ გამოიყენონ ომის დასაწყებათ," ე. ი. რათა ისინი არ გავიდენ კოალიციიდან, რაც მთავრობის გადადგომას გამოიწვევდა.

პრესაში ყოველდღე აურაცხელი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები იბეჭდება ცნობის შესახებ. ბენეშმა კოალიციონური პარტიების წარმომადგენელთა კრებაზე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებასთან დაკავშირებით სწერდენ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა მოხდება პარლამენტის მოწვევამდე და მის გარეშე: ჩეხო-სლოვაკიის საგარეო სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლის წესით. ეს იქნებოდა ფორმალური დათმობა კრამარჟისა და მისი პარტიისადმი, რომელიც მაშინ შესძლებდა „თავის გამართლებას„ იმით, რომ ცნობა უკვე მომხდარი ფაქტია და მას უნდა შეურიგდეთ.

იმავე დროს საღამოს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პრემიერ შვეჰლას განცხადებით, საბჭოთა კავშირის ცნობა მოხდება უახლოეს ხანში, რომ ცნობის წინააღმდეგი არიან მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატები, რომლებიც ალბათ დათმობაზე წავლენ. ამასთანავე გამოქვეყნდა ცნობა, რომ პრემიერი შვეჰლა პირადათ აწარმოებს მოლაპარაკებას ნაციონალ-დემოკრატებთან და ცდილობს დაითანხმოს ისინი საბჭოთა კავშირის ცნობაზე.

პარლამენტის კომფრაქციამ განაცხადა, რომ თუ საბჭოთა კავშირი არ იცნეს პარლამენტის მოწვევამდე, ისინი შეიტანენ სასწრაფო შეკითხვას, რათა დაინახონ, თუ ვინ გაბედავს პარლამენტში საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ გალაშქრებას.

სოციალ-დემოკრატები ისე დააფრთხო კომუნისტების ამ განცხადებამ (მუშათა მასებში ძლიერ პოპულარულია საბჭოთა კავშირის ცნობის ლოზუნგი და ს. დ. ეშინიათ, რომ ამ ლოზუნგის წინააღმდეგ გალაშქრება კიდევ უფრო გააძლიერებს კომპარტიის გავლენას მუშებში), რომ თავის პრესაში ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ ცნობის სასარგებლოდ.

ამრიგად, ცნობის წინააღმდეგია მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატების მცირე ჯგუფი კრამარჟის მეთაურობით. კოალიციონურ პარტიების უმრავლესობა ცნობის მომხრეა, ცნობის სასარგებლოთ არის განწყობილი საზოგადოებრივი აზრიც, მუშათა მასებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ყველაფერი ეს იმის თავდებია, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი დადებითად გადაიჭრება უახლოეს ხანში.

# სასოფლო მეურნეობა

## სასოფლო-სამეურნეო მანქანები გლეხობისათვის

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების მიწოდების ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზოგადოების („ზაკსელმაშ") თავმჯდომარემ ამხ. წიწვაძემ განაცხადა:

ამიერ-კავკასიაში მრავალგვარ კლიმატიურ პირობების გამო ჩვენ ვხედავთ სხვადასხვაგვარ სასოფლო-სამეურნეო კულტურის და დარგების განვითარებას. სასოფლო მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას გვიკარნახებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები, არამედ გლეხობის სოციალურ-ეკონომიური პირობებიც, გლეხობის, რომელიც ზოგიერთ ადგილებში მწვავე კრიზისს განიცდის მიწის სიმცირის და მრეწველობის განუვითარებლობის გამო.

სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციისათვის საჭიროა საწარმოო საშუალებათა სათანადო განვითარება. გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების წესიერ და გეგმიან მიწოდების ორგანიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო აგრიკულტურულ-სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის, არამედ გლეხობის სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმისთვისაც.

ჩვენს სოფელს უკვე ესმის გაუმჯობესებულ საწარმოო იარაღების უდიდესი მნიშვნელობა, რასაც ჩვენ ვხედავთ იქიდან, რომ გლეხობის მხრით თანდათან იზრდება მოთხოვნილება ტრაქტორებსა და სხვა რთულ მანქანებზე.

დაკვეთების მიხედვით მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 450 ტრაქტორი, მაშინ როცა წარსულ წლებში შემოვიდა მხოლოდ 325 ტრაქტორი. ასეთივე სურათია სხვა რთულ მანქანების მიმართ. უნდა კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ უმოქმედო მანქანების პროცენტი თანდათან მცირდება რაც აიხსნება ტრაქტორისტების და მექანიკოსების მომზადებით ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში დაარსებულ სპეციალურ კურსებზე.

ტრაქტორმა უდიდესი მნიშვნელობა მიიღო ბამბის მეურნეობაში. განსაკუთრებული ავტორიტეტი მან მოიპოვა აზერბეიჯანის მებამბეებს შორის. იგივე ითქმის სომხეთზე, განსაკუთრებით იმ რაიონებზე, სადაც საქონლის სიმცირეს განიცდიან. რაც შეეხება საქართველოს, აქ ტრაქტორების გამარჯვება ეჭვს გარეშეა კახეთის და ქართლის მრავალ რაიონებში, სადაც ყოველი წლით მატულობს მოთხოვნილება ტრაქტორებზე. საქართველოში მიმდინარე წელს ტრაქტორების რიცხვი 80-მდე მიაღწევს, ეხლა კი ფაქტიურად მუშაობს 10 ტრაქტორი, დანარჩენები მუშაობენ აზერბეიჯანში და სომხეთში.

„ზაკსელმაში" უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ამიერ-კავკასიის მომავალ სასოფლო სამეურნეო გამოფენას. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდის გზით შეგვიძლია გამოვარკვიოთ მათი ვარგისიანობა ქვეყნის სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ პირობებში. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ იმ შეცდომებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდათ აქამდის, როცა შემოგვქონდა ადგილობრივი პირობებისათვის სრულიად უვარგისი მანქანები.

# მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენაზე

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო საპაიო ამხანაგობა მიწვეულია საბჭოთა საქონლის მუდმივ გამოფენაზე ბერლინსა, ვენასა, მილანსა, პარიზსა, კოპენჰაგენსა, სტოკჰოლმსა, ლონდონსა, ქაბულსა, პეკინსა, ტოკიოსა, კონსტანტინოპოლსა და ათინაში. გამოფენის ორგანიზატორია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატი.

გამოფენის მიზანია ჩვენი საგარეო ვაჭრობის ფორმის გაცნობა საზღვარგარეთელ კომერციულ წრეებისათვის.

გამოფენის მოსაწყობ და შესანახ ხარჯებს იკისრებენ სავაჭრო ორგანიზაციები, მათი ოპერაციების რიცხვის და სიდიდის მიხედვით. გამოფენა იქნება სავაჭრო წარმომადგენლობის განმგებლობაში.

# ამხ.-ბა „სვირი"-ს გამოკვლევა

საქართველოს მ. გ. ინსპექციის სახკომატის მიერ ჩატარებულ მევენახე-მეღვინეთა ა-ბა „სვირი"-ს სარევიზიო გამოკვლევამ აღნიშნა როგორც დადებითი მხარე და მიღწევანი, აგრეთვე საზოგადოების მოქმედების უარყოფითი მხარეც.

დადებით შედეგებს წარმოადგენს ამხანაგობის მოგება 1924 წ. 11 იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე—9.148 მან. 58 კაპ.; შემდეგ 1924 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წ. 1-ლ ოქტომბრამდე—10.106 მან. 20 კაპ. ამხანაგობას შეძენილი აქვს ქონება 7.318 მან. 17 კაპ. ღირებული, შექმნილი აქვს (სათადარიგო და სხ.) თანხა—8.749 მან. 01 კაპ., და შესყიდული აქვს ბანკების პაიები—1.416 მან. ამასთან ერთად ამხანაგობას გახსნილი აქვს ქ. ადესაში განყოფილება, რომელსაც კომერციული პრინციპი გაუმართლებია და მტკიცე საფუძველი ჩაუყრია უკრაინის ბაზარზე სვირის ღვინოებისათვის.

ამხანაგობა სარგებლობს საჭირო კრედიტებით ბანკებში და პირადად ამართლებს უკანასკნელთა ნდობას და ამნაირად მისი ფინანსიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამხანაგობის ოპერაციები ხელს უწყობს გლეხთა ნაწარმოების (ღვინის) ღირებულების აწევას, რაც განვითარება-წარმატების გზაზე აყენებს მევენახე-მეღვინეობის მეურნეობას. ამხანაგობაში ჩაბმულია უმთავრესად მშრომელი გლეხობა. მხოლოდ აქ უნდა აღინიშნოს საწევრო გადასახადის სიდიდე, რაც ხელს უშლის ამხანაგობაში მშრომელ გლეხობის ფართე მასსის შესვლას და ამიტომ საერთო რიცხვი წევრებისა (224) მაინც უნდა ჩაითვალოს მეტად მცირედ, ვინაიდან სვირის რაიონში დაახლოვებით არის 2960 კომლი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მცხოვრებთა კოოპერატივში ჩაბმის საქმეში ამხანაგობის გამგეობას ვერ გამოუჩენია საჭირო უნარი პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებით გაემრავლებია ამხანაგობის წევრთა რიცხვი.

შესყიდული ღვინის ანგარიშები თავის დროზე ეძლევა გამყიდველ-გლეხებს.

ამხანაგობის მოქმედების უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ წარმოების საქმე არ არის რაციონალურად დაყენებული, რასაც გვიჩვენებს 1925 წ. ოპერაციები. მაგალითად, გ. წ. ამხანაგობას შეუძენია 11.599 ფ. ყურძენი რომელსაც უნდა მოეცა არა ნაკლებ 8.000 ვედრა ღვინო, ნამდვილად კი ამხანაგობას მიუღია მხოლოდ 7.740 ვედრა, ე. ი. 260 ვედრით ნაკლები, ამ ღვინის საერთო რაოდენობიდან გ. წ. 5 იანვრამდე ამხანაგობას გაუყიდია 4.000 ვედრა და ამავე რიცხვისათვის დარჩენილია მარანში 2.962 ვედრა, ე. ი. 778 ვედრით ნაკლები. გარდა ამისა 11.599 ფ. ყურძნიდან დაწურვის შემდეგ უნდა დარჩენოდა 4.929 ფ. ჭაჭა, ხოლო ამ უკანასკნელს გამოხდის შემდეგ უნდა მოეცა სულ ცოტა 24.645° არაყი, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ა. წ. 5 იანვრამდე ამხანაგობას გაუყიდია 20.269° არ დარჩენილა მარანში—3.450°, ე. ი. დანაკლისი არყისა უდრის 926°.

ამხანაგობის მიერ ღვინის შესყიდვას აწარმოებს შემსყიდველი კომისია, რომლის წევრები—გლეხები ნათესავები არიან ამხანაგობის გამგეობის წევრებისა. შემსყიდველ კომისიის ასეთი შემადგენლობა ეჭვს იწვევს კომისიის მუშაობის ობიექტივობაში. რაც დასტურდება იმით, რომ 1924—25 წ. შეძენილ ღვინოებში ყველაზე უფრო ძვირად ამხანაგობას შეუძენია ღვინო გამგეობის ზოგიერთ წევრებისაგან და მათი ახლობლებისაგან.

ამხანაგობის არა ხელსაყრელ ოპერაციებს წარმოადგენს ორი ხელშეკრულება, რომელიც მას დაუდვია უკრაინის მიწათმოქმედების სახკომატთან არსებულ სახელმწიფო მევენახე-მეღვინეთა სამმართველოსთან 25.000 ვედრა ღვინის მიწოდების შესახებ, და მეორე—„სოტრაინ"-თან—5.000 ვედრა ღვინის ჩაბარების შესახებ. ამ ხელშეკრულებების დადების დროს ამხანაგობას ვერ გაუთვალისწინებია ღვინოზე ფასების სისტემატიური ზრდა, რის გამო ორივე ხელშეკრულება საზარალო შეიქმნა და, თუ პირობები არ იქნა შეცვლილი, დიდ ზარალსაც მისცემს ამხანაგობას. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფასების ასეთი არაჩვეულებრივი ზრდა ვერ გაუთვალისწინებია არა მარტო „სვირი"-ს ამხანაგობას, არამედ სხვებსაც.

ამხანაგობის განყოფილებებს მცხეთაში და ხაშურში ვერ გაუმართლებიათ თავისი დანიშნულება, რის გამო აუცილებელი შეიქნა მათი ლიკვიდაცია. ხოლო რაც შეეხება ადესის განყოფილებას, აქ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ იმისა, რომ განყოფილება სავსებით გამართლდა კომერციულად, მისი დაარსებით ამხანაგობას დაურღვევია კოოპერატიული პრინციპი. საქმე იმაშია, რომ ადესის განყოფილება გამოდის ბაზარზე „სვირი"-ს ფირმის ქვეშ და ამავე დროს კი იგი ნახევრად კერძო ვაჭრული დაწესებულებაა, განყოფილების მეთაურებს ეძლევათ წმინდა მოგების 50%; ჯერ-ჯერობით განყოფილებას ამხანაგობისათვის არავითარი ანგარიშები და ბალანსები არ წარმოუდგენია და თვით განყოფილება მუშაობს ამხანაგობის კონტროლის გარეშე.

ანგარიშწარმოება წესიერად არ არის დაყენებული, წიგნები უსუფთაოდ არის ნაწარმოები, ინვენტარის და პირადი ანგარიშების წიგნებს შინაური ხასიათი აქვს. გასამართლებელ საბუთების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნილებებს.

რევიზიის დროს სალაროს დააკლდა 170 მან. 80 კაპ.

საგულისხმოა რევიზიით გამორკვეული საზოგადოების გამგეობის მიერ მარანის აშენების საკითხი. [illegible] და საერთო დადგენილებისა, მარანი უნდა აშენებულიყო ზეგის ძირში, ხად. სვირიდან 1½—2 ვერსის მანძილზე, მაგრამ გამგეობამ ეს მარანი აუგია სადგურის ახლოს. მართალია, მარანის სიახლოვე სადგურთან ამცირებს ღვინის სადგურზე გადაზიდვის ხარჯებს, მაგრამ თვით მარანის ადგილმდებარეობა (და სხვა ტეხნიკური ნაკლი) ხდის მას ღვინის დასადუღებლად და შესანახად გამოუსადეგარად.

საქართველოს მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ, მოისმინა-რა რევიზიის მასალები, მიიღო მთელი რიგი კონკრეტულ ღონისძიებებისა ა-ბა „სვირი"-ს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ოპერაციების გასაჯანსაღებლად, რომლების ცხოვრებაში გატარება დაევალა „საქართველოს ღვინო"-ს.

**საქართველოს მ. გ. ინსპექციის სახკომატის საინფორმაციო ნაწილი**

# საბჭოთა არჩევნები

## გზა ქალთა დეპუტატებს

მიმდინარე არჩევნები არაჩვეულებრივი სიცხოველით მიმდინარეობს. აქტიობა ეტყობა სოფლის ყველა ფენებს. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა კრებებს ესწრება ამრჩეველთა ოთხი მეხუთედი ან კიდევ მეტი.

ცხადია, ასეთი აქტივობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ საარჩევნო კამპანია არ შეხებოდა აგრეთვე ქალების ფართე ფენებსაც და სხვებთან ერთად ისინიც არ აემოძრავებინა. რამდენათ დიდია აქტივობა ქალთა შორის, სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ კრებებზე მონაწილეობის მიღებას მოითხოვენ ყველაზე უფრო დაბეჩავებული და კულტურულად ჩამორჩენილი მუსულმანი ქალებიც კი.

ახალციხის მაზრაში მათ შუამდგომლობა აღძრეს, რათა დედაკაცებისათვის ნება დაერთოთ ცალკე შეკრებილიყვენ არჩევნ-ში მონაწილეობის მისაღებათ. თბილისის მაზრის სოფლებ: მსხალდიდში, წოდორეთში და საბურთალო-სარეანში მუსულმან ქალებისგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 48 პროცენტმა, ე. ი. თითქმის ერთმა ნახევარმა. ეს უთუოდ დიდ მიღწევათ ჩაითვლება და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რამდენათ აქტიურია მიმდინარე არჩევნები.

საზოგადოთ კი ძალიან ბევრია ისეთი თემები, სადაც ქალები მამაკაცებთან ერთად თანაბრათ ცხადდებიან საარჩევნო კრებებზე და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კამათში და კენჭის ყრაში.

ამრიგათ, ქალთა ფართე მასების მოძრაობა საბჭოთა არჩევნების ირგვლივ უდავო ფაქტია. მაგრამ ამასთანავე, სამწუხაროთ, ისიც უდავოა, რომ ქალთა ლტოლვას საზოგადოებრივ მუშაობისაკენ წინ ეღობება სოფლის საერთო ჩამორჩენილობა და მამაკაც-ამრჩევლების მტრული განწყობილება ამ მოძრაობის მიმართ.

მთელ რიგ თემებში სასტიკი ბრძოლა დარჩა საჭირო, რომ ახალ საბჭოებში ქალებსაც დათმობოდათ შესაფერისი ადგილი. გლეხი მამაკაცები სასტიკად ილაშქრებდენ დედაკაც კანდიდატების წინააღმდეგ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი ქალები არიან.

როგორც წელს, ისე შარშანაც ჰქონდა ადგილი ასეთ მოვლენას. ისეთ კულტურულათ დაწინაურებულ კუთხეშიაც კი იყო შეხლა-შემოხლა ქალთა და მამაკაცთა შორის, როგორც გურიაა. მამათის თემმა ამ მხრივ ყველაზე მეტად ისახელა თავი წარსულ არჩევნებში.

მოწინავე გლეხობა, ქალთა ორგანიზაციები, პარტუჯრედები და ყვე[illegible]ნოები უნდა ცდილობდენ არ მისცენ გასავალი ამომრჩეველთა ამგვარ წინააღმდეგობას ქალთა მოძრაობის წინააღმდეგ. საჭიროა ფართე აგიტაცია პროპაგანდა, საჭიროა საზოგადოებრივ აზრის წინასწარი შემზადება, რომ თვით არჩევნების დროს აღარ დაურჩეს ადგილი რაიმე გაუგებრობას.

ქალთა შორის დიდია ლტოლვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმისაკენ. ამ ლტოლვას უნდა მიეცეს ფართე გასაქანი და თავისუფალი ასპარეზი.

**გადალმელი.**

## პირველი შედეგები

(წერილი ზუგ. მ.)

საარჩევნო კამპანია ზუგდიდის მაზრაში დაიწყო დეკემბრის მეორე ნახევარში და დღეს თითქმის ყველგან დამთავრებულია.

საარჩევნო კრებებზე ადგილობრივ საბჭოების მუშაობის გარდა მოსმენილი იყო მოხსენებები სამაზრო აღმასკომის მოღვაწეობის შესახებაც.

მაზრის ხელისუფლების ასეთ დახლოვებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში. „ჩვენ არასოდეს არ გვსმენია თუ რას აკეთებდა მაზრის ხელისუფლებაო"—აცხადებდენ გლეხები. აგრეთვე ძალიან შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებში საარჩევნო ინსტრუქციების გაცნობამ. წარსულ არჩევნებში თურმე ერთ ადგილას, თემის ცენტრებში იწვევდნენ საარჩიონო თუ სხვა კრებებს, სადაც დიდ უმრავლესობას არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა. აქ იყრიდენ თავს მხოლოდ შეძლებულები, რომლებსაც ცხენები ჰყავდათ და შეეძლოთ რამდენიმე ვერსის თავისუფლად გავლა კრებაზე დასასწრებლად.

წელს სულ სხვა სურათს დაინახავთ; თავის უბანში, რაკი ძალიან ახლოსაა, არავის ეზარება არჩევნებზე მისვლა.

გლეხობა თითქმის ყველგან აღიარებდა, რომ მათ არა აქვთ შეკეთებული გზები. ხიდები, სკოლები და სხვა. „ყველა ჩვენი და ჩვენი საბჭოების ბრალია, ვინაიდან საბჭო არ გვიძღოდა წინ და ჩვენ ვერაფერი ვერ გავაკეთეთ"-ო, აცხადებდნენ ზოგიერთ თემებში გლეხები.

უკვე კამპანიის შედეგი გვაძლევს ნებას ვსთქვათ, რომ მაზრის მშრომელი გლეხობა და გლეხ-ქალების დიდი უმრავლესობა მიიღებს არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას.

არჩევნები დაიწყო 14 თებერვლიდან, როგორც კამპანიის ჩასატარებლად, ისე არჩევნების სახელმძღვანელოდ პარტიული კომიტეტის მიერ მობილიზაციის წესით გამოყოფილია ყველა თემებში და კუთხეებში 48 პასუხისმგებელი ამხანაგები.

**ი. ქვანია.**

### ახალი საბჭო მუშაობას შეუდგა

(დიღომის თ., თბილ. მ.)

არჩევნები მოხდა სოფ. საბურთალო-სარეანში. ყველა საარჩევნო ყრილობებზე იმართებოდა გაცხოველებული კამათი, სადაც გლეხები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ძველი საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას და ახალ არჩეულ საბჭოსაგან მოითხოვდენ უფრო მეტ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ მუსულმანების სოფლებში: მსხალდიდში, წოდორეთში და საბურთალო-სარეანში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ არჩევნებში. ამ სოფლებში ქალებიდან 48 პროცენტი გამოცხადდა, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

მთელ თემში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 76 პროცენტმა. გლეხები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ კენჭის ყრის დროს, ააშკარავებდნენ ზოგიერთ ძველი საბჭოს წევრების უმოქმედობას. საბჭოში უმეტესი ნაწილი იქნენ არჩეული ღარიბი გლეხები და გლეხ ქალები.

სულ არჩეულია 46 საბჭ. წევრი. მათ შორის: ღარიბი გლეხები 36, ქალები 5 და მშრომელი ინტელიგენტები 5. საერთო რიცხვიდან კომუნისტებია 7, დანარჩენები კი უპარტიონი არიან.

14 თებერვალს თემში დამთავრდა არჩევნები. ამის შემდეგ მოწვეული იყო ადგილობრივ სკოლის შენობაში თემის ახალი საბჭო. ამორჩეული იქნა თემის აღმასკომი 5 კაცისაგან. აღმასკომის თავმჯდომარეთ ერთხმად ამორჩეული იქნა ამხ. ლ. მესხიძე და მოადგილეთ ერვანდ თოფჩიშვილი.

**ი. ღლონტი.**

### ძველი საბჭო არ გამოგვადგა

(უაშქვის თემი, რაჭა)

ძველ საბჭოზე, უკმაყოფილო იყო გლეხობა, ვინაიდან აღმშენებლობითი დარგში თითქმის არაფერი არ აღმოაჩნდა გაკეთებული.. უმწეო მდგომარეობაში არის სკოლები, ქოხ-სამკითხველოს შენობები, გზები, ხიდები და სხვა. აგრეთვე ამ თემში ძალიან გახშირდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, რასაც არ აქცევდა ყოფილი საბჭო ყურადღებას.

მომავალში გლეხობა ცდილობს, რომ საბჭოებში ჩააბან ისეთი პირები, რომელნიც მართლა დაინტერესებული არიან საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ თითქმის მთელი ახალგაზრდობა და ჩვენი გლეხობის საუკეთესო მომუშავენი ზამთრობით გასული არიან თემიდან. დაბრუნდებიან კი გაზაფხულზე, ესე იგი საბჭოთა არჩევნების შემდეგ.

მიუხედავათ ამისა გლეხი მაინც ცდილობს, რომ საბჭოებში არიიონ ისეთები, რომლებიც მართლა იმუშავებენ მათ სასარგებლოთ.

არჩევნებისათვის ემზადებიან გლეხის ქალებიც და იმედია ახალ არჩევნებში მამაკაცებზე არა ნაკლებობა მონაწილეობას მიკაცებზე არა ნაკლებ მონაწილეობას მიიღებენ დედაკაცებიც.

### სამზადისი დასრულებულია

(ოზურგეთი)

არჩევნების წინასწარი კამპანია ყველა თემებში ჩატარებულია.

თემის საბჭოების დიდ უმრავლესობაში სჩანს ნაყოფიერი მუშაობა; მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგ თემებს: მამათი, ძიმითი, შემოქმედი, აცანა, ნაგომარი, დვაბზუ, ხიდისთავი, ლანჩხუთი და ჩოხატაური..

არის ისეთი თემსაბჭოებიც, რომლებმაც საკმარისი უნარი ვერ გამოიჩინეს თემის აღმშენებლობაში, მის კულტურული საქმეების მოგვარებაში; გურიანთის თემსაბჭომ ვერ გამოიჩინა უნარი სკოლების და გზების შეკეთებაში.

დღემდე ქალების მონაწილეობა საბჭოებში საერთოდ სუსტია, რადგან მამაკაცები ზოგიერთ თემებში ეწინააღმდეგებიან დედაკაცების საბჭოში გაყვანას. ამისი დამამტკიცებელია გასული წლის არჩევნების დროს მამათის თემი.

ამ თემში მამაკაცები წინ აღუდგენ ქალების არჩევას საბჭოებში.

ვფიქრობ მიმდინარე არჩევნების დროს ასეთ მოვლენას ადგილი არ დაურჩება და ყველა საბჭოებში დედაკაცებსაც დაეთმობა საკმარისი ადგილი.

არჩევნები პირველ რიგში ჩატარებული იქნება: ლანჩხუთში, ხიდისთავში, ნატანებში და ლიხაურში.

**კ. უჯმაჯურიძე.**

### არჩევნების ქრონიკა

#### შორაპანის მაზრა

— თავისის თემში არჩეულია 23 დეპუტატი, ამათგან 21 მამაკაცი, 2 ქალი, 3 კომუნისტი და 20 უპარტიო.

#### ლეჩხუმის მაზრა

— ცაგერის თემის საბჭოში აირჩიეს 57 წევრი, მათ შორის 54 მამაკაცი, 3 დედაკაცი, 13 კომუნისტი, 5 კომპარტიის კანდიდატი, 3 ახ. კომკავშირელი, 36 უპარტიო.

#### ზუგდიდის მაზრა

— ანაკლიას თემში აირჩიეს 23 დეპუტატი, აქედან 21 მამაკაცი, 2 დედაკაცი, 6 კომუნისტი, 1 კომპარტიის კანდიდატი, 2 ახ. კომკავშირელი, 14 უპარტიო.

#### თელავის მაზრა

— კურდღელაურის თემის საბჭოში გავიდა 77 წევრი, აქედან 61 მამაკაცი, 16 დედაკაცი, 3 კომუნისტი, 12 ახ. კომკავშირელი და 62 უპარტიო.

— ნაფარეულის თემში არჩეულია 35 დეპუტატი, აქედან 30 მამაკაცი, 5 ქალი, 4 [illegible], 6 ახ. კომკავშირელი და 25 უპარტიო.

#### დუშეთის მაზრა

— მაღაროს-კარის თემში არჩეულია 14 წევრი მათ შორის ქალი არ ურევია, არჩეულთაგან 1 კომუნისტია, 1 კომკანდიდატი, 3 ახკომკავშირელი, 9 უპარტიო.

— უკანაფშავის თემის საბჭოში აირჩიეს 9 წევრი, მათ შორის 1 ახკომკავშირელი და 8 უპარტიო.

#### ქუთაისის მაზრა

— პატრიკეთის სათემო საბჭოში გავიდა 62 წევრი, ამათგან ყველა მამაკაცია, არჩეულია 9 კომუნისტი, 8 პარტიის კანდიდატი, 1 ახ. კომკავშირ. და 44 უპარტიო.

— ბაღდადის თემის საბჭოში აირჩიეს 99 წევრი, მათ შორის ქალი არ ურევია. ამორჩეულთაგან 2 კომუნისტი, 6 კომპარტ. კანდიდატი, 2 ახ. კომკავშირელი და 89 უპარტიო.

# ერთი დოკუმენტის გამო

მხედველობაში მაქვს ამხ. ა. დოლიძის ფელეტონი: „ძირითადი საბჭოთა არჩევნების გამო" (გაზ. „კომუნისტი" ა/წ. იანვრის 24-ის № 18). სათაური ვერ გამოხატავს შინაარსს. წერილი შეიცავს გურიაში წარმოებული საბჭოთა მუშაობის შეფასების ცდას, ხოლო ზოგადი ხასიათის მსჯელობა წამძღვარებული აქვს, წინასიტყვაობასავით.

თავაზიანათ რომ ვსთქვათ, ამხ. დოლიძეს **მეტის მეტად დააგვიანდა.** გურიაში დამყარებული მდგომარეობა დიდი ხანია გადმოვიდა საერთო ყურადღების სფეროში. აქ იყო რამოდენიმე პარტიული და სახელმწიფოებრივი კომისია, რომელთაც აღნიშნეს ადგილობრივი მუშაობის ნაკლი და მიღწევებიც. სისტემატიურად ახდენდენ გურიის სათემო საბჭოების გამოკვლევას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორებიც. საკითხი ვრცლად არის გაშუქებული ჩემს მოხსენებაში, რომელიც წიგნაკათ გამოიცა და დაურიგდა ამხანაგებს. საბჭოთა შარშანდელი სრული ანალიზი მიცემულია ც. კ.-ის პოლიტიკურ ანგარიშში. ს. კ. პ. (ბ) მეოთხე ყრილობაზე. ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების მეოთხე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ ხაზგასმით აღინიშნა გურიის საბჭ. არჩევნებში პარტორგანიზაციის გამარჯვება, სწორი პარტიული ხელმძღვანელობა და სიტყვა-სიტყვით ითქვა, რომ „ამჟამად ჩვენ გვაქვს ნორმალური, მუშაობის მხრივ უნარიანი საბჭოები". ამხ. დოლიძე **მაშინ მჭერმეტყველურად სდუმდა.** მაგრამ დუმილი ყოველთვის თანხმობის ნიშანი როდია, და აი, გურიაში არსებული მდგომარეობის პარტიულ შეფასების საბოლოოდ გამორკვევის შემდეგ, **საბჭოების ხელ - ახალი არჩევნების წინა დღით,** ამხ. დოლიძეს თავისი შეხედულება ჩამოუყალიბებია და პარტიის ოფიციალურ ორგანოში აქვეყნებს წერილს.

ავტორი კითხვას პირდაპირ ასე აყენებს:

„გაამართლეს თუ არა მათ (ე. ი. ახალმა საბჭოებმა. გ. კ.) **სოფლის მშრომელთა იმედები?** დააჩნიეს თუ არა ახალმა საბჭოებმა ჩვენს სოფელს რაიმე კვალი? სჩანს თუ არა მუშაობის ნაყოფი?

**სოფლის მშრომელთა იმედები?** დააჩნიეს თუ არა ახალმა საბჭოებმა ჩვენს სოფელს რაიმე კვალი? სჩანს თუ არა მუშაობის ნაყოფი?

**ხომ არ შეუსრულდათ მოწინააღმდეგეებს წინანდელი სურვილი?** (ე. ი. ჩვენი დამარცხება.—კურსივი ყველგან ჩვენია. გ. კ..).

„მრავალი ფაქტების" განხილვამ ამხ. დოლიძე დაარწმუნა **სოფლად (ამ შემთხვევაში გურიაში) საბჭოების ან სრულ უმოქმედობაში, ან მათ სუსტ მუშაობაში".**

არც ერთი ნათელი წერტილი, არც ერთი მიღწევა საბჭოების საქმიანობაში ავტორს არ აღუნიშნავს. ლოღიკას ვერ გახრით, დასკვნა თავის თავად გამომდინარეობს: **გურიის საბჭოებმა „სოფლის მშრომელთა იმედები" ვერ გაამართლეს.**

„მოწინააღმდეგეებს წინანდელი სურვილი" შეუსრულდათ. ეს მაშინ, როცა საბჭოებში შემადგენლობის 41 პროც. რჩეული კომუნისტური ელემენტია, როცა საბჭოებში თავმოყრილია საუკეთესო გლეხური აქტივი — პატიოსანი უპარტიოები. თუ ამ ხალხმა „სრული უმოქმედობა" გამოიჩინა და „სოფლის მშრომელთა იმედები" ვერ გაამართლა, ვის ჩავაბაროთ მომავალი საბჭოების ბედიიღბალი?"

ამხ. დოლიძის პასუხისმგებელი მტკიცება სწორეთ რომ ცუდი ნიშნის მიცემაა „ძირითადი საბჭოთა არჩევნების გამო", ვინაიდან „ოფიციალურ არგუმენტს" სჩრის ხელში იმათ, ვინც მართლა მოწადინებულნი არიან განახლებული საბჭოების მუშაობა ჩაშალონ, ან შეაფერხონ.

ავტორი თავისი შეხედულების დასამტკიცებლათ იშველიებს ორნაირ საბუთს: საგაზეთო და...ზეპირ კორესპონდენციებს.

პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენტების ცნობები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მდგომარეობის ნათელსაყოფად, მაგრამ არის მხოლოდ **ერთ-ერთი** და არა **ერთადერთი** საშუალება. კორესპონდენტი, როგორც ყოველდღიური მამხილებელი, უმთავრესად აღნიშნავს მუშაობის ნაკლს, შეცდომას, უარყოფით მოვლენებს, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს.

დადებითი მუშაობა, მიღწევები ამ მუშაობაში თითქმის აღუნიშნავი რჩება. გარდა გამონაკლის შემთხვევისა, კორესპონდენტი - მამხილებელი ხშირად აჭარბებს ნაკლულევანებათა აღნუსხვაში, რათა გამოიწვიოს საზოგადოებრივი განგაში შენიშნულ უწესრიგობის სასწრაფოთ აღმოსაფხვრელად. მაგალითისათვის ავიღოთ მუშათა და გლეხთა ინსპექცია. უცილოა ის მიღწევები, რომელიც ამ ავტორიტეტულ დაწესებულებას აქვს, მაგრამ სასაცილო იქნებოდა ვერ შეგვენიშნა ის ნაკლიც, რომელიც, ალბათ, ექნება მას თავის რთულ მუშაობაში, და აი, კორესპონდენტი ჩამოგვითვლის მხოლოდ სუსტ მხარეებს, შეგვაჩერებს მხოლოდ შენიშნულ ნაკლულევანებათა წინ. იქნება თუ არა ეს დაწესებულების საქმიანობის სრული და ყოველმხრივი სურათი? რასაკვირველია, არა.

მაგრამ ამაში ცუდი არაფერია: კრიტიკა, თუნდაც გადაჭარბებული, სასარგებლოა, რადგანაც ის გვაფხიზლებს; ჩვენთვის მავნებელია მხოლოდ დამამძიმებელი ქება - გალობა. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი კორესპონდენტი ყალბ, ან შეუმოწმებელ ცნობებსაც სწერს რაიმე ქვენა განზრახვით. ამიტომ, როდესაც ვინმე მოიწადინებს რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენა გაარკვიოს, ან უნდა გამოიტანოს ყოველი შესაძლებელი მასალა და კორესპონდენციებს ნაწერებს გვერდში ამოუყენოს სხვა გვარი საბუთებიც. ასე იქცევა უბადლო ჟურნალისტი ამხ. სოსნოვსკი, რომელსაც ჩვენში, სამწუხაროდ, ხეირიანი მიმდევრები არა ჰყავს.

ამხ. ა. დოლიძის შეცდომა ამ შემთხვევაში, ასე ვსთქვათ, **მეთოდოლოგიური** ხასიათისაა: ის ეყრდნობა თავის მსჯელობაში **ცალმხრივ** წყაროს, ამიტომ დასკვნაც **ძალაუნებურათ** ცალმხრივი გამოუდის.

ამხ. ა. დოლიძეს მიზანშეწონილათ დაუნახავს 1922—23—24 წლების საბჭოების გამოყვანა ავან სცენაზე და მათი დაპირისპირება 1925 წ. საბჭოებისათვის. მოგეხსენებათ, შედარება საუკეთესო საშუალებად არის ცნობილი ჭეშმარიტების გამოსარკვევად. ავტორი სწერს: „აღმშენებლობითი მუშაობა იქ, მიუხედავათ მძიმე პირობებისა, მაინც სწარმოებდა, გზას იკაფავდა, წინ მიდიოდა. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ საბჭოები, აღმასკომები და მშრომელი მასა: ხალხი ეჩვეოდა კოლექტიურ შრომას და მოქმედებას, ხალხი ეჩვეოდა საზოგადოებრივობას, საკუთარი საქმის საკუთარი ხელებით კეთებას".

საზოგადოებრივ მოვალეობათ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი მუშაობა არის ჩატარებული საბჭოების მიერ წინა წლებში. ახალი საბჭოები ამ მემკვიდრეობას კი არ უარყოფენ, არამედ სავსებით ამ მემკვიდრეობის ნიადაგზე სდგანან და განაგრძობენ საქმიანობას შეცვლილ პირობებში. ამიტომ ძველი საბჭოების შექების საწინააღმდეგოდ ჩვენ არაფერი გვეთქმოდა, რომ წერილში, ნებსით თუ უნებლიეთ, დაჩრდილული არ იყოს ახალი საბჭოების მუშაობა, რომ წერილში არ მოსჩანდეს განახლებული საბჭოებისა და მათი საქმიანობისადმი უნდობლობის ჰანგი, რომ წერილი არ ჰქმნიდეს სოფლად მუშაობის ახალი მეთოდების რევიზიის (გადასინჯვის) შთაბეჭდილებას.

ავტორი ამტკიცებს, რომ გურიის „საბჭოს მუშაობაზე იყო ნაწილობრივი გავლენა ანტისაბჭოთა ელემენტებისა, პესიმისტურად განწყობილი ნეიტრალებისა და სოფლის მცხოვრებლების შეძლებული ნაწილისა. ეს მტკიცება, რბილათ რომ ვსთქვათ, წმინდა სუბიექტიური ხასიათისაა და ვერ გამართლდება საქმის ფაქტიური ვითარებით.

ამხ. დოლიძე დაგვემოწმება, რომ გურიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენებისაგან შესდგება. ვინც იცნობს გურულ ღარიბი გლეხის ფსიქოლოგიას (საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ტიპი იქნება განსაზღვრულ ეკონომიურ და კულტურულ პირობებში), დაგვეთანხმება, რომ ის შეძლებულ პირს წარმომადგენლობით ორგანოში არ გააჭაჭანებს, საზოგადოებრივი საქმის მესაჭეთ არ გახდის. ე. ი. კულაკური საფრთხისაგან გურია უფრო მტკიცედაა დაზღვეული, ვინემ საბჭოთა კავშირის რომელიმე კუთხე. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამხ. დოლიძე მოხსნის გურიის საბჭოებს ბრალდებას კულაკურ გადახრაში.

რაც შეეხება მენშევიკურ საფრთხეს, ეს საფრთხე საბჭოებისათვის თეორიულად ყოველ შემთხვევაში არსებობს, მაგრამ მისი გაზვიადება და საფრთხობელად გარდაქცევა [illegible]. საიდუმლოთ ვეტყვი ამხ. დოლიძეს, რომ გურიის გლეხობაში 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ და პარალელურად სოფლად მუშაობის ახალი კურსის გატარებისა მოხდა ღრმა ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომლის შედეგები დღითი-დღე იზრდება. საბჭოთა დემოკრატიის განხორციელებამ ხელი შეუწყო გლეხობის ნაწილის შეურიგებლობის დაძლევას. მენშევიკების საუკეთესო გლეხურ ნაწილმა მოახდინა პოლიტიკური მრწამსის გადაფასება და უყოყმანოდ დადგა საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, დანარჩენი ნაწილი სძლევს მენშევიკურ ჩვეულებებს საბჭოთა საზოგადოებრივობის პირობებში. ლტოლვა ჩვენი პარტიისაკენ ძლიერდება. არის საბჭოთა წევრებში თითო-ოროლა გაუსწორებელი მენშევიკი, რომელთაც არავითარი გავლენა საბჭოთა მუშაობაზე არა აქვთ. მენშევიკების გავლენა აღმოჩნდა დვაბზუს თემის საბჭოში, რასაც დროზე მივაქციეთ ყურადღება. გასული წლის განმავლობაში გამოაშკარავებულია მხოლოდ სამი მენშევიკი საბჭოს წევრი. უნდა ითქვას, რომ საბჭოს წევრები—ყოფილი მენშევიკები ჩვენზედ ნაკლებ არ ებრძვიან ასეთ თითო-ოროლა მახინჯსა და უღირს ელემენტს, რომელიც ყოველ საქმეში მოიძებნება. ამიტომ გურიის საბჭოებისათვის **უსაფუძვლო** ბრალდების წამოყენება მენშევიკური გადახრაში იმ დროს, როდესაც უაღრესად გვესაჭიროება პარტიულ ორგანიზაციისა და უპარტიო გლეხობას შორის ურთიერთი ნდობის ატმოსფერის შექმნა, მიგვაჩნია **მავნე გადახრად საბჭოთა დემოკრატიის წინააღმდეგ.**

რასაკვირველია, მენშევიკური გავლენისაგან თვით საბჭოები წინედაც იყვნენ დაცულნი, მაგრამ ნიშნავდა ეს იმას, რომ მენშევიკური გავლენა საბჭოს გარეშე გაქარწყლებული იყო? მაშინდელს საბჭოებს ახასიათებდა სხვა ავადმყოფობა: მშრომელი მასისაგან მოწყვეტა, რამაც საშუალება მისცა მენშევიკებს აგვისტოს ავანტიურაში გლეხობის დიდი ნაწილი ჩაეთრია. ეს აღნიშნა ს. კ. პ. (ბ) ც.-კმა 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე და დასახა მთელი რიგი ღონისძიებათა. ადგილობრივი ხელისუფლება გურიაში მუშაობდა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. **ამხ. დოლიძე კი ძველი საბჭოების მუშაობაში ნაკლს ვერ ჰპოვებს. ამაშია მის შეცდომათა ერთ-ერთი სათავე.**

ამხ. დოლიძე მოგვითხრობს, რომ ძველი საბჭოების დროს „ხალხი ეჩვეოდა საზოგადოებრიობას", ახალ საბჭოებზე კი ამხ. დოლიძის აზრი უკვე მოვისმინეთ. მიუთითებს რა ძველი საბჭოების უპირატესობაზე მმართველობის დარგში, ამხ. დოლიძე სოფელს პირდება ძველი საბჭოების მეთოდების აღდგენას ეკონომიური მუშაობის დარგშიაც. თუ ამხ. დოლიძის დაუჯერებთ, „განზრახულია სოფლებში სოფლების საჭიროებისათვის **შრომის ბეგარის შემოღება. ნაწილობრივ ამას ატარებდენ ძველი აღმასკომები 1922—23—24 წლებშიაც კი. ამრიგად, ჩვენ ვაკანონებთ იმას, რაც წინად არსებობდა და ტარდებოდა"** (კურსივი ჩემია. გ. კ.). გამოდის, რომ ახალი სასოფლო პოლიტიკა, ჩამოყალიბებული ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 24 წლის ოქტომბრის გარდაწყვეტილებაში, უნდა გადაისინჯოს და ხმარებაში შემოვიდეს მმართველობის და სამეურნეო საქმიანობის უკუგდებული მეთოდები. **უკან, ძველი საბჭოებისაკენ**—აი წერილის ლოზუნგი, მისი დედა ძარღვი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ სამწუხარო გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ამხ. დოლიძეს ალბათ მხედველობაში აქვს ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილება—საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის მიზიდვის შესახებ. ეს დადგენილება სრულიად არ აკანონებს იმას, რაც წინად არსებობდა და ტარდებოდა, ე. ი. შრომის ბეგარას და შრომის გადასახადს. მოსახლეობის მუშა-ხელს მაშინ იყენებდენ ყოველგვარი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის, ხშირად უგეგმოდ, რაც გლეხობას მძიმე ტვირთად აწვებოდა. შემდეგ, საზოგადოებრივ სამუშაოთა შესრულების ასეთი წესი აკრძალულ და უკუგდებულ იქნა ყოველგან. ა.-კავკასიის ცაკის უკანასკნელი დადგენილება გზატკეცილების და, კერძოთ, საურმე გზების ქსელის სწრაფი ტემპით აღდგენის მიზნით საჭიროდ სცნობს საგზაო მშენებლობის საჭიროებისათვის საშუალებათა გაძლიერებას საბიუჯეტო წესით. აგრეთვე ითვალისწინებს გლეხობის ნებაყოფლობით ჩაბმას **საგზაო მშენებლობაში.** შემუშავებული იქნება სამუშაოდ მოსახლეობის მიზიდვის პირობები და წესი, რომელიც შეუძლებელს ჰყოფს თვითნებობას ადგილებზე. როგორც ხედავთ, დასახელებული ღონისძიება წმინდა წყლის შრომის ბეგარა არ გახლავთ.

**აღმშენებლობის დარგში,** გამოტეხით უნდა ითქვას, ძალიან ცოტაა გაკეთებული იმ ბუნებრივ სიმდიდრესთან შეფარდებით, რომლითაც გურია უხვად არის დაჯილდოებული. კიდევ მეტი. **დიდი აღმშენებლობის ხანა გურიაში ჯერ კიდევ არ დაწყებულა.** გურიას აკრავს ღარიბი მოსახლეობა. სიღარიბის მთავარი წყარო მიწის სიმცირეა. მაგრამ იგივე გარემოება ჰქმნის მძლე სტიმულს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. **დარაზმული გლეხური საზოგადოება წარმოადგენს სუბიექტიურ და ნაწილობრივ ობიექტიურ პირობას გურიის სამეურნეო აღორძინებისათვის. მაგრამ ჩვენი მაზრის პირობებში, მსჯელობა სერიოზულ ეკონომიურ მუშაობაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული მიზნობრივი კრედიტის გარეშე წაცარქექიობაა და მეტი არაფერი.** ეს საკითხი წამოყენებულია ჩემს წიგნაკში.

ამხ. დოლიძეს მსჯელობა ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მას აღმოუჩენია **ყოველგვარი უბედურებისაგან დამხსნელი წამალი... შრომის ბეგარაში.** ეს კი, ჩემის აზრით, ამ ღონისძიების მნიშვნელობის **გადაფასებაა.** ასევე გადაფასებული, ან გაზვიადებულია ძველი საბჭოების დადებითი აღმშენებლობითი მუშაობაც. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: მცირე რამე კეთდებოდა მაშინ, ვაკეთებთ ეხლაც. მაგრამ ეს საყოყოჩოდ არ გამოგვადგება არც ჩვენ, არც ჩვენს წინაპარს—ძველი შემადგენლობის მაზრაღმასკომს.

ჩვენ მიერ განხილულ წერილში მდგომარეობა ისეა დახატული, თითქოს ყველაფერი გურიაში გაპარტახებულია: კოოპერატივი გამოკეტილია, გზები დანგრეულია, ბოგირები და ხიდები არაა და სხვა. გამოდის, რომ 1925 წლამდის ყველაფერი რიგზე იყო, განახლებულ თემ-აღმასკომებმა კი ერთი წლის განმავლობაში „კეთილ მოწყობილი" სოფელი დაღუპვის კარამდის მიიყვანეს. აშენებდენ ოთხი წლის განმავლობაში, დაანგრიეს ერთ წელში. მოგეხსენებათ, ნგრევა შენებაზე უფრო ადვილია, მაგრამ მიუბრუნდეთ იმ საბუთებს, რომლებზეც აგებულია ეს ულმობელი დასკვნა.

ამომწურავი მოხსენება ამის შესახებ, თუ რა გაკეთებულა აღმშენებლობის და სხვა დარგებში, წარედგინება ანგარიშ-გების წესით სამაზრო საბჭოთა ყრილობას. აქ კი დავეჯერდეთ იმ ცნობებს, რომელიც შეეხება კორესპონდენციებში დასმულ, კონკრეტიულ კითხვებს, და აუცილებელ შემთხვევაში, „საერთო მდგომარეობის გასაშუქებლად ამ ცნობების განზოგადებას".

**1) ლეხაურის თემი.** კორესპონდენტი აღნიშნავს წარსულ საბჭოთა არჩევნების ზეიმით ჩატარებას და დასძენს: „ახალი საბჭო დიდ იმედებს იძლეოდა, ვინ იცის, რას არ ჰპირდებოდა ის სოფელს. სინამდვილეში კი რას ვხედავთ? დადგენილებანი და დიდი მიზნები დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და მომავალ 1926 წლის საბჭოთა არჩევნების დროს არ ვიცით, როგორი ანგარიშებით წარსდგება საბჭო ხალხის წინაშე". საბუთად საბჭოს უმოქმედობისა კორესპონდენტი ასახელებს შემდეგს: ა) მაზრისათვის მიღებული იყო 18.000 მანეთის იაფი სამეურნეო სესხი. თემის მცხოვრებთ ამ სესხით არ უსარგებლიათ; ბ) თემის სამკითხველოდან ზოგიერთ პირებმა წიგნები ბოროტად გამოიყენეს, რაც გამოიხატებოდა წიგნების დახევასა და ჯღაბნაში; გ) კოოპერატივი დაკეტილია.

უნდა ითქვას, ლეხაურის თემის საბჭო იდეალურად ვერ მუშაობს. გაკეთებულია გასული წლის განმავლობაში ცოტა რამ, სახელდობრ, **აღმშენებლობის დარგში:** 1) შემოიღობა სასოფლო-სათემო ბაღი, 2) ლეხაურ-ოზურგეთის გზაზე გაკეთებულ იქნა ცემენტის ბოგირი, 3) დახგრეული საზოგადო შენობა გადატანილ და შეკეთებულ იქნა, შემდეგ ის გაიყიდა სახკინომრეწველობის საზოგადოებაზე (სურათისათვის) და აღებული ფულით გასტუმრებული იქნა თემ-საბჭოს ვალი, 4) საფუძვლიანად იქნა შეკეთებული 7 წლედის შენობა, 5) საფუძვლიანად იქნა შეკეთებული საექიმო პუნქტის შენობა, 6) შეკეთებული იქნა სამკითხველო, 7) ორჯერ გაკეთებული იქნა მდინარე ბჟუჟის წყალზე საფეხური ხიდი ლეხაურ-ოზურგეთის გზაზე, 8) განახლებული იქნა კოოპერატივის მონაწილეობით, კოოპერატიული შენობის სახურავი). 9) სოფ. ჭანიეთში დამთავრდა სახალხო სახლის აგება. **მომავალი წლისთვის** თემის საბჭოს სამოქმედო გეგმაში შეუტანია შემდეგი სამუშაო: 1) სამაზრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მდინარე ბჟუჟ-აჭარის წყალზე რკინის ხიდის აგება, 2) მეორე ცემენტის ბოგირის გაკეთება, 3) პროფსკოლისათვის საკუთარი შენობის აგება, 4) საექიმო პუნქტის მოწყობა ცალკე შენობაში, 5) 7 წლედის შენობის გადიდება ერთი სართულით სახალხო სახლის მოსათავსებლად, რომელიც აგრეთვე გამოადგება სკოლას ერთ-წყება მეცადინეობისათვის, 6) თემის სამმართველოს შენობის გადიდება ერთი სართულით მასთან ფოსტის ორი სასტუმრო ოთახის მოსაწყობათ. **კულტურულ მუშაობის დარგში** ჩატარებული იქნა შემდეგი: 1) მოეწყო ორი სალიტერატურო გასამართლება, 2) საბჭოს თაოსნობით შეიქმნა მუდმივი სცენა, დრამატიული დასი აწყობდა წარმოდგენებს საზოგადოებრივ წამოწყებათა სასარგებლოთ. 3) მეცადინეობა დამთავრდა თემში არსებულ ორ ლიკ. სკოლაში, 4) ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე დაყენებულ იქნა სათანადო დონეზე, თემის წიგნთ-საცავ სამკითხველოში 25 წლის გაზაფხულზე იყო 30 წიგნი, ამჟამად არის 600 წიგნი, რასაკვირველია, გამოერევა ისეთი მკითხველი, რომელიც წიგნში რამეს ჩაბღაჯნის, ან უდ-

# პარტიული ცხოვრება

## ასეთი მოხსენებები ხშირათ უნდა იკითხებოდეს ადგილებზე

11 თებერვალს, ჭიათურაში ამხ. სტალინის სახელობის კლუბში მოწვეულ იქნა ქალ. ჭიათურის პარტ-ორგანიზაციის ყველა კომუჯრედების წევრთა გაერთიანებული კრება ა. ლ. ქ. კ. წევრების თანდასწრებით. კრებას დაესწრო სულ 200-ზე მეტი ამხანაგი.

კრებაზე, ს. ც. საკონტროლო კომისიის მიზნებსა და მისი მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრმა ამხ. ის. ჯორბენაძემ. მან თავის ვრცელ მოხსენებაში ხაზი გაუსვა ც. საკ. კომისიის ამოცანებს და მის მიზნებს კომუნისტური პარტიის სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვის საქმეში.

მოხსენებამ დამსწრე ამხანაგებში დიდი ინტერესი გამოიწვია—რის გამო მრავლად შემოვიდა წერილობითი და სიტყვიერი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კრებამ მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჭიათურის ქალაქის პარტ-ორგანიზაციის გაერთიანებულმა კრებამ, ა. ლ. ქ. კ. წევრების თანდასწრებით, მოისმინა რა ს. ც. ს. კომისიის წევრის ამხ. ის. ჯორბენაძის მოხსენება, ს. ც. ს. კომისიის მუშაობის შესახებ, კრება მოხსენებას ღებულობს ცნობათ და მტკიცეთ სახელმძღვანელოთ.

კრება ავალებს მაზრის პარტიულ ორგანიზაციის ყველა წევრებსა და კანდიდატებს ფხიზლად იყვნენ პარტიის სიწმინდისა, მტკიცე დისციპლინის დაცვისა და მთლიანობის საქმეში; თვალყური ადევნონ პარტიის წევრთა შორის შემთხვევით დაშვებულ ან განზრახ გამოწვეულ არა კომუნისტურ ქცევას და საზოგადოთ ისეთ მოქმედებას, რასაც კი შეუძლია პარტიის ავტორიტეტის დაცემა და სახელის გატეხა.

საჭიროა, რომ ასეთი მოხ. ხშირად იკითხებოდეს პროვინციელ ამხანაგებისათვის. ერთის მხრივ ამხანაგები გაეცნობიან საკ. კომისიის მუშაობას, მეორეს მხრივ სწორათ და ნაკლები შეცდომებით გაატარებენ ადგილებზე პარტიის საერთო ხაზს, და მესამე ასეთი მოხსენებები აუცილებლათ ხელს შეუწყობს პარტიაში 100%-ით დისციპლინის აღდგენას, მის სიწმინდეს და სიმტკიცის შენარჩუნებას.

მ. კავთალაძე.

## საწარმოო თათბირი

უკანასკნელმა საწარმოო თათბირმა გამოიტანა მთელი რიგი მნიშვნელოვან პრაქტიკულ დადგენილებათა, რომელთა განხორციელება უკვე დაწყებულია. მათ შორის უმთავრესია შემდეგი:

1) რომ წვრილმანი საბურღავი მუშაობის შესრულება არ ხდებოდეს საშუალშინო დაზგაზე და არ იხარჯებოდეს დიდი ენერგია, აუცილებლად იქნეს ცნობილი სპეციალური საბურღავი დაზგის შეძენა.

2) მიეცეს საჩუქარი მუშებს წარმოების მექანიზაციის გამოგონებასა და გაუმჯობესებისათვის.

3) აუცილებლათ ჩაითვალოს მანქანების შეკეთების დაჩქარება და თვალყურის დევნება კარტონის ხარისხისათვის.

4) წარმოებულ იქნეს მოტორის სწორი ანგარიში და გარეშე მაგისტრალის მავთულის სათანადო გაკვეთა, რადგან 2 ქაღალდის საჭრელი მანქანა ძლიერ ნელა მუშაობს.

5) საჭიროა მოხდეს მექანიზაცია 2 სახაზავი მანქანის, რომლებსაც ამუშავებენ ერთდროულად ხელით და ფეხით, ვინაიდან ასეთი მუშაობა ცუდ გავლენას ახდენს მუშების ჯანმრთელობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

ა. კონდაკჩიანი.

## კომუჯრედი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს

(ს. ხეთა, ზუგდ. მ.)

ჩვენი თემი ჯერ კიდევ 15 იანვრიდან შეუდგა საარჩევნო სამზადისს. საბჭოს მიერ არჩეულ იქმნა აღმასკომის სარევიზიო კომისია, რომელმაც მოახდინა რევიზია, როგორც ფინანსიურ, ისე ორგანიზაციულ დარგში. სარევიზიო კომისიის მიერ გაკრული იქნა განცხადება, თუ ვინმეს მოეპოვებოდა რამე საბუთი აღმასკომის მუშაობის უარყოფითი მხარეზე, მიეწოდებიათ კომისიისათვის ცნობები. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ საერთოდ აღმასკომის მუშაობა სწორად სწარმოებდა.

გლეხები, ღებულობს აქტიური მონაწილეობას ყოველგვარ საკითხის გარჩევაში.

დიდი ნდობით უყურებს ადგილობრივი გლეხობა კომუჯრედს. პარტიის ღია კრებებზე ესწრება უპარტიო გლეხები და გლეხი ქალები.

ამ მოკლე ხანში ადგილობრივი კომუჯრედის მიერ მოწვეული იქნება უპარტიო გლეხთა კრება, სადაც მოხდება საბჭოს კანდიდატების დასახელება.

არ უნდა შევგეპაროს საბჭოში ისეთი პირები, რომლებიც არ დაინდობს ღარიბ გლეხებს და მის ინტერესებს არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ.

ავ. ივლიანაშვილი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## მოტორიანი გემები

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, როცა არგენტინაში არ იყო აღმოჩენილი ნავთის წყაროები, ჰამბურგიდან ბუენოს-აირესში გავიდა პირველი გემი, რომელზეც ორთქლის მანქანების მაგიერ დადგმული იყო დიზელის მამოძრავებელი. თუმცა, ზემოდაღნიშნულ გარემოების გამო, გემი იძულებული შეიქნა სათბობი მასალის ორმაგი რაოდენობა წაეღო (სამყოფი იქით წასასვლელად), მაინც გემის საბარგო განყოფილებებმა ორჯერ მეტი ტვირთი დაიტიეს, ვიდრე დაიტევდენ გემზე რომ ორთქლის მანქანები ყოფილიყო დადგმული. ასე დიდია ეკონომია, რომელსაც იძლევა ორთქლის მანქანების შეცვლა დიზელის მამოძრავებლით. იმ დროიდან შინაგანი წვის მამოძრავებლებმა [illegible] და, რომ ამჟამად, როგორც სტატისტიკა ამტკიცებს კომერციულ ფლოტში, მოტორიანი გემები ორთქლის გემების ადგილს იკავებენ. 1914 წ. კომერციული ფლოტის 89 პროც. ორთქლის გემები შეადგენდენ, 1925 წლისათვის კი ეს ციფრი 65 პროცენტამდი შემცირდა. იმ გემებიდან, რომლებიც ამჟამად შენდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში, მოტორიან გემებზე მოდის—1.125.000 ტონა (წყალწყვა), ორთქლის გემებზე კი—1.100.000 ტონა. თუ ცალკე ქვეყნებს ავიღებთ, ეს განსხვავება უფრო გვეცემა თვალში. მაგალითად, დანიაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში და შვეციაში ახაგები გემების წყალწყვიდან—625.000 ტონა მოდის მოტორიან გემებზე, ორთქლის გემებზე კი მხოლოდ—250.000 ტონა.

ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით არახელსაყრელია ინგლისისათვის, რომელსაც აქვს ნახშირის დიდი მარაგი (მართალია ინგლისმა ძალით ჩაიგდო ხელში მოსულის ნავთის წყაროები, მაგრამ თუ მას ბოლომდი შეინარჩუნებს, ამის იმედი არა აქვს).

## უზარმაზარი ჰაეროპლანი

ბრძოლა ჰაერზე უფრო მსუბუქ და უფრო მძიმე საფრენ აპარატებს შორის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. თუ ფრენის სისწრაფის, მართვის სიადვილის და სიიაფის მხრივ გამარჯვება ჰაეროპლანებს დარჩა, ტვირთზიდვის მხრივ პირველობა დირიჟაბლებს ეკუთვნის. ასე მაგალითად, დირიჟაბლ „შენანდოა"-ს, რომელიც წარსულ წელს დაიღუპა, შეეძლო—2.400 ფ. ტვირთის წაღება. მაგრამ ამდენი ტვირთის გადატანა დიდ ხარჯს მოითხოვდა. პირველ ყოვლისა [illegible] რომა, რომ თვით დირიჟაბლი იყოს დიდი, ჩაიტიოს რაც შეიძლება მეტი გაზი. „შენანდოა"-სათვის საჭიროა—1.800.000 ფრანკის ჰელიუმი (გაზია). თვითეული გაფრენის დროს იკარგება საშუალოდ გაზის 10 პროც., ე. ი. —180.000 ფრანკის. თუ ამას დაუმატებთ მანქანების გაცვეთას, საწვავი მასალის ხარჯს, დავინახავთ, რომ დირიჟაბლებით გადატანა ძლიერ ძვირი ჯდება.

ასეთი ტვირთმზიდავი ჰაეროპლანები არ არსებობენ, მაგრამ პროგრესი ამ დარგში მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინად ფრანგმა მფრინავმა ბოსუტრომ ჰაეროპლანით „სუპერგოლიაფ" (ფარმანის სისტემის) 360 ფუთი ტვირთით (ჰაეროპლანის ტვირთი იწონიდა—900 ფ.) მიაღწია 3 ნახ. ვერსის სიმაღლეს.

ამ ჰაეროპლანზე დადგმულია 4 მოტორი, 520 ცხენისძალიანი თითო.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### მოთხოვნილება სათესავ მანქანაზე.

**თელავი, 19 თებერვ.** შილდის რაიონში, სადაც მუშაობს ფორძონის სისტემის ორი ტრაქტორი, ას დესეტინაზე მეტი მიწა იყო დათესილი სათეს მანქანით. გლეხობა ნათლად დარწმუნდა მანქანით თესვის უპირატესობაში, აგრონომიულ პუნქტში შემოსულია გლეხების განცხადებები სათესავ მანქანების თხოვების შესახებ. სათესავი მანქანებით სთესავენ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ტრაქტორით არ იხვნება მიწები.

### გლეხის სყიდვითი უნარიანობა იზრდება.

**თელავი, 19 თებერვ.** დღემდის ადგილობრივ კოოპერატივებში ვაჭრობდენ ე. წ. „გლეხური საქონლით". 2—3 დღეში საქონელი თავდებოდა. ძვირფასი ქსოვილები ფუფუნებას წარმოადგენდა გლეხობისათვის. უკანასკნელ ხანებში გლეხები მოითხოვენ უფრო „ძვირფას" საქონელს. ასეთის უქონლობის გამო ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში, გლეხები ყიდულობენ კერძო ვაჭრებისაგან და ასაღებენ 15—30 მანეთიან საქონელს.

### ამერიკული ვაზი.

**თელავი, 19 თებერვ.** წინანდალის სახალხო მამულმა მიიღო საფრანგეთიდან გამოწერილი ამერიკული ვაზები 650 მეტრის რაოდენობით. კომისიამ დაათვალიერა ვაზის კვერტები და დამაკმაყოფილებლათ სცნო მათი ხარისხი. იგი უფრო უკეთესია, ვიდრე შარშან მიღებული ვაზები.

### მევენახეობა

**თელავი, 19 თებერვ.** წინანდალის საბჭოთა მეურნეობის მახლობლად მდებარე სოფლებში: წინანდალში, კონდოლში, ქისისხევში, თოლნიანში, დოდაბენში და ნასომხარში სწარმოებს ვენახების აღდგენა (მიწის ბრუნება), რათა გაზაფხულზე გაშენებული იქნას ნამყენი ვენახი. ნახევარი მილიონი დამყნილი ვაზი, რომელსაც ერთი თვის შემდეგ გამოუშვებენ სანერგეები, უკვე განაწილებულია გლეხებს შორის. გამოირკვა, რომ მხოლოდ ქისისხევში და კონდოლში გლეხებს გადაუბრუნებიათ 300 დესეტ. მიწა. მათ აღძრეს ტრესტის წინაშე შუამდგომლობა დამატებით 500.000 ნამყენი ვაზის გაცემის შესახებ.

### საცდელ-სანიმუშო ადგილი

**ახალსენაკი, 18 თებ.** სამაზრო აღმასკომმა გაიღო თანხები საცდელ-სანიმუშო ადგილის მოსაწყობად აბაშის რაიონში.

### ინტერესი სასოფლო-სამეურნეო იარაღებისადმი

**ახალსენაკი, 19 თებერვ.** გლეხებს ესაჭიროებათ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები—გუთნები, სათესი მანქანები, კულტივატორები და სხვ. აგრონომიული განყოფილებას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჯერ არ ძალუძს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება.

### ფოთის ნავთსადგურში

**ფოთი, 19 თებ.** მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ბატუმ", რომელმაც მოიტანა ამიერ-კავკასიისათვის 47 ვაგონი თეთრი ფქვილი, 12 ვაგონი თამბაქო, 7 ვაგონი მზესუმზირის ზეთი, 10 ვაგონი ღვინის ბოჭკა და სხვა.

### თელავ-ახმეტის რკინის გზა

**თელავი, 19 თებ.** შეუდგენ საშუალებების გამოძებნას კახეთის რკინის გზის შტოს გასაყვანად სოფელ ახმეტამდე, რომელიც თელავიდან დაშორებულია 25 ვერსით. უკვე მუშაობენ ტეხნიკოსები, რომლებმაც უკვე გამოიკვლიეს ხაზი 15 ვერსის მანძილზე.

### გაზაფხულის ნათესები

**თელავი, 19 თებ.** კახეთის ალაზნის გაღმა ნაწილში უკვე დაიწყო საგაზაფხულო ხორბლის თესვა.

### გზები არ გვივარგა, საექიმო დახმარებაც არა გვაქვს

(თიანეთის რაიონი, თბილ. მ.)

გზები თიანეთის რაიონში სრულებით არ ვარგა და ამით კრიტიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი მოსახლეობა.

ექიმების მხრივაც დიდ სივიწროვეს განიცდის თიანეთის რაიონის გლეხობა. აქ არის მარტო ერთი აფთიაქი და ერთი საავადმყოფო ხუთი საწოლით, მაგრამ ამით ვერ სარგებლობს ღარიბი გლეხობა ცუდი გზების გამო, ვინაიდან განაპირა სოფლები დაშორებულნი არიან აფთიაქს და საავადმყოფოს 25—30 ვერსით.

თიანეთის რაიონში შედის ხუთი თემის საბჭო. საჭიროა ამ საბჭოებთან დაარსდეს თითო საფერშლო პუნქტები, უმთავრესად სამ საბჭოსთან: არტაანში, შარახევის საბჭოსთან, და ზემო თიანეთის სოფლის საბჭოსთან.

გლეხკორი ზაქ. ბადურაშვილი.

### ქელეხებმა ძველი პოზიციები დაიბრუნეს

(წერილი გურიიდან)

რევოლიუციის პირველ წლებში შესამჩნევად შემცირდა გურიაში ქელეხი, დღეობები და სხვ. ასეთი უმიზნო და უსარგებლო ჩვეულებები, რომლებიც ანადგურებდნენ გლეხის მეურნეობებს. ხალხმა შეიგნო ასეთი ზნე-ჩვეულებების უმიზნობა და უკუაგდო ისინი.

დღეს კი, ჩვენდა საუბედუროთ, ქელეხებმა სავსებით აიღეს ძველათ დაკარგული პოზიციები და დაუბრკოლებლათ მიიწევენ წინ.

დღეს ხშირია ქალები, რომელშიც 500—600 სული ღებულობს მონაწილეობას. ამასთან, წინეთ ქელეხში უმთავრესათ ლობიოთ იცოდენ სტუმრების გამასპინძლება, დღეს კი თუ პურით, ღვინით და ფლავით არ გაუმასპინძლდა მიცვალებულის პატრონი სტუმრებს, ის „საქვეყნოთ მოჯაყულია".

ერთი მეორეს წაბაძულობით, რომ „სირცხვილი" არ ჭამოს, ქელეხს მართავს შეუძლებელი და ღარიბიც. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძვირათ უჯდება სიკვდილისგან ისედაც დაზარალებულ ოჯახს ეს უაზრო ზნე-ჩვეულება.

ქელეხებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. სოფლის ყველა მოწინავე ელემენტები უნდა შევეცადოთ ამოვფხვრათ ის ჩვენი სინამდვილიდან. უნდა შევქმნათ ერთნაირი წრე, რომლის წევრებსაც არ ექნებათ უფლება მიიღონ მონაწილეობა ქელეხში ან და თვითონ გამართონ ქელეხი. ამ წრეში შესვლა ნებაყოფლობითი უნდა იყვეს. მიცვალებულს შეიძლება პატივი ვსცეთ უქელეხოთაც. ამ ჩვეულების საწინააღმდეგო ბრძოლაში დიდი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ქალთა წრემ, ვინაიდან ქელეხით მეტი გატაცებულნი არიან ქალები.

კ. გურჭულაძე.

### საზოგადოებრივი მუშაობა იზრდება

(ს. ამაღლება, გურია)

თემის თვითეულ სოფელში დიდი ხანია არსებობენ ქოხ-სამკითხველოები. ამხ. გ. ქულენტის ფხიანი მუშაობით სამკითხველოებს ეტყობა გამოცოცხლება. ხალხი ძლიერ ეტანება ჟურნალ-გაზეთებს. არსებობს აგრეთვე კედლის გაზეთი: „ამაღლების მაუწყებელი", რომელშიაც ადგილობრივი ძალები აშუქებენ თემის საჭირბოროტო საკითხებს. მუშაობენ აგრეთვე სააღმშენებლო კომიტეტები, რომელთა უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს გზების გაუმჯობესება.

1924 წლიდან აქ არის სათემო გლეხკომი. გლეხობის დიდი უმრავლესობა გაერთიანებულია ამ ორგანიზაციაში. გლეხკომები თანდათან დიდდებიან. ცალკე სოფლებშიაც მუშაობენ გლახკომები. გლეხკომის წევრთა ყრილობაზე, რომელიც შესდგა თებერვლის პირველ რიცხვებში, განხილულ იქნა სათემო გლეხკომის წლიური ანგარიში, რომელიც დამტკიცებულ იქნა კრების მიერ. კრებამ აირჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

საყურადღებოა ძველი გამგეობის მიერ დახმარების აღმოჩენა გლეხებისათვის უბედურ შემთხვევების დროს, წამლებით, ფულით და ნატურითაც.

პანტელიმონ ჩიჩუა.

### წითელი ჯვარი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე

(წერილი თელავიდან)

სადაც საჭიროება დიდია, სადაც მოსახლეობა დამპალი ციებითაა დაავადებული წითელი ჯვრის განყოფილების გამგეობა სწორედ იქ აძლიერებს მუშაობას. ახალგავაზში თელავის მაზრის ამ მიყრუებულ რაიონში, იხსნება საექიმო პუნქტი, სადაც გლეხებს საექიმო დახმარება და წამლები მიეცემათ წითელ ჯვრის ხარჯით.

ამ სოფელში უკვე გამონახულია ბინა, როგორც ექიმისთვის, ისე პუნქტისთვის და ელოდებიან ექიმის დანიშვნას, როცა პუნქტი დაიწყობს მოქმედებას.

ამან წაახალისა სოფლისა მოსახლეობა. მარტო ახალგავაზში ჩაეწერა საზოგადოების წევრებათ 1909 კაცი და ყველამ გადაიხადა საწევრო ფული.

ეს იშვიათი მაგალითია ჩვენს მაზრაში. ამიტომ წითელი ჯვრის თელავის განყოფ. გამგეობამ სიამოვნებით აღნიშნა ეს ფაქტი და დაადგინა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს ამ რაიონს საექიმო დახმარების მხრივ.

ამავე რაიონში, ზინობიანში, მოწყობილია საექიმო პუნქტი.

თელავში კი განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ქალაქის განაპირა უბანს მაწანწარას, რომელიც დასახლებულია ღარიბი ხალხით.

მალე აქ გაიხსნება ამბულატორია, თელ. განყოფილებამ უკვე გამოყო ექიმი და დაავალა საჩქაროდ მოაწყოს შენობა საჭირო მედიკამენტებით. სათანადო შენობაც არის.

აქვე უნდა გახსნილიყო წით. ჯვრის აფთიაქი, მაგრამ მედსანშრომი წინააღმდეგია თურმე თელავში მეორე აფთიაქის გახსნისა, მაშინ, როცა ერთად-ერთი აფთიაქი ვერ ასწრობს წამლების დამზადებას და ავადმყოფები თავის დროზე ვერ იღებენ წამლებს.

განყოფილებამ ხელმეორედ აღძრა შუამდგომლობა ღარიბ მოსახლეობისათვის წით. ჯვ. აფთიაქის გახსნის შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა ადგილობრივ ხელისუფლებამაც.

ვან—ლი.

## წერილები

### სცენა მეტი ყურადღების ღირსია

თეატრი სოფლად კულტურის ერთი უძლიერესი ლამპარია. წარმოდგენებს გლეხები დიდი ხალისით ეტანებიან და ბევრ რამესაც იძენენ, თუ, რასაკვირველია, სცენა რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელ საზრდოს აწვდის აუდიტორიას.

მიუხედავათ ამისა ჩვენს სოფელში დღესაც კიდევ არ მოღებია ბოლო სცენისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას. თეატრი ბევრს გასართობ ადგილათ წარმოუდგენია, სადაც მხოლოდ „დროს მოსაკლავათ" თუ წავა ადამიანი, და ამაში ყველაზე მეტად [illegible] სცენას, ვისაც თეატრის სახელით უნდება გამოსვლა გლეხკაცობაში.

ავიღოთ თუნდაც სცენაზე მოთამაშეთა პირადი შემადგენლობა. ცხადია, რომ სოფლის თეატრს ჩვენ ამ მხრივ დიდ მოთხოვნი-ბას ვერ წაუყენებთ, მაგრამ არც ისეთი გამასხარავება შეიძლება სცენის, როგორც ამას ბევრგან აქვს ადგილი. სცენა, მართალია, სათამაშო ადგილია, მაგრამ ეს „თამაში" არ უნდა გვესმოდეს ბავშვური გაგებით.

ასეთებს კი ხშირად აქვს ადგილი. სცენის მოყვარეთა შემადგენლობა სახელდახელოთ ეწყობა. ეწერება შიგ ყველა, ვისაც კი სურვილი აქვს სცენაზე გავლა-გამოვლის. არავითარი შერჩევა ცოდნის, უნარის, საქმისადმი სიყვარულის ან სხვა რისიმე მიხედვით.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი პიესების შერჩევის დროსაც. იდგმება დრომოჭმული, დღევანდელი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელი წარმოდგენები. დიდი გასავალი აქვს აგრეთვე უშინაარსო და იაფფასიან ვოდევილებს.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ წარმოდგენების ორგანიზაციულ მხარეზე. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა აკრავენ განცხადებებს, [illegible] ბილეთებს, აიმედებენ ხალხს და დანიშნულ დღეს წარმოდგენა არ მიდის, გლეხები უკან ბრუნდებიან სამართლიანად აღშფოთებული და თეატრზე გულგატეხილი.

დროა სათანადო ორგანოებმა ეს მოვლენა ჯეროვან ყურადღების ღირსათ გახადონ. დროა ბოლო მოეღოს სცენაზე „თამაშობას", ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სჯობს წარმოდგენები ნაკლებათ დაიდგას, სჯობს სრულიად ავიღოთ ხელი წარმოდგენისაგან, როცა ეს მოუხერხებელია, ვიდრე დაუშვათ სცენის გამასხარავება და აბუჩათ აგდება.

გულნატკენი.

## წერილებიდან

— **მეხვალია კუტივაძე.** ალექსანდრე კუტივაძე უდიერათ ეპყრობა გლეხებს, როდესაც ისინი მასთან მიდიან რამე მოწმობის გამოსართმევათ. სულ „ხვალ-ხვალობით" ისტუმრებს მოსულებს და თვითონ კი სამიკიტნოებში დაიარება და ლაზღანდარობაში კლავს დროს.

ე. მუშა.

დ. გალი (სამურზაყანო)

— ასეთი სკოლა არ გამოგვადგება. აქ არსებობს 9 წლედი, მაგრამ მას მხოლოდ სახელწოდება აქვს სკოლის. არ არის არავითარი სასკოლო დისციპლინა. დასვენებისას მოწაფეები სამიკიტნოებში და ქუჩებშია გამოფანტული, თამბაქოს მოწევა შიგ კლასში და მასწავლებელთან ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას გარდა მაცადინეობაც არ მიდის თავის წესით. გაკვეთილების ნუსხა ჯერ არ არის შედგენილი. განათლების კომისარიატი, იმედია, მიაქცევს ამას ყურადღებას.

სტუმარი.

## სოფლის ქრონიკა

— **დუშეთის** აღმასკომი ხევსურეთში აარსებს სამხედრო მაგიდას.

— **[illegible]** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე სკოლებისათვის დამატებით მასწავლებლების გაგზავნის შესახებ.

— **გორის** აღმასკომმა გადასცა დახმარების სახით ადგილობრივ საბავშვო სახლს 200 მან.

— **გლეხთა სახლი.** დუშეთის სამაზრო გლეხკომი აწყობს გლეხთა სახლს.

— **ელსადგური.** გორში ამ დღეებში დამთავრდება ელსადგურის აგება.

— **საბავშვო სახლის** მოსაწყობათ დუშეთის აღმასკომმა გადადო 4 ათასი მანეთი.

# პროფკავშირებში

## საკავშირო მასასთან დაახლოვების მიზნით

ამ დღეებში ამხ. გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით შემდგარმა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა საკითხი სამთომადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თბილისიდან ქ. ჭიათურაში გადატანის შესახებ.

ჭიათურის მარგანეცის კონცესიის სახით გაცემის შემდეგ აუცილებელი შეიქნა ჭიათურაში პროფესიონალური მუშაობის გაცხოველება.

ამას გარდა სამთა-მადნო მუშაკთა მეტი წილი იმყოფება ჭიათურაში.

რომ პროფესიონალური მუშაობა უფრო გაცხოველდეს, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ქ. ჭიათურაში გადატანა.

დღევანდლამდე ჭიათურაში არსებობდა სამთა-მადნო მუშაკთა კავშირის ქვე-რაიკომი, რომელიც ხელმძღვანელობდა პროფმუშაობას მაღლ შორაპნის მაზრაში, რადგან სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა გადავიდა ჭიათურაში, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ეს ქვე-რაიკომი უქმდება.

ჭიათურის მაღაროებში მომუშავეთა კომიტეტმა, ადგილკომებმა და რწმუნებულებმა უშუალო კავშირი უნდა დაამყარონ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან.

ჭიათურაში მოეწყობა გაერთიანებული მაღაროთა მუშების კომიტეტი.

მაღაროებისა და ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე დაესწრება ცენტრალური გამგეობის წარმომადგენილი. მათი ოქმები უნდა გადაიგზავნონ კავშირის ცენტრალურ გამგეობაში. საერთო სადელეგატო კრებები თვეში ერთჯერ უნდა იქნეს მოწვეული.

პროფორგანიზაციები კონცესიონერებთან დამოკიდებულებას უნდა იჭერდენ მხოლოდ სამთა-მადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის საშუალებით.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ჭიათურაში მოეწყობა 5 საკონფლიქტო შემფ. კომისია რაიონების მიხედვით.

ამ კომისიის სხდომის ოქმები უნდა გადაეგზავნოს საქართველოს პროფსაბჭოს სატ. სადგ. განყოფილებას.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ კონცესიონერისა და მომუშავეებს შორის მომხდარ კონფლიქტის განხილვისას აუცილებლად ესწრებოდეს შრომის პროკურატურის წარმომადგენელი.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას შეუდგეს ახლად დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულების მასალათა შეგროვებას.

მასალები უნდა შეგროვდეს ა/წ. 20 თებერვლამდე. მასალების შეგროვების შემდეგ კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად საჭიროა შესდგეს კომისია სამთა-მადნო მუშაკთა კავშირის, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატ.-საეკ.-განყოფილების და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან.

ამ კომისიას დაევალება შეიმუშაოს კონცესიონერებთან დასადებ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი.

პროფმუშაკი.

## პროფმუშაობის ქრონიკა

### პროფსაბჭოში

— **უბედურ შემთხვევებთან მებრძოლი კომისია.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. გ. ბუაძის მოხსენება უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის შესახებ—და საჭიროდ სცნო, რომ შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსდეს უბედურ შემთხვევებთან მებრძოლი ცენტრალური კომისია.

— **კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ.** პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის სატ.-საეკ. განყოფ. მუშაობის შესახებ. პრეზიდიუმმა დადგენილებაში აღნიშნა, რომ შრომის კომისარიატში ფერხდება კოლექტიური ხელშეკრულებათა აღრიცხვა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები თავის დროზე არ აძლევენ გამორტყებას შრომის სახალხო კომისარიატის წინადადებებზე კოლექტიურ ხელშეკრულების იმ მუხლების შეცვლის შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომის კანონთა კოდექსს.

რომ ეს უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზი თავიდან იქნეს აცილებული, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო შეცვალოს ა.-კ. შრომის კომისარიატის დებულება კოლექტიური ხელშეკრულებების რეგისტრაციის შესახებ. საკავშირო რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატის დებულებასთან შეფარდებით, რომლის ძალითაც, უკეთუ მხარეები შრომის სახალხო კომისარიატის წინადადებაზე არ უპასუხებენ სამი დღის ვადაში, კოლექტიური ხელშეკრულების რომელიმე მუხლის შეცვლის შესახებ, იმ შემთხვევაში შრომის კომისარიატი ხელშეკრულებას რეგისტრაციაში ატარებს.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო პასუხისგებაში იქნენ მიცემული ის პირნი, რომლებიც სპეც ფონდებს მიზანშეუწონლად დაარღვევენ.

# ეკონომიური ცხოვრება

## თბილისის კომუნალური ბანკი

### ბანკის სავაჭრო ოპერაციები

თბილისის ბირჟის სამრეწველო სექციაში განხილულ იქნა საკითხი თბილისის კომუნალური ბანკის სავაჭრო ოპერაციების შესახებ.

როგორც სექციაში გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, ბანკის სავაჭრო განყოფილება უმთავრესად ეწევა: ფართლის, სააღმშენებლო მასალების და ლითონის ნაწარმოებთა შემოზიდვას საქართველოში.

ბანკის მიერ შემოზიდული ფართალი უმთავრესად გლეხურია; ყოველთვიურად გეგმის გარეშე შემოაქვს 8—10 ვაგონი; ფასები ამ საქონელზე წესდება შინა - ვაჭრობის კომისარიატის ნორმის მიხედვით.

გასულ 1924—25 წელს, შემოტანილი ფართლის 91 პროცენტი ბანკმა გასცა სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 9 პროცენტი კერძო პირებზე. ვინაიდან მიმდინარე 25—26 წლის უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში ბაზარი განიცდიდა კრიზისს ფართლეულის მხრივ, ბანკმა ამ საქონლის გაცემა კერძო ვაჭრებზე მოსპო.

გარდა ამ გეგმის გარეშე საქონლის შემოტანისა, ბანკი ყოველთვიურად, „საქართველ. სახელმწიფო ვაჭრობისათვის" და მუშკოოპისათვის საფეიქრო სინდიკატიდან იძენს ორ-ორ ვაგონ ფართალს. გარდა ამისა, მისი დახმარებით ცეკავშირი ყოველთვიურად იძენს მოსკოვში სამ-სამ ვაგონ გლეხებისათვის საჭირო ფართალს, რაშიაც იგი აძლევს ნაღდად 25 პროცენტს, ხოლო დანარჩენის გარანტიას აძლევს ბანკი.

1924 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის 1 თებერვლამდე კომუნალური ბანკის მიერ საქართველოში შემოზიდულია და გაშვებული ბაზარზე 3 მილიონ მანეთის ფართალი, საიდანაც სახელმწიფო ვაჭრობას მიღებული აქვს საქონლის 55,7 პროც., კოოპერაციას 37,8 პროც. და კერძო ბაზარს 6,5 პროცენტი.

რაც შეეხება ლითონის ნაწარმოების და სააღმშენებლო მასალების შემოზიდვას, ასეთები ბანკს შემოაქვს როგორც კომუნალური მშენებლობის აწევის, ისე ბაზრისათვის მიწოდების მიზნით. ამისათვის ბანკი შეკავშირებულია სათანადო სამრეწველო ტრესტებთან. როგორც ფართალს, ისე ამ საქონელსაც იგი აწვდის ყველას: სახელმწიფო ვაჭრობას, კოოპერაციას და კერძო ბაზარს.

როდესაც ბაზარი კრიზისს განიცდიდა სახურავი რკინის მხრივ, ბანკმა თავისი გამოსვლით ბაზარზე საგრძნობლად შეუწყო ხელი ამ კრიზისის მოსპობას, ასეთივე როლი ითამაშა მან: ცემენტის, ფანჯრის მინის და სხვა საქონლის შემოტანის საქმეში.

სავაჭრო განყოფილების არსებობის განმავლობაში ბანკს შეუძენია და გაუსაღებია 12 მილიონი მანეთის სააღმშენებლო მასალა, ეხლაც 1925—26 წლისათვის მას შესყიდული აქვს მილიონ-ნახევ. მანეთის, რომელთაგან 100 ვაგონი სახურავი რკინაა და 10 ვაგონი დანარჩენი რკინეული, ნიჩბები, ცელები, ხელსაწყოები, ქურქლები და სხვა.

გარდა ამ საქონლისა შესყიდულია: 10 ვაგ. ლურსმანი და 5 ვაგ. მავთული, 35,000 კასრი ცემენტი, 5.000 ფუთი ოლიფა (საღებავი მასალა) 5.000 ფ. საღებავი, 10 ვაგ. ცარცი, 25 ვაგ. ხე-ტყის მასალა, მინა და სხვა.

ბანკს შესყიდული აქვს აგრეთვე: 45 ვაგ. შაქარი, 11 ვაგ. სოდა, 2 ვაგ. მზესუმზირას ზეთი, ასანთი და სხვა.

ამ ბოლო დროს ბანკმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო შინა - ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, ყოველთვიურად საქართველოსათვის გეგმის გარეშე 15 ვაგონი გლეხური ფართალის შემოტანის შესახებ და იმედია, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია წარმოებულ რევიზიების მიხედვით თბილისის კომუნალური ბანკის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის. აღნიშნავს მხოლოდ, რომ იგი ტყავს კერძო ბაზარს მეტს აწვდის, ვინემ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, მაგრამ ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ეს უკანასკნელები ღებულობენ ტყავის მზა ნაწარმოებს და ტყავზე მოთხოვნილება მათ მხრივ დიდი არაა.

თბილისის ბირჟის სამრეწველო სექციამ, კომუნალური ბანკის სავაჭრო განყოფილების საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

# საგარეო ვაჭრობა

## ახალი ტარიფი გასაზიდ საქონელზე

სათანადო ორგანოების მიერ დამუშავებული და საკავშირო სახკომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია ახალი საბაჟო ტარიფი უცხოეთში გასაზიდ საქონელზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპორტის გაძლიერებისათვის.

ახალი ტარიფით არსებითად იცვლება გასაზიდ საექსპორტო საქონელზე უკანასკნელ დრომდე არსებული სატარიფო განაკვეთები. ახალი ტარიფის ძალით უქმდება მთელი რიგი დღემდე მოქმედ სატარიფო მუხლებისა.

გაუქმებულია საბაჟო გადასახადები ყველა იმ საქონელზე, რომელთა გაზიდვა მაღალ საბაჟო განაკვეთების არსებობის გამო, ბრკოლდებოდა. ასეთ საექსპორტო საქონელს წარმოადგენენ: ხორცი, ხორცის პროდუქტები, ნაწლევები, თევზის წებო, ჯაგარი, დაუმუშავებელი ტყავი, სხვადასხვა თესლები, მატყლი და სხვ.

საბაჟო გადასახადები არ გაუქმებულა მეტად მცირე რიცხოვან საქონელზე,—უმთავრესად ისეთ საქონელზე, რომელიც ამ ჟამად საკმაოდ რენტაბელურია ან და ისეთ საქონელს წარმოადგენს, რომლის გაზიდვაც საზარალოა ჩვენი მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის.

ასეთი საქონლების ჯგუფს ეკუთვნის, შავი ხიზილალა, ბეწვეული, თევზის ზოგიერთი ჯიშები და სხ.

ახალი ტარიფით ამ საქონლის გატანა დაბეგრილია წმინდა ფისკალური საბაჟო გადასახადით.

ბაჟები არ გაუქმებულა აგრეთვე შემდეგი საქონლის გაზიდვაზე: ძვირფასი ჯიშის ხეებზე, ცოცხალ საქონელზე, ძვლებზე და მოუხმარებელ დაცვეთილ შინებზე.

გასაზიდ საქონელზე ახალ საბაჟო ტარიფის დაწესებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ხელს უწყობს ჩვენი ექსპორტის გაძლიერებას და ამავე დროს აბრკოლებს ჩვენი ქვეყნიდან ისეთი საქონლის გატანას, რომელსაც მეტად საჭიროებენ ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგები.

# სამთო ქიმიური მრეწველობა

## ინფუზორიტის მადნების ექსპლოატაცია

როგორც ჩვენში მკითხველებმა იციან საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო ქიმიურმა კომბინატმა დაასრულა ინფუზორიტის მადნების გამოკვლევა ახალციხის მაზრაში. მადნები აღმოჩნდა მეტად მდიდარი და ამავე დროს ისეთი ტეხნიკური თვისებებით დაჯილდოვებული, რომ ახალციხის იმფუზორიტი ღირსებით ჯობია საბჭოთა კავშირის ფარგლებში არსებულ ინფუზორიტის ყველა მადნებს წინასწარი გამოანგარიშებით,—ინფუზორიტის ყველა მადნების რაოდენობა ახალციხის მაზრაში უდრის,—პირველი ხარისხის—115 მილიონ ფუთს და მეორე ხარისხის 60 მილიონს.

ამასთან პარალელურად სამთოქიმიურ კომბინატის მიერ წარმოებულ გამოკვლევებით იმფუზორიტი აღმოჩენილ იქნა სადგ. რიონის მახლობლად.

ეს ინფუზორიტი გამოსადეგია მხოლოდ სააღმშენებლო საჭიროებისათვის.

ამ ჟამად სამთო ქიმიურ კომბინატს დამუშავებული აქვს ხარჯთ-აღრიცხვა ახალციხის მაზრის იმფუზორიტის საექსპლოატაციოთ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია ქარხნების აგება, მათი ტეხნიკური მოწყობა საწყობი შენობების აგება, მადნების საფქვავი წისქვილების და საშრობი შენობების აგება-მოწყობა და სხვა სულ ინფუზორიტის საწარმოვო ორგანოების მოწყობა, დაჯდება 183 ათასი მანეთი. ამ წარმოებათა საშუალებით ინფუზორიტის წლიური ამოღება მიაღწევს 200 ათას ფუთს. ხარჯთ-აღრიცხვა მოწონებულია სამთო-ქიმიურ კომბინატის მიერ.

## ლითოგრაფიული ქვის წარმოება.

კომბინატის მიერ შედგენილია აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა ალგეთის ლიტოგრაფიული ქვის დასამუშავებლად. ქვის დამუშავებას სამთოქიმიური კომბინატი შეუდგება ამ უახლოეს თვეებში. ქვას გათლა უნდა მოხდეს ადგილობრივ. ამიტომ მადნების მდებარეობის ადგილზე აგებული იქნება სპეციალური შენობები, რომელიც სათადოდ იქნებიან შეიარაღებულნი. ალგეთი, სადაც აღმოჩენილ იქნა ლიტოგრაფიული ქვის მადნები, რკინის გზის სადგურს—სანდარს 40 ვერსით არის დაშორებული.

## სახელმწიფო ვაჭრობა 1925—26 წლის პირველ მეოთხედში

მოსახლეობის (განსაკუთრებით კი გლეხობის მსყიდველობითი უნარიანობის გაძლიერების გამო ა.-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების როგორც ცალობითი, ისე ბითუმად ვაჭრობის ოპერაციებს მიმდინარე წლის პირვ. მეოთხედში ეტყობა თვალსაჩინო გადიდება. ამ პერიოდის დამახასიათებელ მოვლენად ითვლებოდა საგრძნობი სიჭარბე მოთხოვნილებისა სამრეწველო საქონლის მიწოდებაზე, რაც ზღუდავდა სავაჭრო ოპერაციების განვითარებას, ყოველ შემთხვევაში მაინც, საერთო საბითუმო ბრუნვები ა.-კ. 52 სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა შეადგენს 39.060.700 მან. და ცალობით ვაჭრობაში — 6.648.100 მანეთს.

ამნაირად თუ შევადარებთ მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის საბითუმო ვაჭრობის ბრუნვებს წარსულ წლის უკანასკნელი მეოთხედისას დავინახავთ ზრდას 17,2 პროცენტით, ხოლო თუ შევადარებთ — ამავე წლის უკანასკნელი მეოთხედისას, დავინახავთ ზრდას 17,2 პროცენტით, ხოლო თუ შევადარებთ ამავე წლის პირველ მეოთხედს — 58 პროცენტით. ცალობით ვაჭრობაში, ამავე პერიოდებში პროცენტული ზრდა გამოიხატება 18,9 და 87,6%-ში.

---

შეახევს. მაშ, თემის საბჭო, აგე პასუხი! მომავლისათვის ამ მიმართულებით შემდეგი გეგმა დაუსახავს: 1) სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და გლეხობასთან კულტურული კავშირის გაღრმავება, 2) თემის კედლის გაზეთის „ჩვენი მოამბის" გამომცემლობის გაუმჯობესება. **კოოპერატივის მუშაობა** ვერვის გააკვირვებს. კოოპერატივის განყ. წევრთა რიცხვი იზრდება შემდეგი ტემპით: **1924 წლის** მარტში—ერთი წევრი—ნოქარი, აგვისტოში — 7 წევრი, სექტემბერში — 17, ოქტომბერში —19., **1925 წლის** იანვარში — 23 წევრი, მარტში—27, ნოემბერში — 35, დეკემბერში—57, **1926 წლის** იანვარში—124 წევრი.

ლეხაურის კოოპერატივი გამონაკლისს არ შეადგენს, ის გამოხატავს საერთო მოვლენის კერძო ფაქტს. იმ რაიონში, რომლის კოოპერატიულ ქსელშიაც ლეხაური შედის—ოზურგეთის რაიონში მდგომარეობა იცვლება შემდეგნაირად: **1923 წელი ოქტომბერი** — 0 წევრი, 1924 წელი ოქტომბერი — 430 წევრი, 1925 წელი ოქტომბერი — 747 წევრი; ოქტომბრიდან კი ეტყობა ტემპის აჩქარება.

**შემოვიდა ახალი წევრი:** ოქტომბერში — 5, ნოემბერში—23, დეკემბერში—160, 1926 წლის იანვარში—279 წევრი.

უნდა ითქვას, რომ ოზურგეთის რაიონის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება უკანასკნელ დრომდის სუსტად მუშაობდა. უკეთესად არის დაყენებული საქმე სხვა რაიონებში. სულ მაზრაში 8 კოოპერატიული რაიონია.

კოოპერაციის წევრთა სწრაფი ზრდა უკანასკნელ თვეებში მიეწერება გამგეობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, მუშაკების შერჩევას და პარტიული ორგანიზაციის მიერ სწორი კოოპერატიული პოლიტიკის გატარებას. ლანჩხუთის და სუფსის რაიონებში კოოპერატივები საზარალო დაწესებულებად იყვნენ გადაქცეული. 1925 წლის განმავლობაში ეს მდგომარეობა რადიკალურად იქნა გამოსწორებული და ამ ჟამად სუფსაში კოოპერატივი საუცხოოდ საქმიანობს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც ზოგიერთისთვის ალბად უცნობია: საქონლის ბრუნვის პირობები გასულ წელში. განვიხილოთ ლეხაურის მაგალითზე. კოოპერატ-ის განყოფილებამ ამ თემში მიიღო 1924 წლის განმავლობაში 19,000 მანეთის საქონელი, ხოლო გასულ წელს 18803 მანეთის, საქონლის ბრუნვის ზრდა ჩამორჩა კოოპერაციის წევრთა ზრდას. აქ მხედველობაში მისაღებია საქონლის ნაკლებობა და კრედიტის პირობების შეცვლა 1925 წელში, რაც კორესპონდენტზე უფრო მოხსენება ამხ. დოლიძეს. როგორც ხედავთ დანგრევისათვის ხელი არ შეგვიწყვია. საერთოდ გურიაში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ ცუდი აზრის არ არიან (დავიმოწმებ ცეკავშირს).

ფაქტიური შენიშვნა ლეხაურის მცხოვრებთა მიერ იაფი სამეურნეო სესხით სარგებლობის შესახებ: საკრედიტო ამხანაგობამ თავის დროზე თავის უმნიშვნელო საერთო თანხიდან (18500 მან.) ლეხაურის მცხოვრებლებზე 500 მან. გასცა. მაზრაში 41 თემია. ამხანაგობას საყვედური არ ეთქმის.

**ზომლეთის თემი.** კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს: „თემის საბჭომ გაყიდა 12 ქცევა საუკეთესო ტყე. მიუხედავად ს. ვანის (თემის ერთ-ერთი სოფელია) მცხოვრებთა პროტესტისა. ტყე იყიდა ვინმე მოიჯარადრე თავაძემ, რომელსაც შემდეგ რამოდენიმე საბჭოს წევრიც (უკანასკნელნი დაფასებაშიაც შედიოდა) ამოუდგა გვერდში. ამრიგათ ჩვენი თემის ერთად-ერთ ტყეს დაუწყეს გაჩეხვა. საჭიროა მიღებული იქნას ზომები ტყის განადგურებისაგან გადასარჩენად და დამნაშავე საბჭოს წევრთა პასუხის გებაში მისაცემად".

ტყის ანარქიულ გაჩეხვას ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. ტყე, არა 12-ტი, არამედ 6 ქცევა გაეყიდათ მაზრა - აღმასკომის დასტურით თემის საჭიროებისათვის. ტყე მდებარეობდა თემის განაპირა ადგილზე და ამიტომ მისი გაჩეხვისაგან დაცვა ვერ მოხერხდა: ცალკე მცველის გაჩენა კი ტყეზე უფრო ძვირი დაჯდებოდა. გაყიდვის წინააღმდეგ იყო მხოლოდ საბჭოს ერთი წევრი. მყიდველია არა ერთი თავაძე, არამედ სამი კაცი.

გამოირკვა, რომ შემდეგ მათთან დღიურ ქირაზე მუშაობს ერთი საბჭოს წევრი (ვგონია, რომ მას ასეთი მოქმედებისათვის ვერ დავძრახავთ). გატიალებული ტყის ნაჭერზე აღმოცენებული ტყე იქნება დაცული.

მეორე კორესპონდენტი აღნიშნავს სახელმწიფო ტყის გაჩეხვას **ჩოხატაურის რაიონში** (სოფ. გოგოლესუბანი), რაც თურმე იმაში გამოიხატება, რომ ტყის გამგე უხვად ჰყიდის საშეშე ბილეთებს. თუ ტყის მოჭრა სატყეო წესდების თანახმად ხდება, ეს ბოროტ - მოქმედებად არავის ჩაეთვლება, ჩვენ ვიცით, რომ ტყის უბილეთოდაც ეზიდებიან ბევრგან. საერთოდ ტყის დაცვის საკითხი მტკივნეულია არა მარტო გურიისათვის.

დასასრულ ორიოდე სიტყვა საგზაო მშენებლობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაო ჯერ კიდევ წინ გვიძევს. ერთ - ერთ კორესპონდენტის ცნობაში დასახელებული ნატანებ - საჯავახოს გზა ტკეცილი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. გზა იმყოფება გზა ტკეცილების სამმართველოს გამგებლობაში. მუშაობა მის შესაკეთებლად დაიწყება გაზაფხულზე. გასულ წელს შედარებით წინა წლებთან (1 პროც. 21—22—23—24) ცალ - ცალკე შესრულებულია (საშუალო გამოანგარიშებით) მუშაობა: გზების მხრივ 100 პროც. მეტი, ხიდების მხრივ 600 პროც. მეტი და დამბების მხრივ 250 პროც. მეტი. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ 1924 წელს მდ. ნატანებზე და ბახვის წყალზე (ჩოხატაურის მიმართულებით) დაწყებულ ხიდებზე გაწეული ხარჯები 4977 მ. გასტუმრებული იქნა. 1925 წ. გასულ წელსვე იქნა დაფარული დავალიანება საყორნიის გზის მუშებისადმი 4000 მან. რაოდენობით. შეიძლებოდა ასეთი ცნობების გაგრძელება, მაგრამ ეს საგაზეთო წერილს გაზრდიდა.

რასაკვირველია, სოფლის კეთილმოწყობას ბევრი აკლია, მთავარი სიძნელენი ჯერ კიდევ გადაულახავია, გურული გლეხის ბარსა და წერაქვს ჩვენი კუთხის სიღარიბე ჯერ კიდევ ვერ დაუმარცხებია, მაგრამ ურყევად მივდივართ წინ. საბჭოთა გამოცოცხლება საიმედო მოკავშირედ გვევლინება აღმშენებლობით მუშაობაში...

ამრიგად ამხ. დოლიძის პესიმიზმი უსაფუძვლოა. რასაკვირველია, ამხ. დოლიძის შეცდომები აიხსნება არა მისი ბოროტი განზრახვით, არამედ იმ შემთხვევითი გარემოებით, რომ მას გურია 18 თვის განმავლობაში თვალითაც არ უნახავს, ხოლო ცნობების მოყვანა იმ მაზრებიდან, რომელზედაც ხელი მიუწვდება, მას დაავიწყდა. ერთი სიტყვით თავის შეხედულებათა დასასაბუთებლად მასალის შერჩევაში ავტორი შეცდა. ამხ. დოლიძის სასარგებლოთ უნდა ითქვას უმწიკვლო შინაარსით ყველაფრის დამფარავი, სტერეოტიპიული ფრაზა: არ სცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს.

ამხ. დოლიძე თავის მსჯელობას ასკვნის **საქმისაკენ** მოწოდებით. შევისმენთ, ოღონდ საჭიროდ ვსცნობთ გავარკვიოთ, რას ნიშნავს ეს ცნება: „საქმე". გოგებაშვილის „დედაენიდანაც" ვიცით, რომ საქმე უპირისპირდება უსაქმურობას, ისე როგორც: სიახლოვე - სიშორეს, სიძულვილი სიყვარულს, ან შური თანაგრძნობას, დღე—ღამეს და სხ.

ჩვენის აზრით ამხ. დოლიძემ თავისი მთავარი დებულება გურიის თემსაბჭოების უსაქმურობა, ანუ უმოქმედობა—თავის წერილში ვერ დაამტკიცა.

„საქმე" ყველას თავისებურად ესმის. საქმედ ჩაითვლება ამხ. დოლიძის წერილიც, რომელმაც, ალბად, ავტორის საკმაო დრო შეიწირა. მან საშუალება მოგვცა ზოგიერთი სადაო საკითხი გამოგვერკვია, რითაც სასარგებლო საქმე შესრულა.

ავტორი რჩევას იძლევა მიექცეს ყურადღება მომავალი საბჭოებისათვის კანდიდატების შერჩევას: „საბჭოებში უნდა მოხვდენ შრომის უნარით სავსე და ეხლანდელი სოფლის ნამდვილი მზრუნველნი და ხელმძღვანელნი და არა **ცუღლუტები და ორგულნი**" (კურსივი ჩემია. გ. ქ.) რასაკვირველია, ცუღლუტების გაყვანა საბჭოებში არ შეიძლება ისე, როგორც არ შეიძლება გავაჭაჭანოთ საბჭოებში ქურდები, მიმთვისებლები, კომბინატორები, ყაჩაღები და სხვა საეჭვო პირები, მაგრამ **სპეციალური** გაფრთხილება ამისთვის გურიისათვის საჭირო არაა. ჩვენს გლეხამომრჩეველს არც შარშან დასჭირებია, არც წელს დასჭირდება ასეთ ელემენტარულ რამეზე ჭკუის სწავლება. ამხ. დოლიძე უნდა დაგვეთანხმოს, რომ მის მიერ დაშვებული გამოთქმა ვერაა მომარჯვებული და სწორი.

სოფლის შესახებ მეტად აწონილ და გაზომილ მსჯელობას, შეიარაღებას დაკვირვების უნარით — აი რას მოვითხოვთ მომავლისათვის.

გ. ქავჟაძე.

ქ. ოზურგეთი, 16 თებერვალი.

# შავი ზღვის რკინის გზა

**შავი ზღვის რკინის გზის ქონება.**

შავი ზღვის რკინის გზის სააღმშენებლო სამმართველოს გადაეცა ყველა ის ქონება—უმთავრესად საალმშენებლო მასალა, რომელიც ეკუთვნოდა ყოფ. „შავი ზღვის რკინის გზის ამხანაგობას“, და რომელიც საკმაოდ დიდ ღირებულებას წარმოადგენდა.

რკინის გზის გასაყვან მუშაობის შეჩერების შემდეგ,—ქონების დიდი ნაწილი დატაცებულ იქნა.

ამ ჟამად სამმართველო აგროვებს და თავს უყრის გატაცებულ ქონებას.

გლეხები ხალისით აბრუნებენ წაღებულ საალმშენებლო მასალებს და ხშირად ეხმარებიან სამმართველოს რწმუნებულს დაკარგულ საალმშენებლო მასალის გამოძებნა-შეგროვებაში.

**უახლოვესი სამუშაოები შავი ზღ. რკინის გზაზე,**

მიმდინარე თვის დამდეგს, დაიწყო რკინის გზის ხაზის გასაყვანი მუშაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საწარმოო გეგმის მიხედვით რკინის გზ. ხაზი, რომელიც გაყვანილია სადგურ ცაიშამდე,—ახალსენაკიდან 45 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთის მიმართულებით, 1927 წლის დამლევისათვის მიყვანილი იქნება ქალ. სოხუმამდე. ამ დროისათვის უნდა დამთავრდეს ქალაქ სოხუმის კაპიტალური სადგურის აგება. რკინის გზის ხაზის გაყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯდება 5 მილიონ მანეთზე მეტი.

მანძილი ცაიშ-სოხუმს შუა უდრის 107 ვერს. ამ პუნქტებს შუა საჭიროა ორი დიდი ხიდი—მდინარე ენგურზე და კოდორზე,—და აგრეთვე ოცი პატარა ხიდის აგება. ენგურისა და კოდორის ხიდები აგებულ იქნება მაღალ ბურჯებზე.

ამ ხაზზე აშენდება აგრეთვე 6 სადგური.

სოხუმის სადგურის აგება განზრახულია ქალაქიდან ნახევარ ვერსის დაშორებით.

მშვენივრად არის შენახული ჩერნიავსკის მთაში გათხრილი გვირაბი, რომლის სიგრძე ნახევარ ვერსს უდრის. მისი გაწმენდა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამ ჟამად გზაზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ენგურის ხიდის ბურჯების შენება უკვე დაიწყო.

# სახელმწიფო დაზღვევა

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო თანდათან აფართოებს თავის მუშაობას. სახელმწიფო დაზღვევის სამუშაო გეგმაში შედის: ქალაქებში შენობების და სავაჭრო დაწესებულებების ცეცხლის საშიშროებისაგან დაზღვევა, — სოფლად ნათესი ყანების, ვენახების, ბაღების სტიქიურ უბედურებისაგან დაზღვევა და შინაური პირუტყვის ჭირის და სხვა გადამდებ სნეულებიდან დაზღვევა. სოფლის მეურნეობისათვის სამმართველოს დაწესებული აქვს უმნიშვნელო — ძალიან შეღავათიანი დაზღვევის ნორმა.

მიმდინარე საოპერაციო წლისათვის ამიერ - კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს დამუშავებული აქვს შენობების ცეცხლისაგან (ქალაქში) და სასოფლო - სამეურნეო კულტურის სტიქიურ უბედურებისაგან (სეტყვა, გვალვა, ნიაღვარი) და შინაურ პირუტყვის — მუშა საქონლის და ცხენების სიკვდილისგან სავალდებულო დაზღვევის გეგმები.

საბჭოთა კავშირის დაზღვევის საბჭოს დადგენილებით, ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკებში აუცილებლად უნდა ჩატარდეს შენობების სავალდებულო დაზღვევის კამპანია, დაზღვევის ნორმების და ტარიფის შეუცვლელად. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურას, დაზღვევის უმაღლესმა საბჭომ პრინციპიალურად აუცილებელ საჭიროებად აღიარა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სეტყვისაგან და შინაური პირუტყვის სიკვდილისაგან დაზღვევა. მაგრამ ყოველ მაზრაში დასაზღვევი კამპანიის ჩატარება უნდა მოხდეს ადგილობრივ სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით და მისი ნებართვით.

მიმდინარე საოპერაციო წელს შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შენობების ცეცხლისაგან და შინაურ პირუტყვის სიკვდილისაგან სავალდებულო დაზღვევას ჩაატარებს ამიერ-კავკასიის—19 ქალაქში. გასულ წელს დაზღვევა ჩატარდა მხოლოდ 10 ქალაქში.

# სახალხო ჯანმრთელობა

## თბილისის მე-3-ე ვენერიული კლინიკა

თბილისის ჯანმრთელობის განყ.-ის განკარგულებაში არსებული მესამე ვენერიული კლინიკა-საავადმყოფო ჯერჯერობით ერთია მთელს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ამით აიხსნება ავადმყოფთა ნაციონალურ შემადგენლობის ის სხვადასხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს იქ.

ეს ვენერიული საავადმყოფო ჯერ კიდევ ომის წინ დაარსდა ავლაბარში. შემდეგ განზრახული იყო მისი გაფართოვება და ამ მიზნისათვის აშენებულ იქმნა ახლანდელი ქალაქის მეორე (ყოფილი ალექსანდრეს) საავადმყოფოს შენობა.

1914 წლიდან ეს საავადმყოფო გადაკეთდა სამხედრო ლაზარეთად, ხოლო რევოლიუციის შემდეგ ამ შენობაში გაიხსნა საავადმყოფო თერაპევტიული და ქირურგიული კლინიკებით.

ასე რომ, ისეთ საშინელ სენთან ბრძოლა, როგორიც არის ვენერიული ავადმყოფობანი, მივიწყებულ იქმნა. 1921 წლიდან, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კვლავ მიექცა ამ სენთან ბრძოლას სერიოზული ყურადღება და გადასწყდა ცალკე საავადმყოფოს გახსნა. საავადმყოფო გაიხსნა ერთ-ერთ ნაციონალიზაციაქმნილ სახლში, კამოს ქუჩაზე.

ეს შენობა, როგორც საცხოვრებელი მიზნით აშენებული და ამასთან პატარა, საავადმყოფოსათვის გამოუსადეგარი იყო და საჭიროებდა გადაკეთებას. 1924 წ. 4 სექტემბერს ქალაქის აღმასკომი შეუდგა შენობის შეკეთება-გაფართოვებას, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.

საავადმყოფოში ორი განყოფილებაა: ქალების და კაცების; საერთოდ იგი გათვალისწინებულია 65 მწოლიარე ავადმყოფისათვის, მაგრამ უბინობის გამო შეუძლებელია 50-52 ავადმყოფზე მეტის მიღება.

გარდა მწოლიარე ავადმყოფებისა, ექიმობენ მოსიარულე ავადმყოფებიც, რისთვისაც არსებობს ამბულატორია.

საავადმყოფოში მომსვლელთა რიცხვი 1923 წელს უდრიდა 33.159 სულს, 1924 წელში—40,499 და 1925—51.515.

ექიმობა საავადმყოფოში სრულიად უფასოა, წამლებსაც უფასოდ აძლევენ ავადმყოფებს, რისთვისაც საავადმყოფოს აქვს თავისი საკუთარი აფთიაქი.

საავადმყოფოში მოსული ავადმყოფები უმეტესად ღარიბი წრეებიდან არიან გამოსულნი. უმრავლესობას შეადგენენ: მუშები, გლეხები და საბჭოთა მოსამსახურეები.

ვენერიული საავადმყოფოს ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებას თან მოჰყვა ასეთივე კლინიკის დაარსება მასთან. აქ არსებობს აუდიტორია ლექციების საკითხავად.

რემონტის დაუსრულებლობის გამო ლაბარატორიული მუშაობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვენერიულ სენთან ბრძოლაში, არ სწარმოებს. საავადმყოფოს არ მოეპოვება აგრეთვე, სენთან ბრძოლის აუცილებელი იარაღი—რენტგენის აპარატი.

შესაძლებლობის ფარგლებში კლინიკის აუდიტორიაში იმართება ხოლმე პოპულიარული ლექციები და სურათების ჩვენება ვენერიულ სენის შესახებ.

აღსანიშნავია დიდი ენერგია და საქმისადმი მუყაითად მოპყრობა საექიმო პერსონალის მხრივ.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი შემთხვევა კლინიკის ცხოვრებაში. ეს არის პროფ. ბურზდორფის მოწვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბურზდორფი რუსეთის უნივერსიტეტების ძველი პროფესორია და ითვლება კანის სნეულებათა მკურნალობის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად. მათ შორის კარგად იცნობს ქეთრს. იგი ამჟამად მუშაობს აღნიშნულ კლინიკა-საავადმყოფოში.

ა—ლი.

# წყალსადენის გაყვანა თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრის სოფლების დიდი უმრავლესობა გაჭირვებას განიცდის საერთოდ უწყლობის, და განსაკუთრებით სასმელი წყალის უქონლობის გამო. ჰა, რა ღირსებისაც არ უნდა იყოს ის, მაინც ვერ არის ისე მარგებელი ჯანმრთელობისათვის, როგორც წყაროს წყალი. ხშირად კი ჰის წყალი ბუდეა სხვადასხვა სნეულების და განსაკუთრებით მალიარიის. თბილისის მაზრის ზოგიერთი სოფელი მოკლებულია ჰის წყალსაც და მცხოვრებლები იძულებულნი არიან დააგროვონ წვიმის წყალი სახმარებლად ან რამდენიმე ვერსის სიშორიდან ზიდონ წყალი.

თბილისის აღმასკომმა მიიღო რა მხედველობაში ეს მდგომარეობა, გადაწყვიტა წყალსადენის გაყვანა უწყლო სოფლებში. რომ მაზრის ყველა უწყლო სოფლებში გამოყვანილ იქნას წყალი, საჭიროა დაახლოვებით 110 ათასი მანეთი. ამ თანხის გაღება კი დღესდღეობით აღემატება აღმასკომის შესაძლებლობას. ამიტომ აღმასკომს განზრახვა აქვს უწყლო სოფლების მცხოვრებლებზე წყალსადენის გამოყვანისათვის საჭირო თანხა გასცეს კომუნალურ ბანკიდან გრძელვადიანი სესხის სახით. ეს კი არც აღმასკომის ბიუჯეტს დააწვება მძიმე ტვირთად და არც გლეხებს გაუჭირდებათ მისი გადახდა და ამ გვარად გაკეთდება საშვილიშვილო საქმე დღემდე უწყლობით გავერანებულ სოფლებში.

რ.

# კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

**მოზარდ მუშების მომზადება.—უმუშევართა გადასამზადებელი კურსები.**

ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკებს შეისწავლონ მუშების კვალიფიკაციის აწევის და უმუშევრების გადამზადების საკითხი.

ამ მიზნით ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის დახმარებით თბილისში „შეგირდობის სახლში“ მოეწყო მოზარდ უმუშევრების მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც ირიცხება 100 კაცი. ეს სახლი 6 თვეა არსებობს. კურსელების ნაწილი უკვე გაიგზავნა წარმოებაში. საბოლოო გამოშვება მოხდება 3 თვის შემდეგ.

მუშათა კვალიფიკაციის აწევის მიზნით ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატი შეუდგა უმუშევარ ქალთათვის ტრიკოტაჟის საქმის სწავლებას. უკვე მომზადებულია 80 ქალი. ამჟამად ტრიკოტაჟის ფაბრიკა აწარმოებს უმუშევარ ქალების გადამზადებას.

სომხეთის შრომის სახ. კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საალმშენებლო დარგის მუშების მომზადებას და გადამზადებას. ამ მიზნით ერევანში გაიხსნა კურსები 80 კაცისათვის. ამ კურსელების გამოშვება მოხდება 5 თვის შემდეგ.

**შრომის ინსტიტუტის განყოფილების გახსნა.**

საერთოდ, მუშაობა კვალიფიკაციის ასაწევად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ახალი საქმეა.

სხვათა შორის განზრახულია მთელი რიგი პროფტექნიკურ კურსების გახსნა. კერძოთ, ახლო მომავალში ან თბილისში, ან ბაქოში გაიხსნება შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის განყოფილება. ამ ინსტიტუტის განყოფილების გახსნის შემდეგ მუშების გადამზადების საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქნება დამყარებული, და კვალიფიკაციის აწევის საქმეში შეტანილი იქნება მეტი გეგმიანობა.

ამ ინსტიტუტის ფილიალი შეუდგება შრომის და მრეწველობის პირობების შესწავლას სათანადო დარგებისათვის კვალიფიციურ მუშაძალის მოსამზადებლად.

ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტად საჭიროა ფეიქრების მომზადება, რამდენადაც ეს მხარე მდიდარია მებამბეობით. ადგილებზე განზრახულია მთელი რიგი ბამბის და მაუდის ფაბრიკების გახსნა და არსებულ საფეიქრო წარმოებათა გაფართოება. ყველა აქ წარმოებისათვის საჭირო იქნება არა ნაკლებ 3.000 კაცისა.

შრომის ცენტრალური ინსტიტუტი ამზადებს ამჟამად კავშირში მჭედლებს და ხარატებს. ახლო მომავალში ინსტიტუტი გამოიმუშავებს ფეიქართა მომზადების და გადამზადების გეგმას. ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიაში შრომის ცენტრ. ინსტ. ფილიალის გახსნას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

# „შმოს ლიგის“ ლიკვიდაცია

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარმა კუიბიშევმა და შმოს ლიგის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ როზმიროვიჩმა წერილით მიმართეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლიგის ყველა წევრებს.

წერილი აღნიშნავს ლიგის მიღწევებს მუშებსა და მოსამსახურეებს შორის როგორც შმოს იდეის პროპაგანდისტისა და აგიტატორისა, და ამბობს, რომ ლიგას და მის უჯრედებს, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არ შეეძლო დიდხანს ემუშავა განცალკევებით.

პროლეტარული სახელმწიფოს პირობებში საზოგადოებრივობის საფუძველს წარმოადგენს ჩვენი კლასიური საზოგადოებრივობა, ჩვენი პროფკავშირების საზოგადოებრიობა. ქალაქის მუშათა მასები თავისი ყოფა-ცხოვრების საკითხებით და ყოველდღიური მუშაობით მჭიდროთ არიან დაკავშირებული პროფკავშირებთან. პროფკავშირების გარეშე ქალაქში წარმოუდგენელია რაიმე კულტურული - საგანმანათლებლო მუშაობა. ამ დებულების სისწორე განსაკუთრებით ნათელი ხდება თუ ჩავუკვირდებით პროფკავშირთა მასების თვითმოქმედების და აქტივობის განვითარებას; ეს მასები ძირითად ბაზისს წარმოადგენენ ყოველგვარი რაციონალისტური მუშაობისათვის.

საწარმოო თათბირების და ეკონომიური კომისიების მუშაობის განვითარება, რომლის ამოცანებში შედის ყველა საწარმოო პროცესების გაუმჯობესება და განვითარება, როგორც წარმოებებში ისე დაწესებულებებში, მეტად ამწვავებს საკითხს პროფესიონალურ მასების თვითმოქმედებას გვერდით სხვა მსგავს ორგანიზაციების არსებობის შესახებ.

ამასთანავე ერთად გამოირკვა, რომ წარმოება-დაწესებულებებში შრომის რაციონალიზაციის უფრო მიზანშეწონილ ორგანოებს წარმოადგენენ რაციონალიზაციის განყოფილებები და ორგბიუროები. ეს ფორმა რაციონალიზაციის ორგანოებისა მოწონებულ იქნა პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის მიერ.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ შმოს ლიგის საკავშირო კომიტეტმა და მუშათა და გლეხთა სახ. კომისარიატმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებელ მუშაობის ეხლანდელ სტადიისათვის, ამ მუშაობაში ლიგის წევრთა აქტიურ მონაწილეობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს ხსენებულ წევრთა შესვლა საწარმოო თათბირებსა და ეკონომიურ კომისიებში, რომელნიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი მეურნეობის აღორძინების საქმეში.

გაუქმებულ უნდა იქნეს შმოს ლიგის ყველა დამოუკიდებელი უჯრედები წარმოებებსა და დაწესებულებებში, გაუქმებულ უნდა იქნეს აგრეთვე საქალაქო, საგუბერნიო და საუბნო, რესპუბლიკანური და საოლქო კომიტეტები, ისე, როგორც შმოს ლიგის საკავშირო კომიტეტი.

ლიკვიდაციის ფორმებს და წესს გამოიმუშავებს კომიტეტი.

შმოს ლიგის თბილისის კომიტეტმა უკვე მიიღო ზომები ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

# ავიაქიმში

**მატლის ქიმიურად გაწმენდა.**

საქართველოს ავიაქიმი ქიმსექციის საწარმოო ხაზით იმუშავებს მატლის ქიმიური წესით გარეცხის პროექტს.

**ზუგდიდის განყოფილებაში.**

საქართველოს ავიაქიმის ზუგდიდის განყოფილება შეუდგა [illegible] ადგილების მოწყობას ქიმიურად გასანაყოფიერებლად.

**აფხაზეთის ავიაქიმის მუშაობა**

აფხაზეთის ავიაქიმის ქიმიური სექცია ეხმარება მეთამბაქოებს: გამოწერილია დარიშხანისებური შენაერთი მავნეებთან საბრძოლველად.

**ქიმიური კურსები.**

საქართველოს ავიაქიმმა მიიღო მასალების ნიმუშები ქიმიური კურსისათვის, რომელიც მოწყობილია თბილისში. მიღებულ მასალებს შორის არის სხვადასხვაგვარი შხამი, მაგალითად იპრიტი (მორჩილავი გაზი), ლიუზიტი (ჩირქების გამომწვევი გაზი), ციან. კალი (კრისტალები), რომლის ერთი პატარა ნაწილი საკმარისია მთელი თბილისის მოსახლეობის მოსაწამლავად. ცხვირის დასაცემინებელი გაზი (ლიფენილ.ხლორისინ) და ყოველგვარი სხვა გაზები სასოფლო მეურნეობის მავნეებთან საბრძოლველად, მაგალითად—გოგირდ-ნახშირბადი, დარიშხანისებური შენაერთი და სხვა.

**მოდელების გამოცდა.**

ზუგდიდის მაზრიდან საქართველოს ავიაქიმს ატყობინებენ, რომ მაზრის გლეხობამ ფართო მონაწილეობა მიიღო ჰაეროპლანების მოდელების შეჯიბრებაში, რომელიც ამას წინად მოხდა მაზრაში. ზუგდიდის მაზრის გლეხმა ამხ. ჯაბუამ პირდაპირ რეკორდი აიღო გლეხებს შორის 68 მეტრის სიშორეზე აფრენით. ავიაქიმის სპორტ-სექციამ გადასდო ორი ჯილდო გლეხებისათვის, რომელნიც გაიმარჯვებენ მოდელების ახალ შეჯიბრების დროს 28 თებერვალს.

8 მარტში შესდგება მოდელების მორიგი შეჯიბრება თბილისში.

**მონაწილეობა სას.-სამეურნეო გამოფენაზე.**

საქართველოს ავიაქიმმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ამ.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რისთვისაც გადადებულია 200 მანეთი.

**თათბირი.**

მარტის დასაწყისში თბილისში შესდგება თათბირი, რომელსაც დაესწრებიან ავიაქიმის მუშაკები ადგილებიდან.

# სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ა/კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოხდება ტრაქტორების, მოტორიანი გუთნების და სხვა იარაღ-მანქანების გამოცდა. ტრაქტორების გამოსაცდელი პროგრამა, იმნაირად არის შედგენილი, რომ შედეგების გამორკვევის შემდეგ, შესაძლებელი გახდეს იმის გამორკვევა. თუ რომელი ტრაქტორი და მანქანა გამოდგება ა/კ. ცალკე რესპუბლიკებისათვის ადგილმდებარეობის მიხედვით.

გამოფენის კომიტეტმა გაითვალისწინა რა ა/კ. ნიადაგების სხვადასხვაობა, გადასწყვიტა გამოცდები მოახდინოს სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ნიადაგზე. გამოცდაში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ქარხნებიდან გამოშვებული ტრაქტორებიც. გამოფენის მომწყობ კომიტეტის ცნობით, ტრაქტორების გამოცდაში მონაწილეობას მიიღებს 30 უცხოელი ფირმა.

წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, გამოფენაზე მოწყობილი უნდა ყოფილიყო 18 განყოფილება, მაგრამ საჭიროების გამო გაიხსნება კიდევ 3 განყოფილება.

**სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის**, სადაც იქნება თიხის წისქვილები, აგურის დაზგები და სხ.

**საგზაო მშენებლობის** განყოფილებაში გამოფენილი იქნება ქვების სატეხ-სათლელი მანქანები და გზის სატკეცი მანქანები.

მესამე განყოფილებაში მოეწყობა უახლოესი სისტემის ფინალები.

# მუშათა ცხოვრება

## თავდავიწყებული ქმარი

(პატარა ფელეტონისებური)

— ძლივს დროზე არ მოხველი! ათი საათია და შენ უკვე სახლში ხარ! არც ერთი ღამე არ ყოფილა, რომ შენ ამდროს სახლში იყო!—კმაყოფილებით ეუბნება ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს.

— ნუ გიხარიან, ჩემო კარგო! როგორც მოვედი, ისეც წავალ, ამაღამ დიდი კრება გვაქვს,—ეუბნება ქმარი.

— რა არის ეს? სულ კრება და კრება, დღისით, ღამით, უქმე დღეს, კვირას. ყოველ ცისმარე დღეს კრება. რა უბედურებაა? ქმარი მყევხარ და კი ვერ გხედავ!—უკმაყოფილოდ ეუბნება ცოლი.

— უამისოთ არ შეიძლება, სახელმწიფოს პატრონობა უნდა, და სწორედ ამ კრებებით კეთდება ყველაფერი!—უპასუხებს ქმარი და ვითომდა საჭირო ქაღალდებს არჩევს პორტფელში.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე ქუჩაშია. მხიარულად მიიმართება თავის „შეყვარებულისაკენ“...

აი მისი სატრფოც.

— როდის უნდა გაეყარო იმ შენ ეშმაკ ცოლს? შენ აკი დამპირდი, გავეყრებიო?

— რა ვქნა, ჩემო მშვენიერო, მიზეზს არ მაძლევს არაფერს, პატიოსნად არის, ჩემი ბავშვების დედაა...

— Никаких!.. შენი პირობა უნდა შეასრულო, თორემ არ გაგახარებ!..

— ვეცდები, მოვიმიზეზებ რამეს და შარს მოვდებ.

— არაფერი მიზეზი საჭირო არ არის, ხვალვე უნდა გაეყარო!

— კარგი, ვასრულებ შენს ბრძანებას და ხვალიდან ვეყრები ჩემს ცოლს,—სამი შვილის დედას...

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაივიწყო, რომ შენ შვილები გყავს!—მკაცრად უბრძანებს ქალი.

— მე არა მყავს არც ცოლი და არც შვილები!.. ეშმაკმა წაიღოს ერთიც და მეორეც! შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და ყველაფერი!—წამოიძახა თავდავიწყებულმა ქმარმა.

ცოლი, შვილები ყველაფერი დაავიწყდა „შეყვარებულს“.

— მაგრამ კანონი?

— სამართალი?

საბჭოთა სამართალი მოაგონებს მას ყველაფერს და მტკიცედ დაიცავს მათ ინტერესს.

მუშა ნიკო ახ—ლი.

## როდის ელირსებიან?

ოზურგეთის საავადმყოფოში ითვლება 20-დე დაბალი ხარისხის თანამშრომელი, რომლებიც განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას მცირე ჯამაგირის გამო. მათი ხელფასი უდრის 14 მან. და 32 კაპეიკს თვიურად. პირველ ოქტომბრიდან საავადმყოფოს ადმინისტრაცია პირდება მოსამსახურეებს ჯამაგირის მომატებას, ელოდებიან ცენტრიდან განკარგულებას. მოსამსახურეებიც იძულებული ხდებიან ითმინონ ყოველივე გაჭირვება და ზემოაღნიშნული ხელფასიც (14 მ. და 32 კაპ.) ვერ მიუღიათ სამი თვის განმავლობაში

ვინ არის ჩვენი პატრონი?! როდის ველირსებით მომატებას.

მუშა დატანჯული.

## მუშკორების წერილების შესახებ!

ეს ყველასათვის ცხადია, რომ მუშკორები ებრძვიან სიბოროტეს და უსამართლობას. მათ შენიშვნებს სარგებლობა მოაქვს საბჭოთა ხელისუფლებისთვის და მუშათა ცხოვრებისთვისაც. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მუშკორებს ბევრი დაუძინებელი მტერი ჰყავს. მაგრამ მუშკორებს მტრების არ ეშინიათ, თუ მას მოყვარე იცავს, და ეს დაცვა თუმც მოისუსტებს, მაგრამ მაინც ჩვენ გვყავს მაღალი ორგანოები, რომლებიც გვიცავენ და მომავალში სრულიად უზრუნველყოფილი ვიქნებით. მუშკორებს დიდ დაბრკოლებას აძლევს, ხელს უშლის ერთი მიზეზი. ეს მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ როდესაც რომელიმე მუშკორი ხედავს უსამართლობას, უწესობას, ის სწერს ამის შესახებ წერილს და საქვეყნოდ ამჟღავნებს ამა თუ იმ უსამართლობას. რა თქმა უნდა ეს დიდი საპასუხისმგებლო საქმეა.

დიდი დაკვირვება უნდა. ამ მხრივ გამონაკლისი შემთხვევაა, რომ მუშკორები არ უკვირდებოდენ და ისე სწერდენ რომელიმე წერილს. მაგრამ მოპასუხე, დამნაშავე პირი ასე იქცევა: მან გაიგო რომ პრესაში მოათავსეს მის სიბოროტეზე წერილი ის იმწამსვე გამოასწორებს თავის საქმეს და მერე კი დაიწყებს თავის მართლებას და მუშკორის პასუხისგებაში მიცემას. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წერილი როდესაც იწერება ამა თუ იმ ადმინისტრაციის საყურადღებოდ, მან საჩქარო ზომები უნდა მიიღოს. ეს ასე არ ხდება და მუშკორების წერილები უყურადღებოდ რჩება დიდიხნით.

აუცილებლად საჭიროა მუშკორების წერილებზე დაუყოვნებლივ იქნას პასუხი გაცემული იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ისინი ეხებიან.

მუშკორი ვ. სა—ვაძე.

## ამათ პირველ რიგში უნდა მიეცეთ ადგილები

კოოპერაცია, როგორც ვიცით, ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, და მიზნათ ისახავს თავის გარშემო შემოიკრიბოს ფართე მშრომელი საზოგადოება. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება კოოპერაციის აღორძინებისათვის არავითარ ძალღონეს არ იშურებს, რათა, მოუმზადოს ნიადაგი მას ისე, რომ მთელი მშრომელი ხალხი შეკავშირებულათ გაერთიანდეს კოოპერაციის გარშემო ამისათვის მოითხოვდა, კოოპერაციაში მომუშავე ძალების მომზადებას, კიდევაც ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეს საკითხი და გახსნა კოოპერაციაში სამუშაოთ გადასამზადებელი კურსები, კურსებზე უმთავრესად იგზავნებოდენ და ეხლაც იგზავნებიან კოოპერაციაში მომუშავენი. ისინი კურსებზე იძენენ ცოდნას, უფრო ფართოდ ეცნობიან კოოპერაციის საქმიანობას, და ისე ბრუნდებიან ადგილებზე. მაგრამ დაბრუნებისას მათ კოოპერაციაში სამუშაოს არ აძლევენ კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოები და ისინი რჩებიან უმუშევრათ.

თუ მიმართე განცხადებით, კოოპერატიულ ორგანოებს, რათა დაგიშვან სამუშაოზე, ისინი აუცილებლათ აგითქვამენ სამუშაოთ დაშვებას.

მაგრამ დაპირება დარჩება დაპირებად და საქმეს არვინ მოგვცემს.

გზა მიეცით წითელ კოოპერატორებს!

კოოპერატორი ა. შე—ძე.

## ეს კაცი კლუბის გამგედ არ ვარგა.

საბურთალოს სახალხო სახლს ჰყავს გამგედ ვინმე ლომიძე, რომელიც თავის-თავზე უფრო მეტს ზრუნავს ვიდრე კლუბზე. კლუბს არა აქვს არც ერთი ფანჯარა მინებიანი, და იქ ხალხი სიცივით იხოცება, კედლები ალაგ-ალაგ ჩამონგრეული აქვს და ამის შესახებ ჩვენი გამგე ყურსაც არ იბერტყავს! ფული აქვს პოლიტ-განიდან გამოტანილი, ვითომ და კლუბის სასარგებლოდ, მაგრამ ამის „ასავალ დასავალი კაცმა არ იცის.

როგორც გავიგეთ, პოლიტ-განმა მოსთხოვა ანგარიში, მაგრამ დახე ამის ეშმაკობას! თავის შეთხზული, გამგეობის მიერ დაუმტკიცებელი, ანგარიში ჩაუბარებია პოლიტ-განისთვის.

ამით ალბად პოლიტგანი არ დაკმაყოფილდება და ხელახლა მოითხოვს თუ რაში დახარჯა ლომიძემ ამ კლუბის ფული ხსენებული ლომიძე თავის თანამდებობას ვერ ასრულებს შესაფერისადა კლუბში წარმოდგენები იშვიათად მიდის და არასდროს თავის დროზე არ იწყება.

ასეთი გამგე საკლუბო საქმეს ვერ აწარმოებს რიგიანად.

კიჟინა.

## [illegible] წერილებიდან

**შეაკეთეთ ეს თავშესაფარი.**

არენალთან არის რკინისგზის თავშესაფარი „ბუდკა“.

აქ ხშირად ყოველ დღე მუშები თავს იყრიან, მუშა-მატარებელს ელიან და მატარებლით მიდიან სამუშაოზე.

წვიმიან დღეებში მუშები ძალიან სველდებიან, ვინაიდან ეს თავშესაფარი სრულიად ვერ იცავს მგზავრს წვიმისგან, მოითხოვს შეკეთებას, სახურავი მას არ უვარგა და მაღლა ჭერი ჟონავს.

მუშკორი ი.

— **იმედია ამ ნაკლსაც გამოასწორებთ.** თათრის მოედანზე აბანოებში ხშირად იქ მობანავე ავად ხდება გაციებით.

როდესაც იქ კაცი შედის საბანაოდ და ბანაობის შემდეგ გამოდის დაოფლებული მეორე ოთახში ტანსაცმელის ჩასაცმელად, სადაც ძალიან ცივა, იგი ცივდება და იუნება. რაშია საქმე? ნუ თუ ერთი ფეჩიც ვერ დასდგეს ოთახის გასათბობად?

საჭიროა ამას აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება.

მუშკორი ია.

## მუშათა ქრონიკა

### მე-2-რე თამბაქოს ქარხანაში

— **მოხსენება.** მეორე თამბაქოს ქარხნის მუშების საერთო კრებაზე მოხსენება გააკეთა ფაბრკომის თავმჯდომარემ ფაბრკომის კულტ - მუშაობის, შრომის დაცვის კომისიის მუშაობის შესახებ. კრებამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **წრეების მუშაობის გამოცოცხლება.** ვინაიდან წრეების მუშაობა მოიკოჭლებს, მეორე თამბაქოს ქარხნის მუშების საერთო კრებამ დაავალა კულტ-კომისიებს გამოაცოცხლონ წრეების მუშაობა.

— **იმ მიზნით, რომ მანქანაზე მომუშავე** მოწაფეებმა ადრე შეისწავლონ ხელობა, მეორე თამბაქოს ქარხნის ფაბრკომმა დაადგინა მოწაფეები მოვიდნენ ქარხანაში დილით 7 ნახ. საათზე.

— **კლუბის ახალი წევრების ჩაწერა.** ვინაიდან ცენტრალურ მუშათა კლუბში ხდება ახალი წევრების ანკეტის შევსება, რაც აფერხებს და უხეხულია მუშებისათვის, ქარხკომმა სთხოვა კლუბის გამგეობას ანკეტები გადმოგზავნოს ქარხანაში, სადაც თვით აწარმოებს შევსებას.

— **ჯანმრთელობის გასინჯვა.** ვინაიდან დიდი ხანია მეორე თამბაქოს ქარხნის მუშების ჯანმრთელობა არ გასინჯულა, ფაბრკომმა სთხოვა დამზღვევ სალაროს, გამოგზავნოს ქარხანაში ექიმი მუშების გასასინჯავათ.

### რკ. გზის პროფკავშირში

— **არჩევნები.** ა.-კ. რკ. გზის გაერთიანებულ ადგილკომში მოხდა ორგან.-გამნათლებელი კომისიების არჩევნები. კომისიაში არჩეულ იქნენ; დოიჯაშვილი, გარბუზევიჩი, ვაშაკიძე, ტარნოვსკი, ფურცელაძე, სალუქვაძე, ნასიბოვი, ბეგიჯანოვი და ამხ. დოვგელიუკი.

— **წინადადება მიეცა.** ვინაიდან ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგე უდიერად ეპყრობა მუშებს, წინადადება მიეცა შემდეგში არ გაიმეოროს ასეთი ქცევა.

— **შრომის განაწილებისათვის.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბის მუშების სამუშაოს განაწილება დაევალა მოაწესრიგოს შრომის დაცვის კომისიას.

— **ზედმეტი მუშაობის შესახებ.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბის მუშების საკითხი ადევალა მოაგვაროს შრომის დაცვის კომისიას.

— **უნდა მოგვარდეს ეს საქმე.** კლუბის ადმინისტრაციამ, უჩპროფსოჟის დამოუკიდებლათ მოუმატა ზოგიერთ მუშებს ხელფასი, რამაც გამოიწვია დანარჩენ მუშებში უთანხმოება. ამისათვის დაევალა კლუბის გამგეს მოაგვაროს ეს საკითხი.

— **სანარდო ჯილდოს გაცემა.** ვინაიდან სანარდო ჯილდოს შემოღება შედეგი იყო სადგურის მუშაობის აწევისა და მისი გაუქმება დასწევს მუშაობას, უბკავშირმა სთხოვა საგზაო კომიტეტს არ გააუქმოს ჯილდოს გაცემის წესი.

# ქრონიკა

## ბელგიელ მასწავლებლების წერილი

მე 7-ე შრომის სკოლის ამხ. კაპანელმა მიიღო წერილი ბელგიის დელეგაციაში (რომელიც თბილისშიაც ჩამოვიდა შემოდგომაზე) შემოვალ მასწავლებლისაგან. ამ წერილში ბელგიელი ამხანაგი იტყობინება, რომ ბელგიელი მასწავლებლები ფართო კამპანიას აწარმოებენ თავის სამშობლოში იმ მიზნით, რომ მოსახლეობის ფართო მასებში გააცნონ, თუ როგორაა დაყენებული სოციალური აღზრდის საქმე საქართველოში.

## კომისიის დაარსება სახკომსაბჭოსთან

საქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა შემჭიდროების საკითხი. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

## ზეიცის საქმე

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს გადასცა ლითონის სინდიკატის № 1 მაღაზიის გამგის მოქ. ზეიცის საქმე, რომელსაც ბრალად ედება იმ ფულების გაფლანგვა, რომელიც მან მიიღო გაკირულ ბაწრის გაყიდვიდან და სხვ. ბოროტმოქმედებანი.

## თბ. აღმასკომში

— **თბ. მაზრის საექიმო პუნქტთან** განზრახულია მოეწყოს საკონსულტაციო ბიუროები, მაზრაში ავადმყოფობასთან წინასწარი ბრძოლის მიზნით.

— **ხიდი არაგვზე.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ ამხ. ვარძიელს დაავალა გამოარკვიოს, რომ მცხეთაში, მდ. არაგვზე, დროებითი ხიდის სახით, მოტორიანი ნავი უფრო გამოსადეგი იქნება თუ ბორანი.

— **ახალი სახლი.** თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახვა აქვს პუშკინის ქ. და შუა ბაზრის კუთხეში აგოს ოთხსართულიანი სახლი.

## ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **გლეხთა ცენტრალურ სახლთან** ჯანსახკომი ხსნის 20 საწოლიან განყოფილებას, სადაც მოთავსებული იქნებიან სოფლებიდან ჩამოსული ავადმყოფი გლეხები საავადმყოფოებში მოთავსებამდე.

— **სიკვდილიანობა.** სტატისტიკურ ცნობების მიხედვით 1921 წლებში ყოველ ათას მუშა-მოსამსახურეზე წელიწადში კვდებოდა 12 კაცი, 1923 წელს კი 6—კაცი.

— **თვალის საექიმო რაზმი.** ჯანსახკომი დასავლეთ საქართველოში გზავნის თვალის საექიმო მოძრავ რაზმს.

— **სახამართლო ექსპერტების** საკავშირო ყრილობაზე ჯანმრთელობის კომისარიატი თავის წარმომადგენლათ გზავნის ამხ. კუპცისს.

## დამზღვევ სალაროში

— **თვითეულ დაზღვეულზე** გასულ წელს თბ. დამზღვევმა სალარომ მიიღო 77 მან. 3 კაპ.

## კრებები და მოხსენებები.

— **საქ. საბჭოთა და სავაჭროთა** მუშაკების პროფკავშირთან არსებული ანგარიშის მუშაკთა გაერთიანების ბიუროს თაოსნობით, კვირას 21 თებერვალს, დღის 11 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში სახ. უნივერსიტეტის ლექტორი ინწკვირელი წაიკითხავს მოხსენებას: „ანგარიშის მუშაკთა გაერთიანების მნიშვნელობა“, რომელზედაც მოწვეული არიან ყველა მოანგარიშეები, ბუღჰალტრები, მოლარეები და ანგარიშის მუშაკები.

— **ახალი თურქული ალფავიტის შემოსაღებათ.** 20 თებერვალს თბილისში, ამხ. ნარიმანოვის სახელობის მუშათა კლუბში იხსნება ახალი თურქულ ალფავიტის სრულიად საქართველოს ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრება 60-მდე დელეგატი სამაზრო-საქალაქო ორგანიზაციებიდან, განათლების მუშაკთაგან და სხვა.

დღის წესრიგი: 1) ანგარიში ახ. თ. ალფ. სრ. საქ. კომიტეტისა; 2) ახ. ალ. მეგობართა საზოგადოების საბჭოს ანგარიშები; 3) თურქული ენის რეფორმა და ლიტერატურა; 4) ალფავიტის რეფორმა და ახალი თურქ. ალფავიტი; 5) მთ. კომიტეტის არჩევნები; 6) მიმდინარე საკითხები. სხდომა გაიხსნება საღამოს 5 საათზე.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** დუშეთიდან—ვანო ჩიდაიშვილს, ბაქოდან—გოზალოვს, სურამიდან—ბურჯანაძეს, ბაქოდან—ლეონიძეს, როსტოვიდან—სიზიაკინს, ლენინგრადიდან—მოგეროვსკაიას, ნორაშენიდან—გევორკოვს, კავკავიდან—ივანოვს, მოსკოვიდან—იუეიცკოვს, ბაქოდან—ბაბაევს, მოსკოვიდან—ქავთარაძეს, ლენინაკანიდან—ალტიკოვისას, ცხინვალიდან—თოფაძეს, ბელოკანიდან—აირაპეტოვს, ბაქოდან—მარ. აკოპოვს, აჯიკაბულიდან—ტულსკ. ქუჩ. 14, კარადანლოკიდან—პარტარშვს, ჰიათურიდან—აკაკი ტყემალაძეს, ქუთაისიდან—შილინკერდის.

# შემთხვევები

— **დახვედრა.** 17 თებერვალს ნახშირის ქუჩაზე არმაის ვართანოვს ღამით დახვდენ ორი უცნობი ახალგაზრდა დანებით ხელში და სიკვდილის მუქარის ქვეშ წაართვეს პალტო და ფული.

— **შეპყრობა.** 17 თებერვალს შეიპყრეს ნიკოლოზ მირაქოვი, ქურდობისათვის.

— 18 თებერვალს შეიპყრეს აკაკი გვაზარია, ბრიანცის (დესიმონოვის მოედ. № 18) სავაჭროს გაქურდვის განზრახვისათვის.

— **ქურდობა.** 16 თებ. ტროცკის ქ. № 14 გაქურდეს ელენე ადამიას ბინა.

— ამავე დღეს სვიატოპოლკ-მირსკის ქ. 14 გაქურდეს ბორის ბრასლავსკის ბინა.

# ხელოვნება

## მუსიკალური განათლების გამავრცელებელ დაწესებულებების კულტურული მოღვაწეობა

(ეხლანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები)

მუსიკალური განათლებას ორი კულტურული კერა ჩვენში—სახელმწიფო კონსერვატორია და ჰაიარტუნი ინტენსიურ მუშაობას ეწევიან. რეორგანიზაციის შემდეგ ორივე დაწესებულება მუშაობს განახლებული მასშტაბით. კონსერვატორიის მიზანია უმაღლესი და საშუალო მუსიკალური განათლების სწორ და მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. უკვე გაფართოვებულია პედაგოგიური მოთხოვნილებანი, მათი გაღრმავების და სისტემატიზაციის მხრივ. კონსერვატორიაში რეორგანიზაციის შემდეგ დატოვებულია ისეთ მოწაფეთა კონტინგენტი, რომელთა ნიჭი და მომზადება სავსებით შეესაბამება უმაღლესი მუსიკალური განათლების მოთხოვნილებებს და კონსერვატორიის პროგრამას, რომელიც შემუშავებულია განათლების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ, ხოლო ის მოწაფეები, რომელთაც არ შეუძლიათ კონსერვატორიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, დანაწილებული არიან მუშფაკებში და მოსამზადებელ მუსიკალურ სასწავლებლებში, სადაც აგრეთვე შემუშავებულია სამოსწავლო პროგრამა და პედაგოგებათ ინიშნებიან ახალგაზრდა ძალები პროფესიონალური განათლებით. ყველაფერ ამას ჩვენ მივესალმებით და გამოვსთქვამთ სურვილს, რათა საქმის პედაგოგიური მხარე სწორად იქნეს დაყენებული, რათა მიზნად დასახულ იქნეს ნამდვილი მუსიკალური განათლების გავრცელება (როგორც უმაღლესი, ისე საშუალოსი), ადგილი არ ექნეს მოწაფეთა ზერელე და გარეგნულ დაწინაურებას, თუნდაც სამოსწავლო პროგრამაში განსაკუთრებული სიძნელის მუსიკალურ ნაწარმოებების შეტანით, რომელთა შესრულება მოწაფეთა ძალ-ღონეს აღემატება. კონსერვატორიაში საჭიროა დაარსდეს საოპერო და საორკესტრო კლასიბი, და პროფესორებათ მოწვეულ უნდა იქნენ გამოჩენილი საესტრადო ძალები. კონსერვატორიის უმაღლესი ადმინისტრაციის განახლებული პერსონალი (რექტორი არაყიშვილი, პრორექტორი ქუთათელაძე და ფაკულტეტების დეკანები)—მუშაობენ ამ მიმართულებით. წაკითხულ იქნება მთელი რიგი ლექციებისა სპეციალურ საგნებზე, სწარმოებს მოლაპარაკება ბერლინის გამოჩენილ პიანისტ გოლსტონთან, რომელიც შეგვპირდა მთელი რიგი ლექციების წაკითხვას საფორტეპიანო შესრულების ხელოვნებაზე (გალსტონის კონცერტები განზრახულია გაზაფხულისათვის). თებერვლის ბოლო რიცხვებში თბილისში ისევ ჩამოვა ცნობილი პიანისტი ეგონ პეტრი, რომელიც თანახმაა მისცეს სანიმუშო გაკვეთილები ფორტეპიანოზე. წაკითხულ იქნება ლექციები საფორტეპიანო შესრულების მეთოდიკის შესახებ. დაიწყება მეცადინეობა კონსერვატორიის უფროს მოწაფეებთან მუსიკის სხვადასხვა საკითხებზე—მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის ახსნა-განმარტებით. კონსერვატორიასთან არსდება საკუთარი კვარტეტი კონსერვატორიის პროფესორებსა და მასწავლებლებისაგან, მოწყობილ იქნება მთელი რიგი საკვარტეტო კრებებისა და აგრეთვე მოწაფეთა ლიტერატურულ კონცერტებისა.

ინტენსიურათ მუშაობს „აიარტუნი“. მისი მუშაობა განსაკუთრებით გაიზარდა წარსული წლის შემოდგომიდან, როცა მუსიკალურ განყოფილების გამგეთ მოწვეულ იქნა კომპოზიტორი და თეორეტიული საგნების გამოჩენილი მცოდნე ტერ-გევონდიანი. დაარსდა მუსიკალური სტუდია, რომელშიაც მიწვეული არიან გამოჩენილი პედაგოგიური ძალები მუსიკალური განათლების სხვადასხვა სფეროში. დაარსებულია საოპერო კლასი პროფესორ რეშიმოვას ხელმძღვანელობით. არსებობს საკუთარი სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც უკვე გამართა ორი კამერული საღამო. განზრახულია კონცერტის გამართვა სომხეთის სიმფონიური მუსიკის ნაწარმოებებიდან. კამერულ საღამოებში მონაწილეობას მიიღებს კამერულ-ვოკალურ ლიტერატურის საუკეთესო შემსრულებელი სახელმწიფო ოპერის მსახიობი ქალი დანიელიანი. საერთოდ კონსერვატორია და „აიარტუნი“ უდიდეს ყურადღებას აქცევენ ეროვნულ მუსიკას.

პ. ზ.

# ხელოვნების ქრონიკა

— **პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში** დღეს, შაბათს 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სახლში მოწვეული არიან საქართველოს მწერალთა ყრილობის მონაწილე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დელეგატები (ნ. ზომლეთელი, ეული, რ. კალაძე, კ. კბილაძე, ბ. ბუაჩიძე, ლ. ესაკია, ი. მაშაშვილი, ს. გუდევანიშვილი, შ. დუდუჩავა, შ. რადიანი, დ. რონდელი, ვ. კურული, შ. ნავთლუღელი, პ. სამსონიძე, გ. შინატელელი, კ. ლორთქიფანიძე, ე. პოლუმორდვინოვი, მ. ხუხუნაიშვილი, კ. ფეოდოსიშვილი, ს. თოდრია, გ. ბუნიკაშვილი, პლ. ლომია, ა. გაწერელია, გ. ციმბირელი და ჟ. მდივანი).

— **„ვინ არის დამნაშავე“.** წითელ თეატრში დღეს წუწუნავას რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება: „ვინ არის დამნაშავე“.

— **ეგონ პეტრის** პირველი კონცერტი გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

— **ბათომის განათლების მუშაკთა** სახლთან დაიწყო კამერული საღამოების გამართვა.

— **ახალგაზრდა მომღერალი ლ. ანდღულაძე** დღეს მეორეთ იმღერებს ოპერა „ბალ-მასკარადში“.

— **ცირკში** დღეს მსახიობ-ზაიმუნის ტრუპის მესამე გასტროლი.

— **ოპერა მუშებისათვის.** ხვალ დილით ოპერის თეატრში ბავშვებისათვის წარმოდგენილი იქნება „რუსლან და ლიუდმილა“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს „ჰამლეტი“ პირველი შემადგენლობით.

— **კინო ბავშვებისათვის.** კვირას არფასტოში გაიმართება კინო ბავშვებისათვის. დასაწყისი დღის 12 საათზე.

## დღეს კინოებში

— **აპოლლო** „ინდოეთის აკლდამა“

— **არფასტო** (

— **სოლეი** ( „ნიბელუნგები“.

— **პალასი** „კანცლერი და ზეინკალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იურიდიული რჩევა-დარიგება

## მომეცემა თუ არა წილი მამა ჩემის ქონებიდან

### კითხვა.

მე ვარ სოფ. ტყელვანის (ქუთაისის მაზრის) მცხოვრები. 1921 წელს ჩემმა ბაბუამ სილიბისტრო ნიკოლეიშვილმა, გაუყო თავის შვილებს ადგილ-მამული. თითონაც თავის კუთვნილი დაიტოვა. ერთი მისი შვილთაგანი იყო ჩემი მამა. მამამ თავისი ნაწილი ჩააბარა ბაბუას (თავის მამას). მამა გარდაიცვალა. მე კი გავთხოვდი. ჩემი ქმარი არის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, განათლების კომისარიატის სტიპენდიანტი, აგრეთვე კავშირის წევრი და დაზღვეული. თავისი სტიპენდია თავადაც არა ჰყოფნის. მე კი იძულებული ვარ გამოვნახო ჩემთვის საარსებო წყარო ჩემი მამის დატოვებული ქონებიდან, მაგრამ ბაბუა ნებას არ მაძლევს ჩემი ქმრის უნივერსიტეტის დამთავრებამდე მაინც ვისარგებლო მამის მიერ დატოვებული ადგილ-მამულით.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, მაქვს თუ არა უფლება ჩამოვართვა ბაბუას მამის მიერ მასზე ჩაბარებული ქონება და ვისარგებლო მე იმით, როგორც მამაჩემის პირდაპირმა მემკვიდრემ.

თ. ქიქინაძისა.

### პასუხი

თუ მამულისა და ქონების გაყოფა არ მომხდარა იმ წესებით, როგორც ეს აღნიშნულია მიწის კოდექსის მუხ. 50, 51, 52, 55 და 58, მაშინ თქვენ, როგორც პირდაპირ მემკვიდრეს (იხ. სამოქალაქო კოდექსი მუხ. 418) გაქვთ უფლება მოითხოვოთ სასამართლოს წესით თქვენი წილი საერთო სარგებლობაში მყოფ ქონებიდან.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოსი

დამატებითი რენტის განაკვეთების შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. [illegible] განაკვეთები ამა

| №№ რიგზე | ქალაქების სახელწოდება | [illegible] | საცხოვრებელი შენობებიანი ადგილები ეზოებითურთ | | | | | | სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა შენობებიანი ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რაიონები | | | | | | რაიონები | | | | | |
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | თბილისი | 1,5 | 20 | 10 | 7 | 4 | 2 | 1,5 | 1-40 | 70 | 50 | 30 | 10 | 10 |
| 2 | ბათომი | 0,8 | 12 | 6 | 4 | 1 | 12 | — | 72 | 36 | 24 | 6 | 72 | — |
| 3 | ქუთაისი | 0,8 | 6 | 4 | 1 | 0,8 | 2 | — | 60 | 24 | 5 | 48 | — | — |
| 4 | სოხუმი | 0,8 | 5 | 3 | 2 | 0,8 | — | — | 25 | 15 | 10 | 5 | — | — |
| 5 | ფოთი | 0,8 | 3 | 2 | 1,5 | 1 | — | — | 15 | 10 | 7,5 | 5 | — | — |
| 6 | ახალციხე | 0,4 | 3 | 3 | 2 | 0,4 | — | — | 12 | 12 | 8 | 2 | — | — |
| 7 | ხონი | 0,3 | 3 | 0,5 | — | — | — | — | 12 | 2 | — | — | — | — |
| 8 | თელავი | 0,4 | 3 | 2 | 1 | — | — | — | 12 | 8 | 4 | — | — | — |
| 9 | ხაშური | 0,4 | 2 | 1 | 0,5 | — | — | — | 8 | 4 | 2 | — | — | — |
| 10 | სამტრედია | 0,4 | 3 | 0,4 | — | — | — | — | 12 | 2 | — | — | — | — |
| 11 | ოზურგეთი | 0,3 | 1 | 0,5 | 0,3 | — | — | — | 4 | 3 | 2 | — | — | — |
| 12 | ზესტაფონი | 0,3 | 2 | 1 | 0,3 | — | — | — | 8 | 4 | 2 | — | — | — |
| 13 | ზუგდიდი | 0,3 | 2 | 1 | 0,3 | — | — | — | 8 | 4 | 2 | — | — | — |
| 14 | ცხინვალი | 0,2 | 2 | 0,2 | — | — | — | — | 8 | 1 | — | — | — | — |
| 15 | სენაკი | 0,4 | 2 | 1 | 0,4 | — | — | — | 8 | 4 | 2 | — | — | — |
| 16 | სიღნაღი | 0,3 | 3 | 2 | 0,3 | — | — | — | 12 | 8 | 2 | — | — | — |
| 17 | ბორჯომი | 0,4 | 3 | 2 | 1 | 0,4 | — | — | 12 | 8 | 4 | 2 | — | — |
| 18 | ჭიათურა | 0,4 | 3 | 2 | 1 | 0,4 | — | — | 12 | 8 | 4 | 2 | — | — |

2. დამატებითი რენტის გაწერისა და გადამხდელთათვის საშენაწერო ბლანკების ჩაბარების უკიდურეს ვადად დაწესებულ იქნეს 1926 წლის მარტის 15, ხოლო თვით რენტის შეტანის უკიდურეს ვადად—1926 წ. აპრილის 15.

3. დამატებითი რენტის გადახდისაგან განთავისუფლებულ იქნეს ქ. ქ. გორი, დუშეთი, ახალქალაქი, ონი, შულავერი და ლიუქსემბურგი.

საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯ. ჯუღელი
საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე

1926 წ. თებერვლის 18
თბილისი—სასახლე

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

ს. კ. პ. ლენრაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მე-6-ე უბნის მუშათა კლუბში მოწვეულია ლენინის რაიონის უჯრედების ბიუროების კონფერენცია, დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები ადგილებიდგან შემდეგ უჯრედების მდივნებისა:

სარონოდო ფარები
სამქედლო ს ამქროს მთ, სახელოსნოსი
რკ. გზის საავადმყოფო.

ლენრაიკომის მდივანი ქავთარაძე.

საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის საიდ.-განმანაწ. განყ. ავალებს პარტამხანაგებს, რომლებსაც აქვთ ხ ლზე ქვევით ხსენებული პარტ-ბილეთები: 502687, 502689, 502743, 502816, 502817, 502818, 502819, 502820, 502821, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ც. კ. საიდ.-განმ.ნაწ. განყ. ოთახი № 14 იმ ამხანაგებს, რომლებიც იმყოფებიან ქალაქის გარედ, ევალებათ საჩქაროთ გვაცნობონ მათი სწორი მისამართი.

ც. კ. საიდ. განმან. განყ. გამგე: გაბუნია.

კვირას, 21 თებერვალს, დილის 10 საათზე, მუშათა ახალი კლუბის (სასახლის ქ. № 5) სარკიან დარბაზში გაგრძელდება პოლიტგანის სკოლების მსმენელთა კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის აღრიცხვა ქვე-განყოფილებაში ამხ. ბზიაშვილთან:

აივაზოვი ნიკოლოზ, ვაშაკიძე მელიტონ, მხიტარიანი აპრესი, აზატოვი გალიბ-იზატ-ოღლი, ლალიაშვილი, ავაკოვი გრიგოლ, პეტრიაკი ვლადიმერ, გრძელიშვილი გრიგოლ, ბაჩელოვა ავლიანი, ბურდიანოვი არშაკ, ბუაძე ანტონ, ბოლტიევი, ქუთუაძე შოთა. კაციტაძე ვლადიმერ და დუბოგინი,

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

მეორე რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

# განცხადებები

ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მოქალაქე

**სამსონ ანდრიას ძე არჩევანიძე**

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ შვილები ექიმი მიხეილ სამსონისძე მეუღლით ელისაბედ ივანეს ასულით, ექიმი ანდრია სამსონისძე მეუღლით ანნა სტეფანეს ასულით, და ალექსანდრე სამსონისძე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში კვირას, 21 თებერვალს ა|წ დღის 12 საათზე პირველი რუსთაველის შესახვევი № 6.

ქ. 1564 2—2

მეუღლე—სოხა, შვილები: შალვა, დათიკო, თამარ, თინა და ქეთო, დები: ანა, მართა და ლიდა, სიძე—საველე დევდარიანი, რძლები: ნინა და ანტონინა და პატარა შვილიშვილები აუწყებენ მათი დაუვიწყარი

**ტრიფონ თაბუკაშვილის**

მეგობრებს და პატივმცემლებს, რომ მისი გარდაცვალების მე-40-ე დღეს, კვირას, 21 თებერვალს, დღის 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

ქ. 1556 2—2

აპოლო
არტისტო
ლოლი

სეზონის საუკეთესო სურათი

**„ინდოეთის აკლდამა“**

მთავარ როლებში: ლიადეპუტი, მია მაი, კონრად ვეიდტი,
4 სერიათ; 1 და 2 სერია ერთად

საზღვარგარეთელ კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევა

4 სერიად **„ნიბელუნგები“** 4 სერიად
1 და 2 სერია ერთად

„პრავდა“ 31 დეკემბრის ნომერში სწერს: „ნიბელუნგები“—ყველაზე უკეთესი და ყველაზე გასაოცარი სურათია, რომლის მაგვარი ჯერ ჩვენ არ გვინახავს“.

კასა ღიაა 4 საათ. 30 წ.

—3 ნ. 785

გულდამწვარი დედა ლიდა ანტონის ასული და მამა იოსებ ფარნაოზის ძე ქელბაქიანები, დიდედები მინადორა ქელბაქიანისა და ანნა გაბრიელის ასული ქაჯაიასი, ბაბუა ანტონ გიორგის ძე ქაჯაია და ბიძა დავით ფარნაოზის ძე ქელბაქიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მათი საყვარელი და დაუვიწყარის

**პატარა რეზო (რუიზანის)**

უდროოდ გარდაცვალებას.

გამოსვენება საკუთარ ბინიდან გოგოლის ქუჩა, № 50, თებერვალის, 21, დღით კვირას, 3 საათზე. 1578 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე ეფროსინე ანტონის ასული და შვილები—ლარისა, კოკი, ელიკო, გოგია, ნუცა, გუგუშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი პირველის ქმარი და დანარჩენთა მამა

**ფარნაოზ ბეჟანის ძე გაბუნიას**

გარდაცვალების დღიდან ორმოცი დღის შესრულების გამო ა. წ. 21 თებერვალს, დღით კვირას, 12 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში სათიჩხიის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი.

„26“-თა სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გამგეობა, კომპარტიის და კომკავშირის კოლექტივების ბიუროები და სტუდენტთა ორგანიზაციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის სტუდენტი

**სერგო ბარამიძე**

ცხედარი რესპუბლიკის 1-ლი საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) გადასვენებული იქნება სადგურზე 20 თებერვალს, ღამის 4 საათზე. 1582 1—1

**რუსთაველის თეატრი:** დღეს, 20 თებერვალს

**ჰამლეტ**

მონაწ. მეორე შემადგენლობა.

კვირას, 21 თებერვალს,

**მზის დაბნელება საქართველოში**

ნ. 802 2—2

**სახელმწიფო ოპერა** | დღეს, 20 თებერვალს,

ოპერა

**„ბალ-მასკარადი“**

კვირას, 21 თებერვალს,

დილით დაკლებულ ფასებში **„რუსლანი და ლიუდმილა“**

საღამოს ს. ჯ. მაგაის და ე. ა. სტეპანოვას გასტროლი

**რიგოლეტო**

შესავალი ბილეთები ს. ი. მაგაის და ე. სტეპანოვას გასტროლებზე იყიდება წარმოდგენის დღეს. ნ. 791 2—2

**ბორჯომის წარმოებათა კომბინატი**

აცხადებს, რომ მას მინის ქარხნისათვის ესაჭიროება შუშის ნამტვრევები და თუ ასეთი ვისმეს აქვს, შეუძლია მიმართოს ქ. ბორჯომში ბორჯომის წარმოებათა კომბინატს.

ნ. 803 1—1

**გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოდ**

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეუგზავნონ ქვითარის №, რომლითაც გაწერილი აქვთ გაზეთი

0—1 მთავარი კანტორა

**მალაკანთა კოოპერატივის „მომხმარებელი“-ს**

**სალიკვიდაციო კომისია**

ამით აცნობებს ყველა მოქალაქეებს და დაწესებულებებს, რომ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების (26 წ. 16 თებერვლის) დადგენილების თანახმად ხდება მალაკანთა კოოპერატივის ლიკვიდაცია, რის გამოც აღნიშნული კოოპერატივის გამგეობის მიერ გაცემული ყველა მოწმობები, მანდატები, მინდობილობანი, აგრეთვე ყველა სხვა დოკუმენტები სავაჭრო გარიგების დადების, ფულის, საქონლის და სხვ. მიღების უფლებაზე,—გაუქმებულად ითვლება. გარიგებას რომელიც მოხდება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, არავ ექნება ძალა

მალაკანთა კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისია

1-1 800

1 თებერვალს გავიდა ოჯახიდან ანდრო ერისთოს ძე კუპრეიშვილი, რომელიც აღარ დაბრუნებულა. ტანათ საშუალო, 31 წლისა, მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს. მისამართი: აბაშა, ნესტორ კუპრეიშვილი. 1—1 1576

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**

სამშობიარო და ქალის სნეულებანი. მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—1

**მოწაფეთა საყურადღებოთ**

გამოვიდა და იყიდება

**ფ. ი. მიხალევსკის**

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—14

**მალაკანთა კოოპერატივის „მომხმარებელი“-ს**

**სალიკვიდაციო კომისია**

ამით აცხადებს მალაკანთა კოოპერატივის ყველა კრედიტორებს, რომ შაბათს 20 თებერვალს დღის 2 საათზე, კოოპერატივის ბინაზე (პეტრიწის მოედანი № 4. ტელ. 15—91) შესდგება მალაკანთა კოოპერატივის კრედიტორთა კრება, რომელზედაც მოწვეულია შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

დღის წესრიგი:

1) კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების წესი.
2) მიმდინარე საქმე.

მალაკანთა კოოპერატივის საქმეთა სალიკვიდაციო კომისია

1-1 ნ. 801

**ქ. თბილისის და მის რაიონების ძლიერი დენის ელექტრო-ანაგებთა**

**სამმართველო**

(თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა)

ამით აცხადებს, რომ 23 თებერვლისათვის დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა (წერილობითი) მე 4 საბჭ. ელსადგურზე (მილიუტინის ქ. № 13) შემდეგ სამუშაოების წარმოებაზე:

| | |
|---|---|
| 1. ახალ შენობის წყობა | 5,10 კბ. საჟ-დე. |
| 2. შენობის ახალ სახურავით დაფარვა | 22,00 კვ. საჟ-დე |
| 3. ძრავისათვის ტიმბის საძირკვლის აგება | 8,07 კბ. საჟ-დე |
| 4. შენობის ძველ წყობის დაშლა | 0,62 კბ. საჟ-დე |
| 5. შენობის ძველ სახურავის დაშლა | 8,00 კვ. საჟ დე |

უკანასკნელი ვადა სამუშაოების დასრულებისა ა. წ. 25 მარტია; ყველა მასალები მზადდება მონარდის მიერ თანახმად გზათა სახალხო კომისარიატის ნორმებისა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ზემოდასახელებულ დღისათვის წერილობითი განცხადება საგანგებო საკანცელარიო ფურცელზე. საკანცელარიო ფურცლების და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ემს-ის ტეხნიკურ ბიუროში ოთახი № 6.

სამმართველოს გამგე. გ. მგელაძე.
2—1 ნ. 804 საქმეთა მმართველი გრომაშვილი.

**ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი**

აცხადებს, რომ ა. წ. 27 თებერვალს, დღის 12 საათზე, ვანო ონაშვილის სახლში, შინდისის ქუჩ., რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, მე 8 კომისარ. საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სარქის ეგანოვის შემდეგი ქონება, რომელიც შეფასებულია 206 მან. 10 კაპ.: სხვადასხვა სიდიდის თიხის ბანკები, ჩაშკები, სასუფე ჭურჭელი, ჩაიდნები და სხვ.

ნ. 1574 1—1

**ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი**

აცხადებს, რომ 9 მარტს 1926 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია ქ. ქუთაისში ლერმონტოვის ქუჩაზე დუქანი № 77 საჯარო ვაჭრობა ვანიჩკა ზვიადაძის, იგივე მელიავა, ქონების, რომელიც შეიცავს ას-ოც წყვილ დამზადებულ და დაუმზადებელ ტყავის წუღებს და ჩუსტებს, შეფასებულს 190 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ვლადიმერ ზვიადაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებელათ. ნ. 796 1—1

**ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი**

აცხადებს, რომ 9 მარტს 1926 წ., დილის 12 საათზე, დანიშნულია ქ. ქუთაისში ა. წერეთლის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობა კონსტანტინე შერგელაშვილის სამი საცხოვრებელი ოთახიანი, ქვეშ ორი თვალი სარდაფით, ქვითკირის შენობის და მასზე მიშენებული ქვითკირის მოუთავებელი კედლების, აგებული მიწაზე, ზომით 100 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული ათასი მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან გერმანე სულაბერიძის 1017 მან. ძიების დასაკმაყოფილებელათ, და იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს 10 პროც. შეფასებული თანხის საწინდარი და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. სამ. კოდ. ნ. 796 1—1

**ქ. ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ელ. კანდელაკი**

ამით აცხადებს, რომ 1 მარტს, 1926 წელსა დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე უმემკვიდროდ გარდაცვალებულის იაკობ ცირანის ძის ტორაძის ხეტყის საწყობში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ხსენებული იაკობ ტორაძის აწერილ 20 იანვარს, 1926 წელსა ქონების: 1) რვა საჟენი საშენებული ქვის შეფას. 160 მან., 2. ექვსი ათასი ნახმარი აგურის, შეფას. 60 მან., 3) ორმოცი ცალი კუთხის ქვების, შეფას. 40 მან., 4) ასოთხმოცდასამი ცალი წაბლის სვეტების—შეფას. 183. მ. და სხვ. ევდუკი ფირან ტორაძის ასულის კანდელაკის ვალის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ცნობების მიღება შეიძლება სას. აღმას. ელ. კანდელაკთან სასამართლოში. 796 1—1

**„ზაკავტოპრომტორგი“-ს**

**„ЗАКАВТОПРОМТОРГ“**

**თბილისის განყოფილებამ**

**კვირაობით და უქმე დღეებში მოაწყო საექსკურსიო მოგზაურობა**

„ფიატ“-ის სისტემის ახალ ავტობუსებით

1) თბილის—ზაჰეს—მცხეთას შორის || 2) თბილის—კოჯორს შორის

ავტომობილები გავლენ კანტორიდან (თავისუფლების მოედანი № 2. ყოფ. ქარვასლა) დღის 12 საათზე, უკან დაბრუნდებიან საღამოს 3 საათზე, როგორც მცხეთის, ისე კოჯორის ხაზზე.

ბილეთები უკან დაბრუნებით და გაჩერებით, როგორც კოჯრისაკენ, ისე მცხეთისაკენ—4 მანეთი.

მთელ ავტობუსზე ჯგუფურად ჩაწერის დროს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებისათვის დასაშვებია შეღავათი და გამგზავრების დროც შეიძლება შეთანხმებული იქნას კლიენტებთან.

აგრეთვე დაეთმობათ ავტობუსები ქირით საათობით ქალაქში და ქალაქ-გარედ მოგზაურობისათვის.

ბილეთების გაყიდვა და ცნობების მიღება სწარმოებს სამუშაო დღეებში, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმე-დღეობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდე, სამგზავრო მიმოსვლის თბილისის კანტორაში.

(თავისუფლების მოედანი № 2, ყოფილ. თამამშევის ქარვასლა).

4—1 ნ.798 ტელეფონი № 10—05

ელექტრონით და სინათლით

**სამკურნალო**

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის სახელობის**

ნერვულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყარალანოვის ქ. № 20.

**ამიერ-კავკასიის კოოპერაციული დეპეშათა სააგენტო**

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოსთან

ჰყიდის

**სრულიად ახალ ავტომობილს**

„ფორდის“ სისტემისას. !

იმ პირებს, რომელთაც ჰსურთ შეიძინონ, უნდა მიმართონ: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24, ტელეფ. № 5—95, 15—48.

1—1 ნ. 799

[illegible] ექიმი **ფ. ო. რატიანი [illegible]** ქალის და [illegible] ავადმყოფობა [illegible] მიღება 12—2 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დოქტორი **გ. მეჰრაბიანი**

ფილტვების, გულის და ყელის წამლობა ხელოვნური [illegible] პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბეჭუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ა. ნ. ფონ-ირტელი**

[illegible] პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. [illegible]). შარდსა საქესო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, [illegible]) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის [illegible] საათამდე და [illegible] საათამდე

ექიმი

**მ. ო. ზანდუკელი**

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—42.

1355 25—1

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მონსე**

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეუშხაპუნება „914“. კაპიტერას და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 და 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა. დილის 9—1 საათ. საღამოს თი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სას ტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დ. აბაშა
კბილის ექიმმა

**ა. ნადარეიშვილმა**

განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარ ხელოვნური კბილები

№ 1306

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სოჭის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

**ექ. ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღით 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთველის პროსპექტ № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **გ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8 საათ.
ქალების—საღამოთი 5—6 საათ.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ჭაჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივ უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 სათამდე
ბელგიის ქუჩა № 1.

პროფ. **გრ. მუხაძე**

სოხუმიდან თბილისში დაბრუნდება ამ თვის [illegible] და განაახლებს ავადმყოფების მიღებას. 25—6

**დაიკარგა** მეტრიკული ამონაწერი № 671 პავლე ვასილის ძე ქარსელაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1581

**დაიკარგა** მოწმობა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მიერ მოცემული № 0868, გიორგი ლომაიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1580

**დაიკარგა** განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 11397, ზაქარ. ივ. ჩხიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1575

**დაიკარგა** ქელიაღელე ეპოს გამგეობისაგან მინდობილობა, გამოცხადებული ონის სახ. მოსამართლესთან 27 იანვრ. ამა წლისა რეესტრის № 3 და ამ მინდობილობის ასლი 2 ცალი, ამბაკო მომცემლიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 797

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა, ფოტოგრაფიული სურათით, მოცემული სობესისაგან და უფასო პატენტი—ფეხსაცმლის სახელოსნოს გასახსნელი სამტრედიაში—ორივე თევდორე ივანეს ძე ზლოდეევის სახელზე ჩ. გ. 1—1 ნ. 797

**დაიკარგა** კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 12415, გაცემული გორის სამაზრო კომიტეტიდან გიორგი ტოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1577

ტირაჟი—24.767
სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს წულუკიძის ქუჩა № 4